

ISSN 1987-5789

ეკონომიკა და ბიზნესი



ECONOMICS AND BUSINESS
ЭКОНОМИКА И БИЗНЕС

ნოემბერი-დეკემბერი
NOVEMBER-DECEMBER
НОЯБРЬ-ДЕКАБРЬ
2014

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ეკონომიკისა და პოვნის ფაკულტეტის საერთაშორისო რეფერირებადი
და რეცენზირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

International refereed and reviewed scientific and practical journal
of the Faculty of Economics and Business,
Iv. Javakhishvili Tbilisi State University

Международный реферируемый и рецензируемый научно-
практический журнал факультета Экономики и Бизнеса
Тбилисского государственного университета имени Ив.
Джавахишвили



გამოდის 2008 წლის იანვრიდან, ორ თვეში ერთხელ
Published since January, 2008 once in two month
Выходит с Января 2008 года раз в два месяца

რედაქციის მისამართი: თბილისი, უნივერსიტეტის ქ., №1,
თსუ მაღლივი კორპუსი, მე-13 სართ.,
ტელ. 230-36-68, 599-10-38-16; 599 24-77-47.
e-mail: ebf.journal@tsu.ge

სარედაქციო კოლეგია

რევაზ გოგოხია – მთავარი რედაქტორი,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსები,
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **ვლადიმერ პაპავა**,
ავთანდილ სილაგაძე, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის
წევრ-კორესპონდენტი, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
ლეო ჩიკავა.
ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორები, პროფესორები: **იური**
ანანიშვილი, **რამაზ აბესაძე**, **თემურ ბერიძე**, **სიმონ გელაშვილი**, **რევაზ**
გველესიანი, **ნუგზარ თოდუა**, **ირაკლი კოვზანაძე**, **ნათელა ლაცაბიძე**, **ეკა**
ლეკაშვილი, **მანანა ლობჯანიძე**, **მურთაზ მაღრაძე**, **მაია მარგველაშვილი**,
ქეთევან მარშავა, **ელგუჯა მექვაბიშვილი**, **იაკობ მესხია**, **დავით ნარმანია**,
ნუგზარ პაიჭაძე, **სერგო სანაძე**, **ირაკლი საღარეიშვილი**, **დემურ სიჭინავა**,
მირიან ტუხაშვილი, **გიორგი ღაღანიძე**, **ლეილა ღუდუშაური**, **ეთერ**
ხარაიშვილი, **ელენე ხარაბაძე**, **რომან ხარბედია**, **ნოდარ ხადური**, **თემურ**
შენგელია, **ემზარ ჯგერენაია**.

EDITORIAL BOARD

Revaz Gogokhia – Editor-in-chief, Doctor of Economic sciences, professor.
Academicians of National Academy of Sciences of Georgia, Doctors Of
Economics Sciences, professors: **Vladimir Papava**, **Avtandil Silagadze**, correspond-
ing member of Georgian National Academy of Sciences, doctor of Economic Sci-
ences, professor **Leo Chikava**.

Doctors of Economic Sciences, professors: **Iuri Ananiashvili**, **Ramaz Abe-
sadze**, **Temur Beridze**, **Simon Gelashvili**, **Revaz Gvelesiani**, **Leila Gudushauri**,
Nugzar Todua, **Irakli Kovsanadze**, **Natela Latsabidze**, **Eka Lekashvili**, **Manana Lob-
janidze**, **Murtaz Magradze**, **Maya Margvelashvili**, **Ketevan Marshava**, **Elguja Me-
kvabiishvili**, **Iakob Meskhia**, **David Narmania**, **Nugzar Paichadze**, **Sergo Sanadze**,
Irakli Sagareishvili, **Demur Sichinava**, **Mirian Tukhashvili**, **Giorgi Gaganidze**, **Eter**
Kharaishvili, **Elene Kharabadze**, **Roman Kharbedia**, **Nodar Khaduri**, **Temur Shen-
gelia**, **Emzar Jgerenaia**.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

Реваз Гогохия – главный редактор, доктор экономических наук,
профессор.

Академики Национальной Академии наук Грузии, доктора
экономических наук, профессора: **Владимер Папав**, **Автандил Силаг**
აძე, член-
корреспондент Национальной Академии наук Грузии, доктор экономических
наук, профессор **Лео Чикава**.

Доктора экономических наук, профессора: **Юрий Ананишвили**,
Рамаз Абесадзе, **Темур Беридзе**, **Симон Гелашвили**, **Реваз Гвелес**
იანი, **ლეილა**
გუდუშაური, **ნუგზარ თოდუა**, **ირაკლი კოვზანაძე**, **ნატელა ლაცაბიძე**, **ეკა**
ლეკაშვილი, **მანანა ლობჯანიძე**, **მურთაზ მაღრაძე**, **მაია მარგველ**
აშვილი, **ქეთევან მარშავა**, **ზღუდა მევიაშვილი**, **იაკობ მესხია**, **დავით**
ნარმანია, **ნუგზარ პაიჭაძე**, **სერგო სანაძე**, **ირაკლი საგარეიშვილი**, **დემურ**
სიჭინავა, **მირიან ტუხაშვილი**, **გიორგი გაგანიძე**, **ეთერ ხარაიშვილი**, **ელენე**
ხარაბაძე, **რომან ხარბედია**, **ნოდარ ხადური**, **თემურ**
შენგელია, **ემზარ ჯგერენაია**.

სარედაქციო კოლეგიის უცხოელი წევრები.

ვოლფგანგ ვენგი – ბერლინის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორი, ჰარალდ კუნცი – ბრანდერბურგის (გერმანია) უნივერსიტეტის ეკონომიკური თეორიის კათედრის გამგე, პილიპენკო ე.ვ. ემდ. რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ურალის განყოფილების ეკონომიკის ინსტიტუტის კურგანის ფილიალის დირექტორი. კიმ ტაქსირი – რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ჯოზეფ ხასიდი – პირეუსის (საბერძნეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, ტომას ჰალდმა – ტარტუს (ესტონეთი) უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.

FOREIGN MEMBERS OF THE EDITORIAL BOARD OF ECONOMICS:

Wolfgang Weng – Professor at Berlin University (Germany), Harald Kunz – Head of department of Economic theory at Branderburg University (Germany), Pilipenko E.V. Economical doctor in science, economic branch in Kurgan unstitute, region of Ural, Russia. Kim Taksir – Academician of Russian Academy of Sciences, Joseph Hassid - Dean of the Faculty of Economics Piraeus University (Greece), Professor, Toomas Haldma – Tartu University's Dean Faculty of Economics and Business Administration, professor (Estonia).

ИНОСТРАННЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Волфганг Венг - Профессор Берлинского Университета (Германия), Кунц Гаралд – зав. кафедрой экономической теории Брандербургского Университета (Германия), Пилипенко Е.В. Д.Э.Н. - Директор Курганского филиала ИЭ УрО РАН, Ким Таксир – Академик Российской Академии Наук, Джозеф Хассид – декан экономического факультета Пирейского Университета (Греция), Тоомас Халдма - декан факультета экономики и администрирования бизнеса Университета Тарту (Эстония), профессор.

სარჩევი

ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა

ელზუჩა მამახაიშვილი. კონდრატიევის კონიუნქტურის დიდი ციკლების თეორია გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის კონტექსტით	11
ნუზგარ პაიჭაძე. თანამედროვე სახელფასო პოლიტიკის პარადოქსები და მისი დაძლევის გზები	23
რევაზ ლორთქიფანიძე. რაციონალური ანტიმონოპოლიური პოლიტიკა - ადამიანთა ცხოვრების საუკეთესო ხარისხისათვის	45

მიკრო-მაკროეკონომიკა

ეკა ლეკაშვილი. სამეწარმეო აზროვნება და მისი განვითარების პრობლემები საქართველოში	57
ღამით ალვაძე. მცირე ბიზნესის სახელმწიფო მხარდაჭერის გაძლიერების ძირითადი მიმართულებები და პრიორიტეტები	75

მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი

გიორგი ლოზორჯიანიძე. მიწოდების ჯაჭვის ეფექტიანობის შეფასება მისი ოპერაციების სარეგულაციო მოდელის (scoor) გამოყენებით	87
რუსუღან სამუშიძე. საინფორმაციო სისტემები – საქართველოს საბაჟო სისტემის მართვის სრულყოფის ერთ-ერთი ინსტრუმენტი	101
მერაბ ხოხობაია. ეკონომიკაზე ტურიზმის გავლენის განსაზღვრის მეთოდოლოგიური საფუძვლები	119

გაღიანა ულიან, იულია კაპრიან, ლილია რობარჯიშვილი კაპრიან-ან. დაზღვევის სამართლებრივი საფუძვლების შესახებ (რუსულ ენაზე)	131
---	-----

შინაგური ეკონომიკა

მერაბ ჯიქია. კაპიტალის საშუალოშეწონილი ღირებულების (wacc) გადგენა საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე	157
ქეთევან ღუჭუაშვილი. საგადასახადო პოლიტიკა: თეორიული საფუძვლები და სრულყოფის მიმართულებები	173

ახალი წიგნები:

როგორია პროფესიონალ-რეკონსტრუქტორი აზრი?

იოსებ არჩვაძე. საჭირო წიგნი გლობალური პრობლემის ეროვნულ თავისებურებებზე	191
--	-----

ქურნაღ “ეკონომიკა და ბიზნესის” 2014 წლის № 1-5-ის შინაარსი	200
---	-----

CONTENTS

ECONOMIC THEORY AND ECONOMIC POLICY

E. MEKVABISHVILI. The Kondratiev Theory of the Long Wave Cycles of a Conjuncture in the Context of a Global Financial-Economic Crisis	11
N. PAICHADZE. Paradoxes of modern wage policy and ways of overcoming	23
R. LORDKIPANIDZE. The Rational Anti-monopoly Policy for Quality of Life	45

MICRO – MACROECONOMICS

E. LEKASHVILI. The Problems of Entrepreneurial Thinking Development in Georgia	57
D. ADVADZE. The main directions and priorities of the state	

MANAGEMENT. MARKETING. TOURISM

G. DOBORJGINIDZE. Evaluation of Supply Chain Performance Using Supply Chain Operations Reference (SCOR).....	87
R. SETURIDZE. Information Systems, as one of the tools to improve the Customs System Management of Georgia	101
M. KHOKHOBALIA. Methodological Basis for Determining the Economic Impact of Tourism.....	119

G. ULIAN, I. KAPRIAN, L. ROTARU, I. KAPRIAN - About the Foundations of intelligence service.....	131
---	-----

FINANCIAL ECONOMICS

M. JKIA. The Weighted Average Value of the Capital (WACC): Sense and Role in Making the Investment-related Decisions	157
Q. GUDUSHAURI. Tax policy: theoretical basics and directions of perfection	173

NEW BOOKS : WHAT IS PROFESSIONAL – EVALUATION OPINION?

I. ARCHVADZE - Required book about the global problems of the national specificities	191
---	-----

СОДЕРЖАНИЕ

ЭКОНОМИЧЕСКАЯ ТЕОРИЯ И ЭКОНОМИЧЕСКАЯ ПОЛИТИКА

ЭЛГУДЖА МЕКВАБИШВИЛИ. Теория больших циклов конъюнктуры Кондратьева в контексте глобального финансово-экономического кризиса	11
НУГЗАР ПАЙЧАДЗЕ. Парадоксы современной политики заработной платы и пути его преодоления	23
РЕВАЗ ЛОРТКИПАНИДЗЕ. Рациональная антимонопольная политика для наилучшего качества жизни человека	45

МИКРО-МАКРОЭКОНОМИКА

ЭКА ЛЕКАШВИЛИ. Предпринимательское мышление и проблемы и его развития в Грузии	57
ДАВИД АДВАДЗЕ. Основные направления и приоритеты усиления государственной поддержки малого бизнеса	75

МЕНЕДЖМЕНТ. МАРКЕТИНГ. ТУРИЗМ

ГЕОРГИЙ ДОБОРДЖИНИДЗЕ. Оценка эффективности цепи предложения с использованием референционной модели (SCO-OR) её операции.....	87
РУСУДАН СЕТУРИДЗЕ. Информационные системы _ один из инструментов совершенствования управления пошлинной системы Грузии	101
МЕРАБ ХОХОБАЯ. Методологические основы определения влияния туризма на экономику	119
ГАЛИНА УЛЬЯН, ИЮЛЯ КАПРИАН, ЛИЛИЯ РОТАРУ,	

ЮРИЙ КАПРИЯН. О правовых основах договора страхования	131
---	-----

ФИНАНСОВАЯ ЭКОНОМИКА


МЕРАБ ДЖИКИЯ. Влияние средневзвешанной стоимости капитала (WACC) на инвестиционные решения	157
КЕТЕВАН ГУДУШАУРИ. Налоговая политика: теоретические основы и направления совершенствования	173

НОВЫЕ КНИГИ:

КАКОВО МНЕНИЕ ПРОФЕССИОНАЛОВ-РЕЦЕНЗЕНТОВ?

ИОСИФ АРЧВАДЗЕ. Нужная книга о национальных особенностях глобальной проблемы	191
--	-----

Содержание журнала «Экономика и бизнес» за 2014г. № 1-5	200
---	-----



ელგუჯა მამუკაშვილი

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის პროფესორი

ამერიკის შეერთებული შტატების იპოთეკურ ბაზარზე დაწყებულმა კრიზისმა, რომელიც მოგვიანებით ღრმა ეკონომიკურ კრიზისში გადაიზარდა და გლობალური მასშტაბი მიიღო, მძიმე დარტყმა მიაყენა მსოფლიო ეკონომიკას. ექსპერტთა გაანგარიშებით, კრიზისით გამოწვეული ჯამური დანაკარგები, ანტიკრიზისულ ღონისძიებათა დაფინანსებაზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ჩათვლით, დაახლოებით 4 ტრლნ 700 მლრდ დოლარს შეადგენს, ხოლო მსოფლიო ბაზრის კაპიტალიზაცია 26 ტრლნ 400 მლრდ აშშ დოლარით შემცირდა [3, გვ 119].

გლობალურმა კრიზისმა თვალნათლივ აჩვენა თანამედროვე პირობებში ეკონომიკური თეორიის სერიოზული ხარვეზები და ჩავარდნები [5, გვ.17]. განსაკუთრებით აშკარაა მისი „პროგნოსტიკური დისფუნქცია.“ როგორც ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორი, ეკონომიკაში ნობელის პრემიის ლაურეატი ამარტია სენი აღნიშნავს: „ეკონომიკა“ ის პირველი სიტყვა არ არის, რომელიც გიგანტური კრიზისის პერიოდში გვახსენდება, რომლის წინასწარმეტყველება და „ცუდად დაკერილი“ ეკონომიკური სამყაროს გადარჩენა ეკონომიკური მეცნიერების წარმომადგენლებმა ვერ შეძლეს

[8, გვ.18]. იმ ეკონომისტთა რიცხვი, რომლებიც არ იზიარებენ ასეთ მოსაზრებას და მიიჩნევენ, რომ ეკონომიკური კრიზისების დაწყების პროგნოზირება საერთოდ შეუძლებელია, დღეს აშკარად მცირეა. ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, ეკონომიკაში ნობელის პრემიის მფლობელი თომას სარჯენტი, მაგალითად, პირდაპირ მიუთითებს: „ამ საკითხში (იგულისხმება გლობალური ფინანსური კრიზისის დაწყების წინასწარმეტყველება - ე.მ.) ეკონომისტების დადანაშაულება მიუთითებს ან აშკარა უცოდინარობაზე, ან თანამედროვე მაკროეკონომიკის საგნის შეგნებულ დამახინჯებაზე“ [4, გვ. 33]. ასევე ცნობილი ამერიკელი მაკროეკონომისტი გრეგორი მენქუ რამდენჯერმე შენიშნავს, რომ ეკონომიკური რყევები არარეგულარული ხასიათისაა და მისი, თუნდაც მიახლოებითი სიზუსტით წინასწარმეტყველება, შეუძლებელია [2, გვ.704; 757]. ეკონომიკურ ლიტერატურაში ის მოსაზრებაცაა გამოთქმული, რომ „წონასწორობიდან გადახრა შემთხვევითობაა. შემთხვევითობის წინასწარ განჭვრეტა და მის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელია“ [14, გვ.117]. ამიტომ, „ციკლების თანამედროვე თეორია“ მიზნად არ ისახავს კრიზისების პროგნოზირებას [იქვე]. რუსი მეცნიერების - ანდრეი კლეპაჩისა და გენადი კურანოვის აზრით, „კრიზისების პროგნოზირება და მის შესახვედრად მომზადება, დაახლოებით, წააგავს მიწისძვრისთვის მომზადებას. გასაგებია, კრიზისები იქნება, თუმცა როდის, რა ღონისძიებები უნდა გამოვიყენოთ მათ წინააღმდეგ, უცნობია“ [12, გვ.25].

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში ახლო წარსულში მსგავს სიტუაციას ადგილი უკვე ჰქონდა. 1970-იანი წლების დასაწყისში „ეკონომისტთა შორის დამკვიდრდა მოსაზრება ეკონომიკური მეცნიერების, კერძოდ, მაკროეკონომიკის კრიზისის შესახებ“ [1, გვ.805]. ყოველივე ამას უსწრებდა მოგვიანებით მსოფლიო ეკონომიკურ კრიზისში გადაზრდილი „ენერგეტიკული კრიზისი“ და „დიდი ენერ-

გეტიკული შოკი.“ 1970-იანი წლების შუა პერიოდში ჩამოყალიბდა სტაგფლაციის მოვლენა, რომელიც მაღალი უმუშევრობისა და მაღალი ინფლაციის ერთდროულად არსებობას ნიშნავს. ცნობილი ამერიკელი მონეტარისტი ალან მელტცერი წერს, რომ აშშ-ის ეკონომიკა „ინფლაციის ღრმა ორმოში ჩავარდა“ და ამ პერიოდს „დიდი ინფლაციის“ პერიოდად მოიხსენიებს [7, გვ.37]. ერთობლივი მოთხოვნის წახალისებაზე ორიენტირებულმა კეინზიანურმა მოდელებმა, რომლებიც „კეინზის ნააზრევის მათემატიკურ ფორმულირებად“ შეიძლება ჩაითვალოს [1, გვ.], ვერ მოახერხა სტაგფლაციის მიზეზების სისტემური ახსნა და კრიზისი განიცადა. ამით, ფაქტობრივად, დამთავრდა მაკროეკონომიკის „ოქროს ხანად“ წოდებული თითქმის ოცდაათწლიანი პერიოდი, რომელიც დაკავშირებული იყო კეინზიანური მოდელების (პაროდოქმარის ეკონომიკური ზრდის მოდელი, IS-LM-ის ჯონ ჰიკსისა და ალვინ ჰანსენის მოდელი) გამოყენებასთან. ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მსჯელობაა არა საერთოდ მოდელების გამოყენების უარყოფაზე, არამედ მათი თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლის პრინციპულ ცვლილებაზე. რეალური ბიზნეს-ციკლის (RBC) ე.წ. დინამიკური სტოქასტური საერთო წონასწორობის (DSGE) მოდელები აიგო ეკონომიკური სუბიექტის, ე.წ. „რეპრეზენტატიული აგენტის“ რაციონალური ქცევის ნეოკლასიკურ თეორიაზე დაყრდნობით.

„რეპრეზენტატიული აგენტი“ სტილიზებული და სტერილიზებული სუბიექტია, რომელიც სრულყოფილ საბაზრო გარემოში ახდენს საკუთარი ქცევის ოპტიმიზაციას. მას გააჩნია მაღალი ღონის ინფორმირებულობა როგორც არსებულ (წარმოქმნილი), ასევე მოსალოდნელი რისკების მიმართ და ამიტომ შეუძლია დროულად იმოქმედოს მათ წინააღმდეგ. ნეოკლასიკურ თეორიაში ეკონომიკა წარმოდგენილია განკერძოებული რაციონალური ეკონომიკური სუბიექტების

ერთობლიობის სახით, რომელშიაც ყველა კმაყოფილია საკუთარი მდგომარეობით და არ არსებობს ჩამოყალიბებული „სტატუსკო“ შეცვლის არავითარი შინაგანი მიზეზი. რაც შეეხება სისტემის „შემაშფოთებელ“ გარეგან იმპულსებს, ე.წ. „გარე შოკების“ სახით, მათი ზემოქმედება არ იწვევს წონასწორობიდან საგრძნობ და ხანგრძლივ გადახრას. „უმნიშვნელო“ რყევების შემდეგ ეკონომიკური სისტემა ავტომატურ რეჟიმით სწრაფად უბრუნდება თავის საწყის მდგომარეობას.

დღეს ბევრი ეკონომისტი მიუთითებს ნეოკლასიკურ თეორიაზე დამყარებული მოდელების ხელოვნურ ხასიათსა და რეალური სინამდვილის მიმართ მათ არაადეკვატურობაზე. კერძოდ, ლონდონის ეკონომიკის სკოლის პროფესორი ჯონ კეი აღნიშნავს: „იმის ღრმა რწმენამ, რომ ეკონომიკური მოდელები ანალიზის არა მარტო მოხერხებული ინსტრუმენტებია, არამედ მათ შეუძლიათ სამყაროს ყოვლისმომცველი და სრულყოფილი აღწერა, დააბრმავა ამ მიდგომის მომხრეები და ხელი შეუშალა მათ საკუთარ ცხვირწინ დაენახათ რეალობა. ამ სიბრმავემ თავისი როლი ითამაშა ამჟამინდელ კრიზისში და განსაზღვრა ჩვენი რეაქციის დაბალი ეფექტიანობა“. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამგვარი კრიტიკა, უმეტეს შემთხვევაში, [11, გვ.7]. ობიექტურია და მას საფუძვლად უდევს ნეოკლასიკოსების შეხედულებები. მაგალითად, ნეოკლასიკური თეორიის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი, DSGE-მოდელების პიონერი, ნობელიანტი რობერტ ლუკასი დაუფარავად მიუთითებს, რომ ეკონომიკური მეცნიერების ამოცანაა „ერთმანეთთან დაკავშირებული რობოტებით დასახლებული ხელოვნური მექანიკური სამყაროს შექმნა (ხაზგასმა ჩვენია - ე.მ.), რომელსაც ჩვეულებრივ შეისწავლის ეკონომიკა“ [6, გვ. 11].

ცნობილი ინგლისელი ეკონომისტი, მსოფლიო ეკონომიკური აზრის გამოცდილი მკვლევარი მაიკლ ბლაუგი სწორად შენიშნავს: „თუკი თეორიას პრეტენზია აქვს საყოფ-

ელთაობაზე, მაგრამ ამავე დროს არ შეუძლია კრიტიკულად მნიშვნელოვანი ამოცანების გადაწყვეტა, მას „ემუქრება“ ან პარადიგმის გადახედვა, ან მწვავე კონკურენცია ალტერნატიული სამეცნიერო-კვლევითი პროგრამის მხრიდან“ [10, გვ. 9].

მიგვაჩნია, რომ მეინსტრიმული ნეოკლასიკური თეორიისა და მისგან გამომდინარე ბიზნეს-ციკლების DSGE მოდელების ჩარჩოში შეუძლებელია გლობალური ფინანსური კრიზისების სისტემური შესწავლა და მათი მეცნიერული პროგნოზირება. აუცილებელია ახალი თეორიული მიმართულების ფარგლებში ახალი პარადიგმის ჩამოყალიბება. ამ თვალსაზრისით, აქტუალურად გვესახება ეკონომიკური დინამიკის თეორიის, მისგან გამომდინარე კონიუნქტურის კონდრატიევის დიდი ციკლების კონცეფციის შემოქმედებითად გამოყენება, რომელსაც ეძღვნება სტატიის მომდევნო ნაწილი.

ნიკოლაი დიმიტრის ძე კონდრატიევი ტრაგიკული ბედის მქონე ცნობილი რუსი მეცნიერ-ეკონომისტი, რომელიც რეპრესირებული იყო 1930-იან წლებში საბჭოთა ხელისუფლების მიერ და მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, 1990-იანი წლების დასაწყისში, მოხდა მისი რეაბილიტირება. კონდრატიევმა ჩამოაყალიბა უაღრესად საინტერესო და ორიგინალური მოძღვრება კონიუნქტურის დიდი ციკლების სახით, რომელსაც იოზეფ შუმპეტერმა „კონდრატიევის ციკლები“ უწოდა [15, გვ. 73]. თავდაპირველად ნ. კონდრატიევი აყალიბებს პრობლემის კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძვლებს. იგი მსჯელობს მეურნეობის, როგორც მისი შემადგენელი ნაწილების ურთიერთკავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის სტატიკურ და დინამიკურ ასპექტებში შესწავლის აუცილებლობის შესახებ. მეცნიერი ფაქტობრივად აიგივებს კონიუნქტურის თეორიას ციკლის თეორიასთან და ორივეს დინამიკური თეორიის შემადგენელ ნაწილებად წარმოგვიდგენს.

კონკრეტულად პრობლემის ანალიზი იწყება საკუთრივ

„კონიუნქტურის“ ცნებიდან, რომელიც, მეცნიერის განმარტებით, განსაზღვრავს „სამეურნეო ცხოვრების ერთობლივი ელემენტების წინა პერიოდთან შედარებით ცვლილების მიმართულებას და ხარისხს“ [14, გვ.17]. ნაშრომში - „კონიუნქტურის დიდი ციკლები“, კონდრატიევი აღნიშნავს, რომ „თანამედროვე ეკონომიკური თეორია იცნობს მხოლოდ 7-11 - წლიანი ხანგრძლივობის ციკლებს. სინამდვილეში, ამ ციკლებთან ერთად, როგორც ჩანს, არსებობს ეკონომიკური დინამიკის სხვა ციკლები - 48-55 - წლიანი ხანგრძლივობით. ჩვენ მას ვუწოდებთ დიდ ეკონომიკურ ციკლებს“ [14, გვ.63]. ნაშრომში - „მსოფლიო ეკონომიკა და მისი კონიუნქტურები ომის დროს და ომის შემდეგ“, მეცნიერი კვლავ უბრუნდება ამ საკითხს და აღრმავებს ანალიზს: „ეკონომიკური კონიუნქტურების დინამიკა რიტმულია. მაღალი კონიუნქტურის პერიოდები მისი მეტ-ნაკლებად დაქვეითების პერიოდებით იცვლება. ამგვარი მერყეობის ორი მთავარი ციკლი შეიძლება გამოვყოთ: დიდი ციკლები, რაც დაახლოებით 50 წელს მოიცავს და სამრეწველო-კაპიტალისტური ციკლები დაახლოებით 8-11 წლის ხანგრძლივობით“ [13, გვ.44]. აღნიშნულია, რომ ორივე სახეობის ციკლი მჭიდროდაა დაკავშირებული ერთმანეთთან და მოყვანილია ამის დამადასტურებელი ვრცელი სტატისტიკური და ფაქტობრივი მასალა, რომლის დეტალური ანალიზის საფუძველზე ჩამოყალიბებულია დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე რამდენიმე დასკვნა:

- „დიდი ეკონომიკური ციკლების აღმავალ ტალღაზე მოკლე და საშუალო (სამრეწველო) კაპიტალისტური ციკლები ხასიათდება დეპრესიის მოკლევადიანობით და აღმავლობის ინტენსიურობით. დიდი ციკლების დაღმავალ ფაზაზე კი საპირისპირო სურათთან გვაქვს საქმე. პატარა ციკლების აღმავლობა დიდი ციკლის დაღმავალ ტალღაზე მოკლებული იქნება იმ ინტენსიურობას, რაც მისთვის დამახასიათებელი

იყო დიდი ციკლის აღმავალ ფაზაზე. პირიქით, კრიზისები ამ დროს უფრო მკვეთრი, ხოლო პატარა ციკლების დეპრესიები კი უფრო ხანგრძლივი იქნება“ [14, გვ.141] – წერს ნ. კონდრატიევი.

- ნ. კონდრატიევი დაასაბუთა, რომ კონიუნქტურის დიდი ციკლების მატერიალური საფუძველია კაპიტალური დოვლათის მასობრივი განახლება, რომელიც მოითხოვს ინვესტირების მაღალ ტემპებს და კაპიტალის კონცენტრაციას. იგი უაღრესად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს, თუმცა, იქვე შენიშნავდა, რომ სამეცნიერო-ტექნიკური გამოგონებები უსარგებლოა მანამ, სანამ არ აღმოცენდება მათი გამოყენებისთვის აუცილებელი პირობები: „დიდი ციკლების მატერიალური საფუძველია ძირითადი კაპიტალური დოვლათის ცვეთა, შეცვლა და გაფართოება, რომელიც ხანგრძლივ დროსა და უზარმაზარ დანახარჯებს მოითხოვს“ [14, გვ.153]. ამასთანავე, ძირითადი კაპიტალური დოვლათის შეცვლა და განვითარება მიმდინარეობს არა მდორედ, არამედ ბიძგებით, რომლის გამოვლინებაც კონიუნქტურის დიდი ტალღები: „დიდი ციკლის აღმავალი ფაზა დაკავშირებულია ძირითადი კაპიტალური სიმდიდრის განახლებასა და გაფართოებასთან, საზოგადოების ძირითადი მწარმოებლური ძალების რადიკალურ ცვლილებასა და გარდაქმნასთან“ [14, გვ.155].

კონიუნქტურის დიდ ციკლებს კონდრატიევი იკვლევდა, პირველ რიგში, ეკონომიკურ რეალობასთან მიმართებით და აანალიზებდა ისეთი მაჩვენებლების მერყეობას, როგორიცაა „საქონელზე ფასები, რენტა, სარგებლის განაკვეთი, საგარეო ვაჭრობის ბრუნვა, ლითონისა და თუჯის წარმოება, ქვანახშირის მოპოვება, მინერალურ გათბობაზე მოთხოვნა და ა.შ.“ [13, გვ.111]. იგი ყოველთვის მსჯელობდა მხოლოდ ტენდენციებზე. მისი აზრით, ეკონომიკურ და სოციალურ დინამიკაში ერთმნიშვნელოვანი კანონზომიერებისა და მათემა-

ტიკური ფორმულების „მარწუხებში“ მოქცეული რიტმების ძიება მოკლებულია ყოველგვარ საღ აზრს. ეს დინამიკები მრავალგანზომილებიანი, მრავალწახნაგოვანი, მრავალფაქტორიანია და აღსავსეა შემთხვევითი ფლუქტუაციებით.

ამასთან ერთად, ტალღისებურ განვითარებას მეცნიერი უნივერსალური პროცესის რანგში განიხილავდა და მას მთელ საზოგადოებაზე ავრცელებდა. დასძენდა, რომ იგი განაპირობებს სიღრმისეულ სოციალურ ძვრებს ომების, რევოლუციების, ტერიტორიული ექსპანსიის სახით: „ომებიც და სოციალური რყევებიც ერთვება დიდი ციკლების რიტმულ პროცესებში და წარმოადგენს არა ამ განვითარების ამოსავალ ძალებს, არამედ მათი გამოვლინების ფორმას, თუმცა, წარმოშობისთანავე ისინი ძლიერ ზეგავლენას ახდენენ ეკონომიკური დინამიზმის ტემპსა და მიმართულებაზე“ [13, გვ.171] – აღნიშნავს ნ. კონდრატიევი.

კონდრატიევის თეორია ძირითადად მორგებული იყო მის თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაზე. ამჟამად მსოფლიო იმყოფება პოსტინდუსტრიულ და გლობალიზაციის ეპოქაში. რამდენად პასუხობს ეს თეორია შექმნილ რეალობას? ამ კითხვას შეიძლება დადებითი პასუხი გაცეს. მსოფლიო ეკონომიკაში მიმდინარე პროცესები და გამოკვეთილი ტენდენციები აჩვენებს კონდრატიევის თეორიის უნივერსალურ ხასიათს, ხოლო გლობალიზაციის ეპოქაში მომრავლებული ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისები ადასტურებს მის აქტუალურობას.

კონდრატიევის კონიუნქტურის დიდი ციკლი პირობითად შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: კონდრატიევის ტექნოლოგიური ციკლი და კონდრატიევის ინსტიტუციური ციკლი.

დღეს ჩვენ საქმე გვაქვს კონდრატიევის დიდი ციკლის დაღმავალ ფაზასთან, რომელიც დროში დაემთხვა დაწინაურებულ (პოსტინდუსტრიულ) ქვეყნებში საზოგადოების მეს-

უთე ტექნოლოგიური წყობიდან მეექვსე წყობაზე გადასვლის ერთგვარად გაჭიანურებულ პროცესს. ეს არის მდგომარეობა, რომელიც ამთავრებს განვითარების ერთ მონაკვეთს და ამზადებს საფუძველს ახლის დასაწყებად. გარკვეული აზრით, შესაძლებელია ვიმსჯელოთ გლობალურ ტრანსფორმაციაზე, რომელიც ხასიათდება კრიზისული მოვლენების გაძლიერებით მსოფლიო ეკონომიკაში. საგარაუდოდ, გადასვლის ინტენსიფიცირება მსოფლიოს ავანგარდულ ქვეყნებში მოსალოდნელია 2020-იანი წლებიდან და იგი დასრულდება 2040-იანი და 2050-იანი წლების მიჯნაზე. ეს უკანასკნელი დაემთხვევა კონდრატიევის დიდი ტალღის აღმავალ ფაზას, სადაც ტექნოლოგიური და ეკონომიკური დინამიკა ორგანულად იქნება ერთმანეთთან დაკავშირებული. კონდრატიევის მეექვსე ტალღა, რომელიც შეწყვილდება პოსტინდუსტრიული საზოგადოების მეექვსე ტექნოლოგიურ წყობასთან, ძირითადად ორიენტირებული იქნება მედიცინის უახლეს მიღწევებზე, ბიოგენურ და ნანო ტექნოლოგიებზე, კომპიუტერის ფუნქციონირების ახალ (კვანტურ) პრინციპებზე, ახალ კომპოზიციურ მასალებზე.

კონდრატიევის აღმავალი ტალღის ინსტიტუციური ფაზა მოასწავებს ადამიანის შემოქმედებითი უნარის გაფურჩქვნას, მის სრულად რეალიზებას, ეკოლოგიურ-დამზოგავი ეკონომიკისა და, ზოგადად, არაეკონომიკური ფასეულობების პრიმატს. ქვეყანა, რომელიც არ იქნება ორიენტირებული ამ პრიორიტეტებზე, დგება ციკლის ამ ფაზის გამოტოვების, ან უკეთეს შემთხვევაში, დამწვევი განვითარების სიტუაციაში.

კონდრატიევის კონიუნქტურის დიდი ციკლის კონტექსტით სტრატეგიულ აზროვნებასა და მოქმედებაში. ჩვენი აზრით, აუცილებელია რამდენიმე მნიშვნელოვანი მიმართულების გამოყოფა. კერძოდ:

- ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა;
- მეცნიერების წინგამსწრები ტემპით განვითარება;

- თანამედროვე უნივერსიტეტებისა და ტექნოლოგიური ცენტრების გამართული ფუნქციონირება;

- ცოდნისა და ინფორმაციის ინფრასტრუქტურის დაჩქარებული განვითარება;

- ტექნოლოგიური და სოციალური ინოვაციების სწრაფი გავრცელება;

- ეკონომიკის ახალი რეინდუსტრიალიზაციის შერწყმა თანამედროვე ბიო და საინფორმაციო-კომუნიკაციურ ტექნოლოგიებთან;

- აღმშენებლობასა და შემოქმედებაზე ორიენტირებული ეკონომიკური და საზოგადოებრივი ინსტიტუტების ფორმირება.

ზემოაღნიშნული მიმართულებებით ეროვნული ეკონომიკის განვითარება წარმოადგენს გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების მიმართ მათი მდგრადობის ამაღლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 2007-2008 წლების გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი ყველაზე ნაკლებად შეეხო სკანდინავიის ქვეყნების სოციალურად ორიენტირებულ ეკონომიკას და ისრაელს, რომელიც ინოვაციებსა და მაღალ ტექნოლოგიებზე დამყარებული ცოდნის ეკონომიკას ანვითარებს.

სავარაუდოა, რომ XXI საუკუნეში შენარჩუნდება ეკონომიკური რყევებისა და კრიზისების ციკლი, რომლის პირველ მაცნედ 2007-2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისი მოგვევლინა.

კონდრატევის დიდი ტალღების ანალიზის საფუძველზე, საბოლოოდ, შეიძლება გაკეთდეს შემდეგი პროგნოზი. 2020 წლამდე მოსალოდნელია სერიოზული ეკონომიკური რყევის განმეორება, 2020 წლის შემდეგ კი უნდა ველოდოთ დიდი კონიუნქტურის აღმავალ ტალღას, რომელიც თავის პიკს მიაღწევს 2040 წლამდე. 2040 წლის შემდეგ ისევ დაიწყება დაღმავალი ფაზა შესაბამისი ეკონომიკური პროცესე-

ბით და ა.შ. ეს იმას ნიშნავს, რომ მომავალში კონდრატევის დიდი ციკლები შენარჩუნდება, თუმცა, მას ექნება შედარებით სინქრონული ხასიათი და გლობალური მასშტაბი.

The Kondratiev Theory of the Long Wave Cycles of a Conjunction in the Context of a Global Financial-Economic Crisis.

E. Mekvabishvili

In article is noted that financial crisis of 2007-2008 made deep negative impact on a world economic and promoted beginning of crisis in economic science too. Neoclassical DSGE models couldn't expect crisis and didn't provide its prevention. There are considered in details some positive and negative sides DSGE models. It is specified that their main shortcoming is high level of artificiality and inadequacy to real economic life.


In article is grounded the need of research of global financial crises on the basis of a new paradigm, for what is offered Kondratiev Theory of the Long Wave Cycles of a Conjunction within the general theory of economic dynamics.

On this theoretic-methodological basis the forecast of world economic development in the first half of the 21st century is made, the periods of increase and decrease of rates of economic growth are allocated.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ო. ბლანშარი. მაკროეკონომიკა. თბილისის უნიტის გამ-ბა, 2010;
2. გრ.მენქიუ. ეკონომიკის პრინციპები. გამ-ბა “დიოგენე,” 2008;
3. Cecchetti S.G., Kohler M., Upper C. Financial Crisis and Eco-

1. nomic Activity // NBER Working paper, 2009, #15379;
4. Interview With Thomas Sargent. Sept.2010. www.minneapolis-fed.org/publications/papers/pub_display.cfm?id=4526;
5. Krugman P. How did Economist Get It So Wrong? // The New York Times. 2009, Sept.2;
6. Lucas R. In Defence of The Dismal Science// The Economist.2009, Aug.6;
 1. www.economist.com. (node) 141665405;
7. Meltzer A. Origins of the Great Inflation// Federal Reserve Bank of St. Louis Review, 2005, Vol.87;
8. Sen A. Kapitalism Beyond The Crisis// New York Review of Books. 2009, Vol.56, #5;
9. The Crisis: Basic Mechanisms and Appropriate Policies. O. Blanchard IMF Working Paper, 2009;
10. Блауг М. Методология экономической науки или как экономисты объясняют. М.: НП журнал «Вопросы Экономики», 2004;
11. Кей Дж. карта- не территория: о состоянии экономической науки // Вопросы Экономики, 2012, №5;
12. Клепар А., Куранов Г. О циклических волнах в развитии экономики США и России//, Вопросы Экономики, 2013, №11;
13. Кондратьев Н.Д. Проблемы экономической динамики. М.: Экономика, 1989;
14. Кондратьев Н.Д. Большие циклы конъюнктуры и теория предвидения. М.: Экономика, 2002;
15. Мизес Л. Человеческая деятельность. Трактат по экономической теории. М.: Экономика, 2000;
16. Шумпетер Й. История экономического анализа. М.: Экономика, 2002.



ნუშაზაზა

**ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
თსუ-ის ასოცირებული პროფესორი**

საზოგადოების განვითარება და მისი თითოეული წევრის კეთილდღეობა დამოკიდებულია ქვეყანაში შექმნილი მატერიალური და სულიერი სიმდიდრის სიდიდეზე, ხოლო ეს უკანასკნელი—ადამიანური რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე, რომლის ამადლების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია შრომის მატერიალური სტიმულირება, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება შრომის ანაზღაურებაში. აქედან გამომდინარე, ხელფასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლა ყოველთვის იყო ეკონომიკური მეცნიერების ყურადღების ცენტრში.

ხელფასთან დაკავშირებული პრობლემების შესწავლის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. მიუხედავად ამისა, როგორც უკვე მოცემულ პრობლემაზე მიღწეულ 2011 წელს გამოქვეყნებულ ჩემ შესაბამის სტატიაშია მითითებული, საქართველოში შრომის ანაზღაურების პრობლემის შესწავლისადმი ყურადღება უკანასკნელ წლებში არათუ გაიზარდა, არამედ მნიშვნელოვნად შემცირდა კიდევ [1, გვ.41]. მართალია, ბოლო წლებში ზოგიერთმა ავტორმა მოცემულ პრობლემაზე გამოაქვეყნა რამდენიმე ნაშრომი [2,3,4,5], მაგრამ ჯერ კიდევ ბევ-

რია გასაკეთებელი მისი მეცნიერული შესწავლისათვის. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საქართველოში შრომის ანაზღაურების პრობლემებზე ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა ყურადღება არა მარტო ეკონომიკური მეცნიერების მხრიდან, არამედ ქვეყნის ხელისუფლებიდანაც. დღეს საქართველოში, ფაქტობრივად, არ მოქმედებს შრომის ანაზღაურების ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა, რაც ხშირად განაპირობებს უსამართლობას შრომის ანაზღაურებისას.

წინამდებარე სტატია ზემოაღნიშნული ხარვეზის ოდნავად შემცირების მორიდებული ცდაა. მასში მთავარი ყურადღება ექცევა საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების ორგანიზაციაში არსებული ნაკლოვანებების გამოვლენასა და ანალიზს და მოცემულია ზოგიერთი წინადადება მის შესამცირებლად. განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში ხელფასის ორგანიზაცია მოწოდებულია გადაწყვიტოს შემდეგი ორი მთავარი ამოცანა: 1) თითოეული დასაქმებულის შრომის გარანტირებული ანაზღაურება, მის მიერ გაწეული შრომის შედეგისა და შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის ღირებულების შესაბამისად; 2) დამქირავებლისათვის (სახელმწიფო, საზოგადოება, კერძო პირი, კოოპერატივი და ა.შ.) წარმოების პროცესში ისეთი შედეგის მიღწევის უზრუნველყოფა, რომელიც საშუალებას მისცემს მას აანაზღაუროს გაწეული დანახარჯები და მიიღოს მოგება. ხელფასი რთული ეკონომიკური კატეგორიაა, რომელშიც გამოიხატება მრავალი ურთიერთდამოკიდებული ეკონომიკური მოვლენა. დამქირავებლისთვის ხელფასი წარმოების დანახარჯია და იგი ცდილობს მის შემცირებას. მომუშავეისათვის კი ხელფასი შემოსავალია და, ცხადია, იგი

ცდილობს მის გაზრდას.

ხელფასი ადამიანთა ყოველდღიურ საქმიანობასთან დაკავშირებული კატეგორიაა. ამიტომ, არც საზოგადოებას და არც ერთ დაწესებულებას და ორგანიზაციას არ შეუძლია ნორმალური ფუნქციონირება ხელფასის რაციონალური ორგანიზაციის გარეშე. მომუშავეთა ხელფასის ორგანიზაციაში იგულისხმება სპეციალური დებულებებისა და ინსტრუქციების დამუშავება და მათი ეფექტიანი მოქმედება, რაც უზრუნველყოფს მომუშავეთა მიერ გაწეული შრომის ანაზღაურების ფულად შეფასებას, მის აღრიცხვასა და გაცემას არსებული დებულებებისა და ინსტრუქციების შესაბამისად.

შრომის ანაზღაურების ორგანიზაცია მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, როგორიცაა: 1) შრომის ანაზღაურების პირობების დადგენა; 2) შრომითი დანახარჯების ნორმების დადგენა; 3) შრომის ანაზღაურების ფორმებისა და სისტემების განსაზღვრა; 4) შრომის ანაზღაურების ორგანიზაციაში ცვლილებების წესის დადგენა. შრომის ანაზღაურების ორგანიზაცია რეგულირდება ქვეყნის შრომითი კანონმდებლობით. სახელმწიფო, დაქირავებულთა და დამქირავებელთა ინტერესებიდან გამომდინარე, განსაზღვრავს მხოლოდ გარანტირებული მინიმალური ხელფასის სიდიდეს (ჩვენში, სამწუხაროდ, ბოლო წლებში სახელმწიფო ამ ფუნქციასაც არ ასრულებს) და ახორციელებს ხელფასზე საგადახადო პოლიტიკას. იგი ვალდებულია, აგრეთვე, ფასების ზრდის შემთხვევაში, უზრუნველყოს შემოსავლების ინდექსაცია. გარდა ამისა, სახელმწიფო ახორციელებს ხელფასის პირდაპირ რეგულირებას სახელმწიფო სექტორში. ხელფასის ორგანიზაციასთან დაკავშირებული ყველა სხვა საკითხი უნდა წყდებოდეს საწარმოების, სხვადასხვა ორგანიზაციისა და დაწესებულების მიერ. ცხადია, ყოველივე ეს არ ნიშნავს

იმას, რომ სახელმწიფო ხელისუფლებამ ბედის ანაბარა მიატოვოს აღნიშნული პრობლემა და ქვეყანაში სამართლიანი სახელფასო პოლიტიკის ჩამოყალიბება მთლიანად მიანდოს მხოლოდ შრომის ბაზარს, მითუმეტეს, ეკონომიკურად ისეთ სუსტად განვითარებულ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. თავისი ეკონომიკური ფუნქციებიდან გამომდინარე, სახელმწიფო ხელისუფლება ვალდებულია შექმნას ხელფასის ორგანიზაციის სამართლიანი საკანონმდებლო ბაზა და უზრუნველყოს მისი განუხრელი შესრულება. სახელმწიფო, როგორც სოციალურ- შრომითი ურთიერთობების სუბიექტი, დაინტერესებული უნდა იყოს დაქირავებულ მომუშავეებსა და დამქირავებლებს შორის ჰარმონიული ურთიერთობის დამყარებით, რამდენადაც მხოლოდ მოცემულ შემთხვევაში მიიღწევა სოციალური თანხმობა, შრომით ურთიერთობებში კონფლიქტის თავიდან აცილება, შრომის ეფექტიანობის ამაღლება და, საბოლოო ანგარიშით, საზოგადოებრივი პროგრესი.

სამწუხაროდ, საქართველოში დამკვიდრებულია მცდარი შეხედულება, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ხელისუფლება ძალიან ნაკლებად ან საერთოდ არ უნდა ჩაერიოს ქვეყანაში სამართლიანი სახელფასო პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. ალბათ, ნაწილობრივ ამითაცაა გამოწვეული, რომ მან (სახელმწიფო ხელისუფლებამ) ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყო შექმნა ხელფასის რეგულირების ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომელიც უზრუნველყოფდა ეკონომიკის სხვადასხვა სფეროში დასაქმებულთა შრომის სამართლიან და გარანტირებულ ანაზღაურებას, მათ მიერ დახარჯული შრომის რაოდენობისა და შედეგებიდან გამომდინარე. ნაკლებად ან საერთოდ არ ექცევა ყურადღება შრომის ანაზღაურების ისეთი მნიშვნელოვანი პრინციპების დაცვას, როგორიცაა: ხელფასის ზრდასთან შედარებით შრომის მწარმოებელუ-

რობის წინმსწრები ზრდის უზრუნველყოფა; თანაბარი ანაზღაურება თანაბარი შრომისათვის და ა. შ. უკანასკნელ წლებში, ფაქტობრივად, არ ხდება ხელფასის რეგულირება მისი მეცნიერულად დასაბუთებული სატარიფო სისტემის გამოყენებით და იგი მინდობილია მხოლოდ სამუშაო ძალის ბაზრის სტიქიურ მოქმედებაზე, რაც ყოველად მიუღებელია.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, 2014 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, საქართველოში დაქირავებით სულ დასაქმებული იყო 658 ათასი ადამიანი.¹ ამავე პერიოდში დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ხელფასმა 795,5 ლარი შეადგინა [6]. იგი უკანასკნელ ბოლო ათწლეულში 5-ჯერაა გაზრდილი და, ერთი შეხედვით, ხელფასის ორგანიზაციის სფეროში თითქოს ყველაფერი წესრიგშია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არაა. განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა ეკონომიკის სახელმწიფო სექტორში. იმის გამო, რომ ქვეყანაში, ფაქტობრივად, არ მოქმედებს საბიუჯეტო სფეროში დასაქმებულთათვის ხელფასის ორგანიზაციის ერთიანი სატარიფო ბაძე და თითოეული უწყება თვითნებურად, თავისი სურვილის მიხედვით, განსაზღვრავს სახელფასო განაკვეთებს, სისტემატურად ირღვევა შრომის ანაზღაურების ისეთი ფუძემდებლური პრინციპი, როგორიცაა: თანაბარი ანაზღაურება თანაბარი შრომისათვის (ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობისა და დარგის მნიშვნელობის გათვალისწინებით). აუცილებელია ხელფასის ორგანიზაცია ისე იყოს აგებული, რომ მან უზრუნველყოს ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური აღმავლობის თუ წარუმატებლობის დაახლოებით ერთნაირი გავლენის მოხდენა ყველა

¹ დაქირავებით დასაქმებულებიდან სხელმწიფო საბიუჯეტო და საჯარო სტრუქტურაში 300 ათას ადამიანამდე მუშაობს, ანუ დაახლოებით 45 %, რაც, ცხადია, არანორმალურია და დასაქმების ირაციონალურ სტრუქტურაზე მეტყველებს. შესაბამის სპეციალისტთა აზრით, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, დასაქმების ოპტიმალური სტრუქტურისას, საბიუჯეტო სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დაქირავებით დასაქმებულთა 1/5-ს.

დასაქმებულის შემოსავალზე, ამ უკანასკნელის შრომითი წვლილის შესაბამისად. ჩვენში, სამწუხაროდ, ბოლო წლებში დამკვიდრდა მავნე პრაქტიკა, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო უწყებების მაღალჩინოსანთა ხელფასებს ზრდიან ყოველგვარი სერიოზული დასაბუთების გარეშე ისე, რომ მას არ ახლავს ქვეყნის ეკონომიკის შესაბამისი ტემპით განვითარება და არც სხვა რიგით დასაქმებულთა ხელფასის ანალოგიური მატება. უფრო მეტიც, პრაქტიკაში დაინერგა ხელმძღვანელი მუშაკებისათვის ხელფასზე ე.წ. დანამატებისა და ყოველთვიურად საკმაოდ მაღალი პრემიების გაცემის სისტემა, რომელიც არაა მიბმული რაიმე კონკრეტულ წარმატებასთან. ასე, რომ უკანასკნელ წლებში ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირთა შრომის ანაზღაურების სიდიდის მიხედვით საქართველო მიუახლოვდა განვითარებული ქვეყნების ხელისუფალთა შრომის ანაზღაურების სიდიდეს მაშინ, როცა ეკონომიკური განვითარების დონით ჯერ კიდევ რამდენჯერმე ჩამოვრჩებით მათ. ზოგიერთი გაანგარიშებით, მარტო 2013 წელს სხვადასხვა დონის სახელმწიფო სამსახურის მუშაკებზე პრემიის სახით გაცემულია 130 მლნ-ზე მეტი ლარი. სამწუხაროდ, სახელმწიფო უწყებებში აღნიშნული მავნე პრაქტიკა წარმატებით გადაიდეს ისეთმა არჩევითმა ორგანოებმა, როგორიცაა: ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო, საკრებულოები. მერიები, მუნიციპალური გამგეობები და სხვ. ხშირად პრემიებს გაცემენ ხალხის მიერ არჩეულ დეპუტატებზე ისე, რომ იგი არაა დაკავშირებული მათ მუშაობაში რაიმე კონკრეტულ წარმატებასთან. ყოველივე ამით, არა მარტო უყაირათოდ იხარჯება ქვეყნის ბიუჯეტის სახსრები, არამედ ხდება პრემიის, როგორც მატერიალური სტიმულირების მეთოდის, გაუფასურება.

დასაბუთება ის, რომ სახელფასო პოლიტიკის ფორმირებისას მაღალი დონის სახელმწიფო მუშაკებს არ ავიწყდებათ

თავიანთი ხელფასის ზრდაზე ზრუნვა, მაგრამ მხედველობიდან რჩებათ ზრუნვა ისეთ პრიორიტეტულ დარგებზე, როგორიცაა: განათლება, მეცნიერება, მედიცინა და სხვ. ქვეყნების უმეტესობაში განათლება პრიორიტეტული დარგია და აქ დასაქმებულთა საშუალო ხელფასი მნიშვნელოვნად აღემატება ქვეყანაში არსებულ საშუალო ხელფასს. ჩვენთან კი პირიქითაა. სექტორული ჭრილით პედაგოგთა შრომა ერთ-ერთი ყველაზე დაბალანაზღაურებადია. 2014 წლის პირველ კვარტალში განათლების სექტორში საშუალო თვიური ხელფასი 426 ლარია, ანუ თითქმის 2-ჯერ ნაკლები, ვიდრე მთლიანად დაქირავებით დასაქმებულებში.¹ საკვირველია, მაგრამ ფაქტია, რომ სახელმწიფო სექტორში დასაქმებულ დამლაგებელთა საშუალო თვიური ხელფასი საჯარო სკოლის პედაგოგების საშუალო თვიურ ხელფასზე მეტია (ამბობენ, რომ პარლამენტში დასაქმებულ დამლაგებელთა საშუალო თვიური ხელფასი 1000 ლარის ფარგლებშია). ამით ჩვევენ სრულიად არ ვაკნინებთ დამლაგებლის შრომას, მაგრამ უბრალო ჭეშმარიტებაა, რომ პედაგოგის შრომა, სულ მცირე, არანაკლებ ღირსეულია და მას დაფასება სჭირდება.

უფრო უარეს მდგომარეობაშია მეცნიერებაში დასაქმებულები. როგორც ცნობილია, ე. წ. ვარდების რევოლუციის შედეგად მოსულმა ხელისუფლებამ, ყოვლად უსამართლოდ, ფაქტობრივად, გააუქმა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და დარგობრივ სახელისუფლებო უწყებებთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები. ამან გამოიწვია საქართველოში მეცნიერებაში დასაქმებულთა მკვეთრი შემცირება და, შესაბამისად, მნიშვნელოვან პრობლემებზე ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის

¹ ამავე პერიოდში, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ყველაზე მაღალანაზღაურებადი იყო საფინანსო სექტორი, სადაც საშუალო ხელფასი 1774,8 ლარია, ხოლო მეორე ადგილზეა სახელმწიფო მმართველობა-1190 ლარი.

მეცნიერული კვლევების მკვეთრი შემცირება და, ზოგიერთ შემთხვევაში, მათი შეწყვეტა. რაც შეეხება დღეისათვის გარკვეული დანაკარგებით შემორჩენილ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებს, მათი უმეტესობა ჯერ კიდევ ბედის ანაბარაა მიტოვებული და აქ დასაქმებულთა ყოველთვიური ხელფასი მართლაც რომ მიზერულია (უმეტეს შემთხვევაში 200-400 ლარი თვეში). გამოდის, რომ ისინი ძირითადად ენთუზიაზმით მუშაობენ.

ჯანმრთელობის დაცვის სისტემაშიაც არაა სახარბიელო მდგომარეობა. გასულ წლებში ყოფილი ხელისუფლების მიერ აქ ჩატარებულმა “რეფორმებმა” არათუ გააუმჯობესა, არამედ გააუარესა როგორც მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, ასევე სამედიცინო პერსონალის მუშაობისა და ცხოვრების პირობები. ასე, მაგალითად, 2005 წელთან შედარებით, 2012 წლისათვის, საავადმყოფო ადგილების რაოდენობა შემცირებული იყო 34%-ით, ექიმების რიცხოვნობა—4,5, ხოლო საშუალო სამედიცინო პერსონალის რიცხოვნობა—34%-ით და მეტად. მართალია, ახალი ხელისუფლების პირობებში მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის გაუმჯობესების მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა, მაგრამ ჯერ კიდევ ცოტა გაკეთდა აქ დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების მოსაწესრიგებლად. ამის დასტურია, თუნდაც ის, რომ 2014 წლის პირველი კვარტლის მდგომარეობით, აქ დასაქმებულთა საშუალო თვიური ხელფასი მთელ ქვეყანაში საშუალო თვიურ ხელფასზე დაბალია, მიუხედავად იმისა, რომ მოცემულ სექტორში უმეტესად დასაქმებულია მაღალკვალიფიციური პერსონალი და რომელთა ეფექტიან მუშაობაზე დამოკიდებულია ადამიანთა ჯანმრთელობა და სიცოცხლე.

გამოდის, რომ ეკონომიკის ისეთ პრიორიტეტულ დარგებშიაც, როგორიცაა მეცნიერება და ჯანმრთელობის დაცვა, დასაქმებულები ძირითადად მუშაობენ ენთუზიაზმზე

დაყრდნობით. ასე გაგრძელება ყოველად დაუშვებელია, რამდენადაც ქვეყანას, რომელიც არ ზრუნავს თავისი მოსახლეობის განათლებაზე, მეცნიერების განვითარებასა და ჯანმრთელობის დაცვაზე მომავალი არ აქვს.

ზემოაღნიშნული და სხვა რეალური ფაქტებიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ხელისუფლებაში დასაქმებულ არც ერთ ხელმძღვანელს არ აქვს მორალური უფლება იფიქროს და იზრუნოს მის და მის გარშემო მყოფ პირთა ბიუჯეტის ხარჯზე შემოსავლების გაზრდაზე, თუ მას არ ახლავს ქვეყნის ეკონომიკის საერთო აღმავლობა და მისდამი დაქვემდებარებული სამსახურის წარმატებული მუშაობა. მათი უპირველესი საზრუნავია— იღვაწონ მათდამი მიხედვითი ფუნქციების ეფექტიანად შესასრულებლად, რაც უზრუნველყოფს ქვეყნის საერთო ეკონომიკურ წინსვლასა და, შესაბამისად, მოსახლეობის შემოსავლების მატებას. ცხადია, ეს სიკეთე გონივრულად უნდა გადანაწილდეს მოსახლეობის ყველა ფენაზე, მათ შორის პენსიონერებსა და სოციალურად დაუცველებზე. ნათქვამი სრულებითაც არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო სამსახურში მომუშავე მუშაკებს არ უნდა ჰქონდეთ თავიანთი შრომის ღირსეული ანაზღაურება, მაგრამ იგი უნდა რეგულირდებოდეს ქვეყნის ფინანსური შესაძლებლობიდან გამომდინარე, საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის განკუთვნილი ხელფასის ერთანი სატარიფო ბადის გამოყენებით. ყოველად გაუმართლებელი და უხერხულიცაა, როცა მაღალი რანგის (ზოგჯერ არც ისე მაღალის) ხელმძღვანელი მუშაკი მხოლოდ ერთ თვეში შრომის ანაზღაურების სახით (დანამატებისა და პრემიების ჩათვლით) საშუალოდ იღებს იმაზე მეტს, ვიდრე დამსახურებული პენსიონერი რამდენიმე წლის განმავლობაში, რაც აშკარად ეწინააღმდეგება სოციალურ სამართლიანობას. საქმე ისაა, რომ პენსიის ოდენობა, სოციალური სამართლიანობიდან გამომდინარე, მიბმული უნდა

იყოს ხელფასის სიდიდესთან, როგორც ამას სხვა მრავალ განვითარებულ ქვეყანაში აქვს ადგილი. მაგალითად, ჩეხი პენსიონერები პენსიის სახით იღებენ მუშაობის პერიოდში არსებული მათი ხელფასის 50%-ს, ფინეთში ანალოგიური მაჩვენებელია 58,4%, პორტუგალიაში—54%, სლოვენიაში—62%, თურქეთში—65,4%, იტალიაში—65%, ავსტრიაში—77%, ლუქსემბურგში—87%, საბერძნეთში 96% და ა.შ. [8, გვ.1/4,2/4]. ჩვენთან კი პენსია საერთოდ არაა დაკავშირებული თითოეული პენსიონერის შრომით წვლილთან, ანუ მუშაობის პერიოდში მის ხელფასთან და ყველა, გარდა ზოგიერთი კატეგორიის მომუშავეებისა (უმეტესად ძალოვანი სტრუქტურების), ყოველთვიურად პენსიის სახით იღებს ერთი და იგივე ოდენობის თანხას, მუშაობის პერიოდში მისი შრომითი წვლილის მიუხედავად. იგი დღეს 150 ლარის ტოლია და ჩამორჩება რეალურ საარსებო მინიმუმსაც კი. ფაქტობრივად, საქმე გვაქვს არა შრომით პენსიასთან, არამედ სოციალურ დახმარებასთან.

ქვეყნის საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივად და ეკონომიურად ხარჯვის აუცილებლობა განპირობებულია, აგრეთვე, სახელმწიფოს ვალდებულებით— ყოველმხრივ ეხმარებოდეს სოციალურად დაუცველებს. სამწუხაროდ, ამ მხრივ ჩვენში არასახარბიელო მდგომარეობაა. მაგალითად, “იუნისეფის” მიერ გავრცელებული მონაცემებით [9, გვ.1/3], საქართველოში 0-16 წლის ბავშვების 27% სიღარიბეში ცხოვრობს, რომლებიდანაც 50000 ბავშვი უკიდურეს სიღატაკეს განიცდის. აღსანიშნავია, რომ “იუნისეფის” მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ბავშვების პროცენტული მაჩვენებელი 2011 წლის 25%-დან 2013 წელს 27%-მდე გაიზარდა. შეიძლება სხვა მსგავსი მაგალითების მოტანა.

სახელმწიფო სექტორში, განსაკუთრებით სახელმ-

წიფო ხელისუფლებაში დასაქმებულთათვის, შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის სრულყოფის კონკრეტული გზების ძიებისას, დიდი მნიშვნელობა აქვს მოცემულ სფეროში მოწინავე ქვეყნების გამოცდილების შესწავლას და, საჭირო შემთხვევაში, მის გამოყენებას ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით. მაგალითისათვის ავიღოთ აშშ, სადაც სავსებით სამართლიანად, მიაჩნიათ, რომ სახელმწიფო ხელისუფლებაში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებული საკითხები განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რამდენადაც მისთვის დამახასიათებელია ისეთი სპეციფიკური თავისებურებანი, როგორიცაა: მას არ ახასიათებს მოგებისადმი მაქსიმალური მისწრაფება; დასაქმებულები აქ იზრდება უფრო სწრაფად, ვიდრე სხვა სექტორში; ადამიანთა საქმიანობის მოცემულ სფეროში პროფკავშირების საქმიანობასა და კოლექტიურ ხელშეკრულებათა მარეგულირებელ კანონებს, კონფლიქტების მართვასა და ხელფასის განაკვეთების განსაზღვრას გააჩნია თავისებურებანი და ა.შ.

აშშ-ის სახელმწიფო ხელისუფლებაში დასაქმებულთა სახელფასო განაკვეთის დადგენისას, საფუძვლად იდებენ ე. წ. “შესადარ კერძო მოსამსახურეების” სახელფასო განაკვეთებს. იგი (ხელისუფლებაში დასაქმებულთა სახელფასო განაკვეთები) დროდადრო შეიძლება დაექვემდებაროს ცვლილებებს, რომელიც ფედერალურ ხელისუფლებაში ხორციელდება ქვეყნის პრეზიდენტის ან კონგრესის მიერ [7, გვ.567]. ცხადია, ამ დროს მხედველობაში იდებენ დასაქმებულთა ცოდნასა და გამოცდილებას. ზემოაღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ კვალიფიკაციის დონით ერთნაირი მომუშავენი, რომლებიც ასრულებენ შესადარის სამუშაოებს სახელმწიფო და კერძო სექტორებში, იდებენ აბსოლუტურად ერთნაირი ოდენობის ხელფასს. ამ მხრივ საინტერესოა 1975

წელს შერონ სმიტის მიერ ჩატარებული გამოკვლევა. ამ გამოკვლევის მიხედვით, ფედერალურ მთავრობაში მომუშავეთა ხელფასი 13-20%-ით მეტი იყო, ვიდრე კერძო სექტორში შესადარი მახასიათებლების მქონე მომუშავეებისა. შტატებისა და ადგილობრივი ადმინისტრაციის მოსამსახურეებში ეს განსხვავება უფრო მცირე იყო, რაც შემდგომ წლებში კიდევ უფრო შემცირდა [7, გვ. 568].

როგორც ცნობილია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მომუშავენი გადაადგილდებიან სექტორიდან სექტორში, სანამ შრომის ანაზღაურებაში არ დამყარდება წონასწორობა. ხელფასის სიდიდის გარდა, მოცემულ შემთხვევაში გასათვალისწინებელია ისეთი მომენტებიც, როგორიცაა: მომუშავეის სტატუსი, შრომის პირობები, ხელფასს არმიკუთვნებული გაცემები, მანქანით მომსახურების შესაძლებლობა და ა. შ.

საქართველოში, სამწუხაროდ, ხელისუფლებაში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების საკითხები ნაკლებად ან საერთოდ არაა შესწავლილი. ერთი რამ კი ცხადია: აქ დასაქმებულები საშუალოდ იღებენ მეტ ხელფასს, ვიდრე კერძო სექტორში დასაქმებულები. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ აქ თავისი სურვილით გათავისუფლების საშუალო დონე გაცილებით დაბალია, ვიდრე კერძო სექტორში. პირიქით, კვალიფიციური ადამიანების დიდი ლტოლვაა—დასაქმდნენ სახელმწიფო ხელისუფლებაში. ამიტომ, გადაჭარბებულად გვეჩვენება ზოგიერთი მაღალი რანგის ხელმძღვანელის შიში იმაზე, რომ თუ ხელმძღვანელ მუშაკებს არ ექნებათ მაღალი სახელფასო განაკვეთები და პრემიები, მოხდება მათი განთესვა. როგორც უკვე აღინიშნა, ცხადია, ამით არ ვამტკიცებთ, რომ ხელისუფლებაში დასაქმებულებს და განსაკუთრებით მაღალი რანგის ხელმძღვანელ მუშაკებს (მინისტრებს და ა. შ.) არ უნდა ჰქონდეთ შრომის ღირსეული ანაზღაურება, მაგრამ იგი აუცილებლად უნდა

გამომდინარეობდეს ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობიდან და მათი მუშაობის ეფექტიანობიდან.

გფიქრობთ, გარკვეულ ყურადღებას იმსახურებს მარეგულირებელი კომისიების წევრებისა და მათში დასაქმებული ხელმძღვანელი მუშაკების შრომის ანაზღაურების დღევანდელი პრაქტიკა. ხშირად, ასეთი კომისიების ცალკეულ წევრთა ხელფასი ქვეყნის პრეზიდენტის ხელფასსაც კი რამდენჯერმე აღემატება. მაგალითად, საჯარო სამსახურის ვებგვერდზე განთავსებული თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, 2013 წელს შრომის ანაზღაურების სიდიდით (სარგო, დანამატი, პრემია) ყველაზე “წამყვან” პოზიციაზეა კომუნიკაციის ეროვნული კომისია, სადაც მის თავმჯდომარეს წლის განმავლობაში მიღებული აქვს 311744, ანუ საშუალოდ თვეში თითქმის 26 ათასი ლარი, ხოლო მის თითოეულ წევრს 309 ათასზე მეტი ლარი [10, გვ. გვ. 1/10, 2/10, 3/10; 11, გვ. გვ. 2/5, 3/5, 4/5]. მეტ-ნაკლებად ანალოგიური მდგომარეობაა სხვა მარეგულირებელ კომისიებში. ასეთი მეტისმეტად მაღალი ხელფასები, მაშინ როცა ეკონომიკა ნაკლებგანვითარებულია და ქვეყანაში დასაქმებულთა მნიშვნელოვანი ნაწილის (პედაგოგების, მეცნიერ-მუშაკების, მედ-პერსონალის და ა. შ.) ხელფასი მეტისმეტად დაბალია, ხოლო ბევრს საარსებო მინიმუმის ოდენა შემოსავალიც კი არ აქვს, უსამართლო და გამაღიზიანებელია, რაც ამძიმებს ისედაც მძიმე სოციალურ ფონს. მართალია, მარეგულირებელი კომისიები უშუალოდ ბიუჯეტიდან არ ფინანსდება, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ აქ ხელფასის ორგანიზაციის არსებული სატარიფო სისტემა არავითარ ცონტროლს არ საჭიროებდეს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, შრომის ანაზღაურების ორგანიზაციაში მსგავსი ნაკლოვანებები გააჩნია საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით ფუნქციონი-

რებადი ორგანიზაციების მნიშვნელოვან ნაწილს. მაგალითად, “საქართველოს რკინიგზაში“, რომლის 100%-იან წილს ფლობს სახელმწიფო, მართვის სფეროში დასაქმებულებისა და რიგით მომუშავეთა ხელფასებს შორის სხვაობა მეტისმეტად მაღალია. კერძოდ, წამყვანი მენეჯერების საშუალო ყოველთვიური ხელფასი 10-15 ათასი ლარია, ხოლო რიგითი რკინიგზელისა, ხშირად 500-600 ლარს არ აღემატება [1/3,1/5,2/5]. მართალია, საქართველოს რკინიგზა კომერციული სტრუქტურაა და ხელფასის სატარიფო ბაზეს იგი დამოუკიდებლად ადგენს, მაგრამ რადგან მისი ქონების 100% სახელმწიფოსია და სხვადასხვა კატეგორიის მომუშავეს ხელფასის სიდიდეში ასეთი დიდი სხვაობაა, მას (სახელმწიფოს) შეუძლია გააკონტროლოს სიტუაცია და, თუ საჭიროა, შესაბამისი მითითებები მისცეს მოცემული ორგანიზაციის ხელმძღვანელობას.

ანალოგიური (ზოგჯერ უარესიც) მდგომარეობაა ბიუჯეტიდან დაფინანსებულ სხვადასხვა ფონდში. მაგალითად, მერიასთან არსებული თბილისის განვითარების ფონდის ახალი ხელმძღვანელის ინფორმაციით, უკანასკნელ პერიოდამდე აქ ფორმალურად გაფორმებული იყო 72 ადამიანი, მათგან ბევრი- ფიქტიურად (უმეტესად, ყოფილი ნაციონალი მაღალჩინოსნები), რომლებიც სამსახურში არავის უნახავს და არაფერიც გაუკეთებიათ. მიუხედავად ამისა, თითოეული მათგანი ხელფასის სახით (პრემიასთან ერთად) თვეში იღებდა 4-5 ათას ლარს, ზოგჯერ 2-ჯერ მეტსაც კი. ყოველივე ეს ხდებოდა ბიუჯეტის ხარჯზე და ხელფასის ოდენობა დგინდებოდა ვოლინტარისტულად, ყოველგვარი ეკონომიკური დასაბუთების გარეშე. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია [14,გვ.გვ.3/10,4/10,5/10,6/10,7/10].

საქართველოში დაქირავებით დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების სფეროში ზემოაღნიშნული და სხვა ნაკ-

ლოვანებები მნიშვნელოვანწილად გამოწვეულია იმით, რომ დღეს, ბევრი განვითარებული ქვეყნისგან განსხვავებით, ჩვენთან არ არსებობს შრომისა და დასაქმების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი დამოუკიდებელი ორგანო. საქართველოში ასეთი ორგანო, შრომის სამინისტროს სახელწოდებით, ფუნქციონირებდა 2000 წლამდე. მისი ძირითადი ფუნქციები იყო: საბიუჯეტო სფეროს მუშაკთა შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის სრულყოფის ღონისძიებათა შემუშავება და მათი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისათვის წარდგენა; კოლექტიური შრომითი დავის გადაწყვეტის კოორდინაცია, კანონით დადგენილი წესით; მეწარმეთა გაერთიანებებსა და პროფესიულ კავშირებთან გენერალურ და დარგობრივ შეთანხმებათა დადების ორგანიზაციულ-მეთოდური აქტების შემუშავება და ამ შეთანხმებათა შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლი; შრომისა და შრომის დაცვის სფეროს მაკონტროლებელი ორგანოების კოორდინაცია; დასაქმების ეროვნული, რეგიონული და სხვა მიზნობრივი პროგრამების შემუშავების კოორდინაცია და სხვ. 2000 წელს, სამწუხაროდ, აღნიშნული სამინისტრო გაუქმდა და იგი შევიდა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს შემადგენლობაში. მოგვიანებით ამ სამინისტროს შეუერთდა სოციალური დაცვის სამინისტრო და ეწოდა “საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო“. შრომის სამინისტროს სხვა სამინისტროსთან შერწყმის პერიოდიდან დაიწყო შრომის სფეროში ფუნქციონირებადი სამსახურების, განყოფილებებისა და მათში მომუშავე პერსონალის შემცირება. ამასთან, შეიკვეცა მოცემულ სფეროში სამინისტროს ფუნქციები. ყოველივე ამას არ შეიძლება უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა ქვეყანაში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების სფეროში სამართლიანობისა და წესრიგის დამყარებაზე.

საქართველოში, დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებათა შესამცირებლად, აუცილებლად მიგვაჩნია გატარდეს რიგი ისეთი ღონისძიება, როგორიცაა: 1) უპირველეს ყოვლისა, **აუცილებელია დაიხე-წოს შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის საკანონმდებლო ბაზა** ისე, რომ მან უზრუნველყოს ხელფასის ორგანიზაციის მთავარი პრინციპის—“თანაბარი ანაზღაურება თანაბარი შრომისათვის“, რეალიზაცია. ხელისუფლება ვალდებულია სახელმწიფო სექტორში დაამყაროს შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის ისეთი სანიმუშო წესრიგი, რომელიც მისაბამი იქნება კერძო სექტორისთვისაც. ამისათვის აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს და რეალურად ფუნქციონირებდეს **ხელფასის ორგანიზაციის ერთიანი სატარიფო ბადე**— საბიუ-ჯეტო სფეროს მომუშავეთა შრომის ანაზღაურების რეგუ-ლირებისათვის განკუთვნილი ნორმატივების ერთობლიობა. ხელფასის ერთიანი სატარიფო ბადე მოიცავს ეკონომიკის ყველა დარგის მომუშავეთა ყველა კატეგორიას— მუშები-დან დაწყებული უმაღლესი დონის ხელმძღვანელებამდე. ასეთ სატარიფო ბადეში პროფესიები და თანამდებობები ჯგუფდება შესასრულებელი სამუშაოების (ფუნქციების) ერთგვაროვნების ნიშნით. მუშებისა და მოსამსახურეების ტარიფიკაცია, ანუ მათი მიკუთვნება შრომის ანაზღაურების გარკვეული თანრიგისადმი, ხდება შესასრულებელ სამუშ-აოთა (ფუნქციების) სირთულის ნიშნის მიხედვით;

2) მოსახლეობის დაბალშემოსავლიანი ფენების სო-ციალური დაცვის უზრუნველსაყოფად, შრომის საერთაშორ-ისო ორგანიზაციის შესაბამისი კონვენციებიდან გამომდინ-არე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია **სახელმწიფო ხელისუფლე-ბამ განსაზღვროს და სათანადოდ დაამტკიცოს ხელფასის მინიმალური დონე**, როგორც ამას მსოფლიოს მრავალ განვი-თარებულ ქვეყანაში აქვს აღიღი. ამ მიზნით, განსაკუთრებ-

ული ყურადღება უნდა დაეთმოს მისი (ხელფასის) მარეგუ-ლირებელი საკანონმდებლო ბაზის დამუშავებას, რომლის დროსაც აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს მოცემულ სფეროში სხვა ქვეყნების გამოცდლება¹. მაგალითად, ქვეყ-ნებში (გერმანია, ფინეთი, იტალია, შვედეთი და სხვ.), სა-დაც კოლექტიური ხელშეკრულებები მოიცავს მშრომელთა უმეტეს ნაწილს, მინიმალური ხელფასი დაწესებულია ის-ეთი ჯგუფების მომუშავეებზე, რომლებიც არაა ჩართული ასეთ სახელშეკრულებო ურთიერთობებში და მისი მიზა-ნია დასაქმებულთა უფლებების დაცვა. ზოგიერთ ქვეყანაში (საფრანგეთი, პოლანდია, პორტუგალია, ესპანეთი და სხვ.) ფიქსირებული მინიმალური ხელფასის სისტემას გლობალ-ური ხასიათი აქვს და იგი თითქმის ყველა მომუშავეზე ვრ-ცელდება. ზოგიერთ ქვეყანაში კი (მაგალითად, ბელგიაში) იგი დგინდება ეკონომიკის სექტორების მიხედვით.

საქართველოში, იმის გამო, რომ აქ სუსტადაა განვი-თარებული პროფკავშირული მოძრაობა და, შესაბამისად, კოლექტიური სახელშეკრულებო ურთიერთობების სისტემა, მიზანშეწონილია გარანტირებული მინიმალური ხელფასის დაწესებას ჰქონდეს გლობალური ხასიათი, ანუ იგი ვრცელ-დებოდეს დაქირავებით დასაქმებულთა ძირითად მასაზე;

3) ხელფასის ორგანიზაციის მოწესრიგებისა და მისი სრულყოფის მიზნით, **აუცილებელია გაიზარდოს მოცემულ სფეროში პროფკავშირების როლი**, რაც დღეს უკიდურესად დაკნინებულია. სასურველია ქვეყანაში ხელფასის ორგანიზ-აციის რეგულირება ხდებოდეს როგორც ეროვნული, ასევე დარგობრივი კოლექტიური ხელშეკრულებების საშუალებით და ამას მასობრივი ხასიათი ჰქონდეს, როგორც ეს სკან-დინავიის ქვეყნებშია. აქედან, პირველი მათგანი მოგვცემდა

¹ განვითარებულ ქვეყნებში, როგორც წესი, დაწესებულია საათობრივი მინიმალური ხელფასი.

მინიმალური ხელფასის გარანტიას და განსაზღვრავდა მისი ინდექსაციის წესს. რაც შეეხება დარგობრივ კოლექტიურ ხელშეკრულებას, იგი, როგორც წესი, იდება 3-4 წელიწადში ერთხელ და ითვალისწინებს წარმოების კონკრეტულ პირობებს;

4) აუცილებელია განათლების, მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის მოწესრიგება.. მოცემულ დარგებში, როგორც წესი, დასაქმებულია მაღალკვალიფიციური ადამიანები, რომელთა საქმიანობა საზოგადოებაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო პრესტიჟულია და, შესაბამისად, მათ უნდა ჰქონდეთ შრომის ღირსეული ანაზღაურება;

5) დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ხელფასის ორგანიზაციის ისეთი ფორმებისა და სისტემების დანერგვას, რაც ასტიმულირებს მომუშავეთა პროფესიულ ზრდას. ამ მხრივ მდიდარი და სასარგებლო გამოცდილებაა დაგროვილი მრავალ განვითარებულ ქვეყანაში, მათ შორის აშშ-ში. აქ განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დასაქმებულების მიერ იმ მომიჯნავე პროფესიების ათვისებას, რაც აუცილებელია მოცემული საწარმოსათვის. კონკრეტულ პროფესიებში შეძენილი ცოდნისა და მიღებული შრომითი ჩვევებიდან გამომდინარე, დგინდება შრომის ანაზღაურების სკალა. ყურადღებას იმსახურებს შევადეთში გაერცვლებული ე. წ. ”სოლიდარული ხელფასის პოლიტიკა“, რომლის საფუძველია თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურების და მაქსიმალურ და მინიმალურ ხელფასებს შორის სხვაობის შემცირების პრინციპი. ჩვენში, სამწუხაროდ, ბოლო წლებში ადგილი აქვს საპირისპირო მოვლენას – მაქსიმალურ და მინიმალურ ხელფასებს შორის სხვაობა არათუ მცირდება, არამედ იზრდება კიდევ. ზემოაღნიშნულთან ერთად, აუცილებელია მჭიდრო კავშირი არსებობდეს ხელფასის სიდიდესა და მომუშავის

შრომის ეფექტიანობას შორის. საბოლოო ანგარიშით, შრომის ანაზღაურების სიდიდე უნდა განისაზღვროს მომუშავის კვალიფიკაციისა და მის მიერ დახარჯული შრომის რაოდენობისა და ამ უკანასკნელის ეფექტიანობის დონის მიხედვით;

6) აუცილებელია მოწესრიგდეს სახელმწიფო ხელისუფლების მმართველობაში დასაქმებულთა და განსაკუთრებით მაღალჩინოსანთა ხელფასის ორგანიზაცია. ამჟამად ქვეყანაში არ არსებობს ეკონომიკურად დასაბუთებული რაიმე წესი, რომელსაც შეიძლებოდა დაყრდნობოდნენ ზემოაღნიშნული კატეგორიის მომუშავეთა ხელფასის დონის განსაზღვრისას, მითუმეტეს, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ჩვენში, ფაქტობრივად, არ ფუნქციონირებს საბიუჯეტო სფეროს მომუშავეთათვის ხელფასის ერთიანი სატარიფო ბადე. ამ და სხვა მიზეზებით გამოწვეულ გაუგებრობათა თავიდან აცილების მიზნით, ჩვენ ვიზიარებთ პროფესორ ს. პავლიაშვილის მოსაზრებას, რომელიც თვლის, რომ გამართლებული იქნებოდა “საჯარო მოხელეების ხელფასი ჯერადად ყოფილიყო დამოკიდებული საარსებო მინიმუმთან. ვთქვათ, პირობითად, პრეზიდენტის ხელფასი 20-ჯერ უფრო მაღალი-საარსებო მინიმუმთან და ა. შ.” [12, გვ.2/3]. “გარანტირებული მინიმალური ხელფასის” კატეგორიის შემოღების შემთხვევაში კი, ჩვენი აზრით, უმჯობესია, თუ მაღალი რანგის ხელმძღვანელთა ხელფასის ოდენობა ჯერადად დაკავშირებული იქნება არა საარსებო მინიმუმთან, არამედ მინიმალურ ხელფასთან. ამასთან, აუცილებლად დასახვეწია ხელმძღვანელ მუშაკებზე ხელფასზე დანამატებისა და პრემიების გაცემის წესი. ბოლო უნდა მოედოს უკანასკნელ წლებში მოცემულ სფეროში ქაოსსა და უსამართლობას, რომელიც საზოგადოების გაღიზიანებასა და სამართლიან გულისწყრომას იწვევს. ზემოაღნიშნული დონისძიებების გატარებით მოხდება ქვეყ-

ნის შიგა პროდუქტში სახელმწიფო ბიუროკრატის ამჟამად გაუმართლებლად არსებული მაღალი წილის შემცირება;

7) მიზანშეწონილია ქვეყანაში ადღეს დასაქმებისა და შრომის ანაზღაურების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელი დამოუკიდებელი სამსახური, როგორც ეს მრავალ ქვეყანაშია.

ეფექტობა, ზემოაღნიშნული ღონისძიებების გატარება მნიშვნელოვნად შეამცირებს ქვეყანაში დასაქმებულთა შრომის ანაზღაურების ორგანიზაციაში არსებულ ნაკლოვანებებს და გაზრდის მომუშავეთა მოტივაციას შრომის ეფექტიანობის ამაღლებაში, რაც სოციალურ-ეკონომიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

Paradoxes of modern wage policy and ways of overcoming

N. Paichadze

This article is performed on the problems of job compensation of people employed in Georgia. In the Introduction is given short observation of salary policy existed in Georgia in last years and there is made a conclusion, that the settled opinion about the fact that government should not interfere in establishment of salary policy is mistaken. This is caused by the fact that till present period of time the government could not manage to create a legal basis of salary regulation.

Special attention in the above article is devoted to the analysis of shortcomings existed in organization of salary for them who are employed in budgetary sphere. There is criticized the practice of last

საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის რ. გოცირიძის გაანგარიშებით, სახელმწიფო ბიუჯეტში წელს ბიუროკრატული ხარჯები მხოლოდ ხელფასის სახით, 126 მლნ ლარით გაიზარდა [13.გვ.3/5].

years, when the persons of high ranks or positions, without any legal basis or simply by their own discretion (themselves) are increasing their salary. Much attention is devoted to shortcomings in salary compensation of employees, who are employed in the sphere of Education, Science and Healthcare.


In the above article there is also analyzed the existed practice of salary management in the organizations having the status of so called Regulation Boards and Legal Entity of Public law and is made up a conclusion that in this sphere there are also a lot of shortcomings.

Finally, there are given the plans of a lot of concrete events by the author, implementation of which will support reducing the shortcomings existed in the sphere of salary compensation for the employees and to improve this problem

გამოყენებული ლიტერატურა

1. პაიჭაძე ნ. შრომის ანაზღაურების მართვის პრობლემები საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, 2011, №9, გვ. 261;
2. ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ. სამუშაო ძალის ბაზარი და ხელფასის ორგანიზაციის მექანიზმი, თბ., 1996;
3. ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ. შრომის ბაზრის განვითარების პერსპექტივები საქართველოში, ჟურნ. "ეკონომიკა და ბიზნესი", 2012, №1, გვ.77;
4. ცარციძე მ. ხელფასი და მასზე მოქმედი ფაქტორები თანამედროვე შრომის ბაზრის პირობებში, ჟურნ. "ეკონომიკა და ბიზნესი", 2013, №5, გვ.45;
5. ცარციძე მ., შრომის ანაზღაურების ორგანიზაციის ძირითადი მიმართულებები საქართველოში, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის შრომები, 2012, №10, გვ.266;

6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მასალები;
7. Роналд Дж. Роберт С.Смит. Современная экономика труда. Теория и государственная политика. Перевод с английского. М.,1996;
8. <http://www.bpn.ge/finansebi/4474-10gvey-na-sadac-yvelaze-maghali-pensiaa.html?ang=kaGE>
9. <http://liberali.ge/>
10. https://idfi.ge/ge/maregulirebel_komisiebshi_da_ssipebshi_gacemuli_premiebi_da_saxelfaso_dadanamatebi
11. http://ge/view.php?for_id=3351&cat=3
12. www.tbilisebi.ge/index.php?id=268438913
13. www.bpn.ge/analizi/2372-ufskluli-khelfasebs-shoris-sagarth-veloshi.html?lang=kaGE
14. <http://iverioni.ge6746-themur-khomeriki-kidev-erthkhel-davrts-mundi-rom-nacialebs-sakhelmtsifo-biujeti-jibeshi-hgondath-hadebuli.html>



ექლენება აკადემიკოს ნინო ჯავახიშვილის
ნათელ ხსოვნას

რეზა ლორთქიფანიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის

აღ. ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის

მეცნიერთა სამშრომელი,

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი

სტატიაში ადამიანის ცხოვრების ხარისხის არსებითად გაუმჯობესების მნიშვნელოვან ფაქტორად მიჩნეულია რაციონალური ანტიმონოპოლიური პოლიტიკის გატარება საერთაშორისო გამოცდილების გამოყენებით. მასში ახლებურად დანახული ცხოვრების ხარისხისა და გარემოს კონკურენტულობის ურთიერთკავშირი და, ეკონომიკის სტრუქტურის ეფექტიანობის ევროკომისიის ექსპერტთა მეთოდოლოგიის განვითარების საფუძველზე, შემოთავაზებულია რეკომენდაციები გრძელვადიან სტრატეგიაში ეფექტიანი რაციონალური კონკურენციის პირობების დამკვიდრების თვალთახედვით.

ადამიანის ცხოვრების საუკეთესო ხარისხი, ჩვენი გაგებით, გულისხმობს მაღალი ცხოვრების დონის, სიცოცხლის ხანგრძლივობისა და სოციალური დაცულობის საუკეთესო

პარამეტრების კომპლექსურად უზრუნველყოფას, რაც შესაძლებელია კონკურენტული გარემოს შექმნით, როცა ადამიანის პროფესიონალიზმსა და ტექნოლოგიური დონის ამაღლებასაც საუკეთესო სტიმულები ეძლევა. მონოპოლიურ გარემოში კი, ეს ყოველივე, რაგინდ საუკეთესო ტრადიციები და განათლებისა და ტექნიკური დონეები იყოს ქვეყანაში, შეუძლებელია.

არსებობს პირდაპირი კავშირი ადამიანის ცხოვრების დონეს, სოციალურ დაცულობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობას შორის, რომელიც, თავის მხრივ, ბუნებრივ (ეკოლოგიურ) ფაქტორებზეც არის დამოკიდებული და განსაკუთრებით მაღალი პარამეტრებით ზომიერი კლიმატური პირობების (მათ შორის საშუალო სიმაღლის მთის) გარემოში აღინიშნება. საერთაშორისო პრაქტიკაში, არაგონივრული საბიუჯეტო პოლიტიკისას, ხშირად, არსებული შესაძლებლობები არასრულფასოვნად გამოიყენება, რის გამოც სოციალური დაცულობის მინიმალური მოთხოვნებიც კი დაუკმაყოფილებელი რჩება.

როგორც ცნობილია, საქართველოს ეკონომიკამ, დამოუკიდებლობის პირველ წლებში, თავს მოხვეული საომარი კონფლიქტების გამო, ქართული კუპონის არნახული ჰიპერინფლაცია იწვნია, რის გამოც, ქვეყანა, 1994 წელს, მსოფლიოში ბოლო ადგილზე აღმოჩნდა მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-ის წარმოებით (მ.შ. მყიდველობითი უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებითაც). მომდევნო პერიოდში, საერთაშორისო საგალუტო ფონდის დახმარებითა და შიგა რესურსების მობილიზებით, მოხერხდა ამ ხილული რეკორდული პრობლემების სწრაფი ჩაქრობა. დღეს-დღეობით კი, სამწუხაროდ, საქართველოს უნიკალურ სიმდიდრეებს და მთლიანად ეკო-

ნომიკას, უხილავი თუ ხილული საერთაშორისო და შიგა არაკეთილსინდისიერი მონოპოლიები ხრავს, რაც, საყოველთაო ძალისხმევით, რაც შეიძლება სწრაფად უნდა იქნეს დაძლეული.

ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების გამოცდილებით, ბაზრის კონკურენტულობის დონის შესაფასებლად, გამოიყენება ჰერფინდალ-ჰირშმანის, ლინდის, ჰოლ-ტაიდმანის, ბაზრის კონცენტრაციის, ენტროპიის, დისპერსიისა და სხვა მრავალი ინდექსი, თავის მხრივ, სხვადასხვა მეტად საინტერესო ინტერპრეტაციით, მაგრამ საქართველოს მოქმედი კანონი „კონკურენციის შესახებ“ [9], რომელიც 2012 წლის მაისში გამოქვეყნდა (2014 წლის მარტში მასში ცვლილებები განხორციელდა), მათ არასათანადოდ იყენებს და, როგორც ჩვენი საგადასახადო კოდექსით კარგა ხანია განსაზღვრული დაუშვებლად უნიფიცირებული ამორტიზაციის ნორმები, ჯერ კიდევ ძალზე შორსაა საჭირო სრულყოფილებისაგან (მ.შ. მუხლი 3, პუნქტი „ი“, მუხლი 8, ნაწილი 1 და სხვ). ეკონომიკის დარგებსა და რეგიონებს მკვეთრად განსხვავებული სპეციფიკა ახასიათებს, რასაც კანონი მაქსიმალურად უნდა ითვალისწინებდეს.

კონკურენციის თეორიული საფუძვლების კვლევაში ფასდაუდებელია გამოჩენილი ქართველი მეცნიერ-ეკონომისტების (ვ. პაპავა, ა. სილაგაძე, ლ. ჩიქავა, ი. მესხია, რ. ასათიანი, რ. აბესაძე და სხვ) კვლევების მნიშვნელობა, გადაუჭარბებლად ძალზე მნიშვნელოვანია ასევე პროფესორების - ს. პავლიაშვილის, ს. ფეტელავას, შ. გოგიაშვილის დასკვნები უშუალოდ ანტიმონოპოლიურ პრაქტიკაზე დაკვირვებებიდან გამომდინარე. არ შეიძლება განსაკუთრებული მადლიერებით არ აღინიშნოს ქართული ეკონომიკისათვის

ურთულეს პერიოდებში ბ-ნ ბიძინა ივანიშვილის დამსახურება ზოგადად მეცნიერების მხარდაჭერისა და მონოპოლიების წინააღმდეგ წამოწეული პოლიტიკურ-ეკონომიკური ინოვაციებისათვის, მაგრამ, პრობლემის უკიდურესი სირთულეებიდან გამომდინარე და ეკონომიკის ცნობილი ინერციულობის გამო, მიმდინარე რეფორმებში ანტიმონოპოლიური ფრონტი დამატებით საყოველთაო ძალისხმევასა და მნიშვნელოვან აჩქარებას საჭიროებს.

რაციონალური კონკურენციის ახალი თეორია [7, გვ. 50] ასახავს ბაზრის მონაწილეთა არამხოლოდ ცალმხრივ მონაწილეობას, არამედ, ე.წ. 3D “ტექნოლოგიით” მონოპოლიურობის დონეს, ხარისხობრივ დეფორმაციებსა და ეკონომიკური აგენტების საჭირო რაოდენობასაც კი.

რაციონალური კონკურენციის თეორიის მიხედვით:

1) ეკონომიკური კონკურენცია ეკონომიკის ეფექტიანი ზრდის უმნიშვნელოვანესი საფუძველია და ის სულ უფრო ქმედით შედეგებს მიაღწევს, თუ კონკურენტულ პაექრობაში ჩართული ობიექტების რიცხვი გარკვეულ რაციონალურ მნიშვნელობამდე გაიზრდება;

2) კონკურენტთა რაოდენობის ზრდის აუცილებლობა არ უნდა ნიშნავდეს მათი ქაოტური მოზღვაების ხელოვნური პირობების შექმნას, მ.შ. არაკეთილსინდისიერი მსხვილი მონოპოლიებისა და ოლიგოპოლიების არაბუნებრივად გადაჭარბებული დანაწევრების გზით, რაც არანაკლებ საზიანო შეიძლება აღმოჩნდეს ეკონომიკისათვის. არაკეთილსინდისიერი მონოპოლიების წინააღმდეგ, ჩვენი აზრით, უნდა ვიმოქმედოთ პრინციპით „გათიშე და ბაზარმა იბატონოს“, მაგრამ გათიშვისა და, საერთოდ, კონკურენტების რაოდენობის გამრავლების პროცესი არაბუნებრივად უსას-

რულო არ უნდა იყოს. ბუნებაში საუკეთესოდ თანაარსებობენ დიდი და მცირე მცენარეები და ცხოველები და ასევე ბუნებრივად უნდა მოვაწყოთ ეკონომიკაც;

3) ეკონომიკა უნდა მოვაწყოთ და არამც და არამც ვიფიქროთ, რომ ის თავისთავად მოეწეობა. ეკონომიკას არ უყვარს უხეში არაგონივრული ჩარევა, მაგრამ, როგორც სახლი არ აშენდება თავისით, არც ეკონომიკა დაბალანსდება თავისით. ადამიანის ჩაურევლად შეიძლება ხე ამოვიდეს ტყეში, მაგრამ ქალაქების საჭირო გამწვანება თავისით ვერ მოხერხდება;

4) კონკურენცია თუ რაციონალური, ანუ ზომიერი უნდა იყოს, ეკონომიკის მართვის მიზანი მხოლოდ ზღვრული ეფექტიანობა უნდა იყოს. მაშასადამე, მეტი შემოსავლის მიღების სურვილი არ არის ცუდი, უფრო მეტიც, აუცილებელია. თუმცა, უნდა გვახსოვდეს, რომ ის მხოლოდ ბუნებრივი კონკურენტული გარემოს გზით უნდა მივიღოთ და მისი განაწილება და გადანაწილებაც ბუნებრივად სამართლიანი უნდა იყოს;

5) ეფექტიანი მართვა გლობალურ, სახელმწიფო და მიკროეკონომიკურ სისტემებსაც სჭირდება და ზღვრულ შედეგებს რომ მივაღწიოთ, ყოველი მათგანის ყველაზე ეფექტიანი ელემენტები უნდა წავახალისოთ საწყის ეტაპებზე, რათა ამით სწრაფად დავეხმაროთ იმ აუცილებელ სფეროებს, რომლებიც ნაკლებშემოსავლიანია. ამასთანავე, უნდა გვახსოვდეს, რომ ეფექტიანი შემადგენლების წახალისებამ ხანგრძლივად არ უნდა დაარღვიოს ეკონომიკური სტრუქტურის ბუნებრივი სიმწიფე ანუ გარკვეული პროპორციულობა.

სახელმწიფოს მართვისა და, შესაბამისად, საკუთრების სხვადასხვა ფორმის კონკურენციის საკითხებზე საკანონმდებლო და თეორიული ხასიათის შედეგების შემუშავება

ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში დაიწყო და კაცობრიობა დღესაც ინტერესით სწავლობს ძველი საბერძნეთის (პლატონი, არისტოტელე), ინდოეთის (კაუტილია), ჩინეთისა (კონფუცი), ბაბილონის (ჰამურაბი) და სხვა ცივილიზაციების მემკვიდრეობას ამ მიმართებით.

კაცობრიობას კარგად ახსოვს, თუ როგორი ნახტომით შეცვალა მსოფლიო ინგლისის სამრეწველო რევოლუციამ. ამ ეპოქის კვალზე, დიდი მნიშვნელობის მოვლენეთა რიგს მიეკუთვნება ინგლისელი ეკონომისტის - ჯონ მეინარდ კეინზის გენიალური რეკომენდაციებიც მართვის (რეგულირების) და შესაბამისად დასაქმების ელემენტარული სქემების შესახებ. რეგულირება, ბუნებრივია, უპირველესად, ანტიმონოპოლიურ ფრონტსაც სჭირდება, ვინაიდან, კონკურენცია ეკონომიკური ზრდის უმთავრესი ფაქტორია.

ჯ. მ. კეინზის აზრით, საზოგადოების გადახდისუნარიანი მოთხოვნის ვარდნა განაპირობებს საქონლისა და მომსახურების წამოების შემცირებას, მცირე მეწარმეების მასობრივ გაკოტრებას, მსვილი ობიექტებიდან დიდი ოდენობით დასაქმებულების დათხოვნას, შედეგად, მსხვილმასშტაბიან უმუშევრობასა და მოსახლეობის შემოსავლების შემცირებას, რაც, თავის მხრივ, გადახდისუნარიანი მოთხოვნის შემდგომი ვარდნისა და ეკონომიკური დეპრესიების პროცესებს აღრმავეს.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან, ძირითადად ერთი ქვეყნის მაკროეკონომიკის ფუნქციონირებაზე დაკვირვების მაგალითების მოხმობით, კეინზი ასკვნის, რომ საბაზრო ეკონომიკას არ შეიძლება ახასიათებდეს თვითრეგულირებადი წონასწორობა, რომელიც სრულ დასაქმებას განაპირობებს. ამის მიზეზი, გამოჩენილი ინგლისელი ეკონომისტის აზ-

რით, დაზოგვისაკენ მიდრეკილებაა, რის გამოც ერთობლივი მოთხოვნა ნაკლებია ერთობლივ მიწოდებაზე. ამდენად, სახელმწიფომ, მისი აზრით, უნდა მოახდინოს ეკონომიკის რეგულირება ერთობლივ მოთხოვნაზე ზემოქმედებით, მ.შ. ფულადი მასის გაზრდით, საპროცენტო განაკვეთის შემცირებით (საინვესტიციო საქმიანობის სტიმულირება), საზოგადოებრივი შეკვეთებისა და სამუშაოების საფუძველზე მოთხოვნის შემცირების კომპენსირებით, საბიუჯეტო ფინანსირებითა და სხვ.

კეინზს, ბუნებრივია, დასავლეთშიც ჰყავს, ჩვენი აზრით, ნაკლებნიჭიერი ოპონენტები, რომლებიც თავისუფალი ბაზრის გადმერთებას ცდილობენ. ვეთანხმები რა კეინზს, დამატებით უნდა დავაზუსტოთ, რომ საბაზრო ეკონომიკას პერიოდული წონასწორობა შეიძლება ახასიათებდეს, მაგრამ ეს სტაბილურად და გრძელვდიან პერიოდებზე ვერ გავრცელდება. ამასთანავე, გლობალიზების ახალ პირობებში, როცა საბაზრო ეკონომიკა გასცდა სახელმწიფოს მასშტაბებს, დროა გავაცნობიეროთ, რომ სულ უფრო მეტი რეგულირება სჭირდება თავად მსოფლიო ეკონომიკას, ანუ სახელმწიფოების კოლექტიური (ურთიერთშეთანხმებული) მოქმედებაა საჭირო და არა ყველასათვის საზიანო არაკეთილსინდისიერი ქიშპობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მსოფლიო ეკონომიკას უფრო ხანგრძლივი დეპრესია მოიცავს, ვიდრე ახალ და უფრო შორეულ ისტორიაში ფიქსირდებოდა. დიდი ქვეყნები სულ უფრო მეტად უნდა იყვნენ დაინტერესებული მცირე ქვეყნების (რომლებიც, საერთო ანგარიშით, მსოფლიო ეკონომიკის თითქმის ორ მესამედს შეადგენს) დასაქმების პრობლემების მოგვარებით, რაც თავად მათი კეთილდღეობის გამრავლების სტიმული იქნება. ამასთანავე, დიდი ქვეყნების მიმართ

მცირე ქვეყნების კეთილგანწყობაც მეტი და მეტი უნდა იყოს და კოლექტიური ძალოვანი მოქმედება მიმართული უნდა იყოს მხოლოდ წარმოდგენელი მასშტაბებით დამაზიანებელი საერთაშორისო ბუნების მონოპოლიური კრიმინალური ბიზნესის წინააღმდეგ და შედეგად აღმოცენებული ტერორიზმისა და სეპარატიზმის მძლავრი კერების ჩასაქრობად.

განმეორებადი გახანგრძლივებული გლობალური კრიზისის დასამარცხებლად, საერთაშორისო სახელმწიფოებრივი ქმედებები (მ.შ. უპირველესად კოლექტიური შეკვეთები), სულ უფრო მეტად უნდა იყოს მიმართული ცალკეული სახელმწიფოების ეკონომიკური სტრუქტურების შესაძლო სიმწიფის უზრუნველყოფაზე, ეკოლოგიურად სუფთა და უდანაპარგო პროგრესული ტექნიკა-ტექნოლოგიების განვითარებასა და აგროსამრეწველო ინდუსტრიაზე, მრავალფეროვან ადგილობრივ უპირატესობათა მაქსიმალურ გათვალისწინებაზე, მოსახლეობის საშუალო ფენის არსებით ზრდაზე და სხვა, რაც მსოფლიო ეკონომიკის სრულფასოვან (ეფექტიან) ამოქმედებას შეუწყობს ხელს.

სამწუხაროდ, დღევანდელი კიბერტექნოლოგიების ეპოქაშიც კი, არიან „სახელოვანი“ მკვლევარები, რომლებიც ეკონომიკის გონივრული რეგულირების მომხრეებს ჩამორჩენილ მოაზროვნეებად „ნათლავენ“ და თავად თვითრეგულირების „უხილავი ხელის“ თეორიის „წმინდანებად“ გვევლინებიან. უფლის რწმენა და სიყვარული უხვად და ურყევად გაგვაჩნია და მაცხოვრის ყოვლადმომცველობასაც საუკეთესოდ ეხედავთ, მაგრამ, ყველაფრის უფალზე „გადაბრალება“ და თავად არხეინად ყოფნა არაფერს მოგვიტანს. ბიბლია გვასწავლის, რომ მეურნეობრიობა, მისთვის წინასწარი მომზადება და გამრჯე შრომა ყველას მართებს, წინააღმდეგ შემ-

თხვევაში, თვითრეგულირება და მონოპოლიების შემყურე ყოფნა ვერაფრით გვიშველის.

გამწვავებული კონკურენციის ეპოქაში, როცა ზედმიწევნით სრაფი ტექნოლოგიური პროგრესის სიჩქარეებით იცვლება პოლიტიკის განმსაზღვრელი ეკონომიკური პროცესებიც, მცირე მასშტაბის ქვეყნების პოლიტიკასა და ეკონომიკაში, გრძელვადიანი სტაბილურობის შეგრძნების დამკვიდრება განსაკუთრებით აქტუალური ხდება.

ცნობილია, რომ სტრატეგიული მართვის, საკუთრებისა და ფულის საკითხებზე ჩვენს წელთაღრიცხვამდეც ფიქრობდნენ (ძველი საბერძნეთი, რომი, ინდოეთი, ჩინეთი, ბაბილონი) და თანამედროვე ეპოქაშიც არ აკლებენ მცდელობას ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნების (აშშ, იაპონია, გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, შვეიცარია, სამხრეთ კორეა და სხვ) სხვადასხვა სფეროს მოღვაწენი.

სამწუხაროა, რომ საბჭოთა კავშირის არსებობის საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდში, ე.წ. მოკავშირე რესპუბლიკებში მოჩვენებითი კეთილდღეობის არაბუნებრივი გზებით, ძალდატანებითი დამკვიდრება წარმოებდა და, შედეგად, „კონკურენციის საყოველთაო უარყოფის პირობებში, საბჭოთა იმპერიაში წარმოებული წარმოების საშუალებები (ძირითადად, სამხედრო მრეწველობის გარდა...) ხარისხობრივი მახასიათებლებით მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა საერთაშორისო სტანდარტებს“ [1, გვ. 29]. ამით დიდი დრო დაიკარგა და დაგროვდა ძალზე მნიშვნელოვანი პრობლემებიც, რომელთა შედეგებსაც დღემდე დიდი სირთულეებით ვიმკით.

თუ უახლეს ისტორიას გადავაგვლებთ თვალს (1991-2012 წ.წ.), საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგაც კი, ტერიტორიულად მცირე საქართველოში ვერა და ვერ მოხერხდა

ზემოხსენებული გრძელვადიანი სტაბილურობის შეგრძნების დამკვიდრება - ხშირი იყო სახალხო მღელვარება, რამაც პირველ ხანებში, ეროვნული ვალუტის რეკორდული ჰიპერინფლაცია და აქამდე გაუგონარი ეკონომიკური დეპრესია (სტაგნაცია) გამოიწვია.

ცნობილია, რომ საერთაშორისო სავალუტო ფონდის დახმარებით, 90-იანი წლების მეორე ნახევარში მოხერხდა ეროვნული ვალუტის სწრაფი და თვალსაჩინო სტაბილიზება, მაგრამ, შემდგომ წლებში, ფარული, უკვე არაკეთილსინდისიერი მონოპოლიები მოგვევლინა „აუღებელ ციხე-სიმაგრეებად“, რამაც საყოველთაოდ სახელგანთქმულ ქართულ სოფლის მეურნეობასა და გადამამუშავებელ მრეწველობას, ფაქტობრივად, თითქმის მოუღო ბოლო, რასაც ვერც პრივატიზაციამ უშველა, რამაც, თავის მხრივ, გრძელვადიანი პოლიტიკური სტაბილურობის გარეშე, სწრაფი ეკონომიკური გაუმჯობესების ნაცვლად, მოულოდნელი დამატებითი პრობლემა გაგვიმრავლა [2].

სამწუხაროა, რომ „პოლიტიკური არასტაბილურობა ართულებს მთავრობის მხრიდან პოპულისტურ ნაბიჯებზე უარის თქმას“ [3, გვ. 93] და უმნიშვნელოვანესი ეკონომიკური პროექტების დასახვა-განხორციელებაც გვიანდება. თუ ბუნებამ იზრუნა ადამიანის სხეულის მორფოლოგიურ აღნაგობაზე, ადამიანები “თავისი ქცევით აყალიბებენ და ცვლიან ეკონომიკის მორფოლოგიურ აღნაგობას“ [4, გვ. 5] და ადამიანთა საზოგადოება ვაღდებულია, ხშირ შემთხვევაში, არაპოპულისტური ხარჯტევადი, მაგრამ გრძელვადიანი სტრატეგიისათვის ეკონომიკურად მიზანშეწონილი გადაწყვეტილებებით იმოქმედოს.

ვფიქრობთ, ზემოხსენებულთან დაკავშირებით, საესე-

ბით სწორია საკითხის დასმა იმის შესახებ, რომ საჭიროა „ქვეყნის სტრატეგიის შემუშავება ფართო საზოგადოების მონაწილეობით“ [5, გვ. 4], რაც, ანტიმონოპოლიური ფრონტის აუცილებელ გააქტიურებასთან ერთად [6], ჩვენი აზრით, საყოველთაო ოპერატიულ საერთაშორისო მხარდაჭერას საჭიროებს [8].

The Rational Anti-monopoly Policy for Quality of Life

R. Lordkipanidze

For the marginal effective improve of the quality of human life, the author defines the fundamental task of wise anti-monopoly policy, including mechanisms of the international organizations and community of states.

In article discussed the relationship between competitiveness and quality of life on the base of development of European Commission experts' methodology of efficiency of economic structure and author worked out recommendations for long-term strategy of improve of the living level. Author uses own “Rational theory of competition” for consideration of these and other issues.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვლ. პაპავა, პოსტკომუნისტური კაპიტალიზმის პოლიტიკური ეკონომია და საქართველოს ეკონომიკა. - თბილისი, 2002;
2. ს. პავლიაშვილი, პრივატიზაციის ფენომენი და პრობ-

ლემები საქართველოში. - თბილისი, 2009;

3. ვლ. პაპავა, ნეკროეკონომიკის ზომბირება (გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისის გავლენა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე). - თბილისი, 2010;

4. გ. პაპავა, მორფოლოგიური მიდგომა ეკონომიკური რეალობის მიმართ. - თბილისი, 2012;

5. ლ. ქარჩავა, ბიზნესგარემოს გაუმჯობესების პერსპექტივები საქართველოში. - თბილისი, მოხსენება ბიზნესის აკადემიის სხდომაზე, გაზეთი “საქართველოს დედაქალაქი”, 2013, N114;

6. ს. ფეტელავა, შ. გოგიაშვილი, ეკონომიკური კონკურენცია. - თბილისი, 2012;

7. რ. ლორთქიფანიძე, რაციონალური კონკურენციის თეორია მართვის ზღვრული ეფექტიანობისათვის. - თბილისი, ISBN 978-9941-0-6966-6, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრული რესურსები, ციფრული ბიბლიოთეკა „ივერიელი“, 2014;

8. რ. ლორთქიფანიძე, გლობალური კონკურენცია ადამიანის ეფექტიანი გამდიდრებისათვის. - თბილისი, 2014, <http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/29377>

9. www.parliament.ge



ეკა ლეკაშვილი

**თსუ-ის ასოცირებული პროფესორი,
ეკონომიკის კვლევისა და სწავლების ქართულ-
ბერძნული ცენტრის ხელმძღვანელი**

თანამედროვე პირობებში საქართველოს ეკონომიკა ახალი გამოწვევების წინაშე დგას, რომელთა შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ეკონომიკური წინსვლა და დასაქმების დონის ზრდაა. თეორიული კვლევებით და პრაქტიკული გამოცდილებით დამტკიცებულია, რომ აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის მთავარი გზა მეწარმეობის განვითარებაა. სამეწარმეო საქმიანობისადმი მიდრეკილება და აქტიუობა ქვეყნებში განსხვავებულია. მეწარმეობის განვითარების საფუძველზე სამუშაო ადგილების შექმნის, ინოვაციებითა და კონკურენციის მეშვეობით მიღებული სარგებლის ეფექტებს ემატება ეკონომიკური ზრდიდან მიღებული შემოსავლები, რომელთა განაწილებას და მართვას სახელმწიფო ახორციელებს. **ქვეყანაში მეწარმეობისა და, ზოგადად, ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია გაჩნდეს სამეწარმეო განათლების საჭიროება.** ამ მიზნის მიღწევა კი შესაძლებელია ეფექტიანი საგანმანათლებლო და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობი პოლიტიკით.

სამეწარმეო აზროვნების განვითარების საკითხის აქტუალურობაზე მეტყველებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2014 წლის 23 აპრილის ინიციატივა საქართველოს

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში მეწარმეობის სასწავლო კურსის სავალდებულო საგნად სწავლების შესახებ. ნათელია, რომ საქართველოს ხელისუფლებაში მომწიფდა აზრი ქვეყნის განვითარებისათვის სამეწარმეო განათლებისა და აზროვნების ხელშეწყობის პრიორიტეტულობის შესახებ, რაც საზოგადოების და უნივერსიტეტების მხრიდან დიდ მხარდაჭერას საჭიროებს.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის 2013 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოში მეწარმეობის განვითარებაზე მოქმედი ფაქტორებზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ვენჩერული და კერძო კაპიტალისათვის ქვეყნის მიმზიდველობის ინდექსი. იგი მოიცავს გადასახადებს, ეკონომიკურ საქმიანობას, ინვესტორთა დაცულობას და კორპორატიულ მმართველობას, ადამიანურ და სოციალურ გარემოს და სამეწარმეო კულტურას და შესაძლებლობებს, ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 41.4 (100-დან) ამ უკანასკნელზე მოდის.

კვლევის მიზანია საქართველოში სამეწარმეო აზროვნების განვითარების პრობლემების შესწავლა თანამედროვე ეტაპზე და მისი გადაწყვეტის გზების დასახვა.

კვლევის ამოცანებია: მეწარმეობის განვითარების თავისებურებების განხილვა საქართველოში გარდამავალ პერიოდში, რომლის საფუძველზეც განვსაზღვრავთ სამეწარმეო აზროვნების მიწოდების პოლიტიკის ინსტრუმენტებს; ასევე, სამეწარმეო აზროვნების მიწოდების პოლიტიკის პრობლემების შესწავლა საქართველოში; ევროკავშირის გამოცდილებაზე დარღობით საქართველოში სამეწარმეო აზროვნების და განათლების უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევისას გამოვიყენეთ ანალიზის, სინთეზის, ინდუქციისა და დედუქციის, შედარების, ისტორიული, სტატისტიკური, ემპირიული მეთოდები. კვლევის კომპლექსური განხილვისათვის ვისარგებლეთ ქართველი და უცხოელი მეც-

ნიერების კვლევის შედეგებით, მიდგომებით, სამთავრობო და არასამთავრობო, ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშებით, სტატისტიკური მონაცემებით.

მეწარმეობასა და ეკონომიკურ ზრდას შორის თეორიული და ემპირიული კვლევებით [9;10; 11] დადასტურდა, რომ მეწარმეობის განვითარება დამოკიდებულია როგორც მეწარმე ინდივიდებზე, ასევე, ბიზნეს ან ეკონომიკურ გარემოზე. ამასთან, მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში სამეწარმეო საქმიანობის ორი ძირითადი სახე განიხილება: პროდუქტიული და არაპროდუქტიული მეწარმეობა. მეწარმეობის დაყოფა პროდუქტიულ და არაპროდუქტიულ მეწარმეობად თავად ეკონომიკური სისტემის ბუნებიდან გამომდინარეობს და ეკონომიკური პოლიტიკით განისაზღვრება. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური წესრიგის მიხედვით, სამეწარმეო აქტივობის კაპიტალიზაცია პროდუქტიული მეწარმეობის განვითარებისათვის საჭირო გარემოს ჩამოყალიბებას მოითხოვს. ეკონომიკებში, სადაც მეწარმეობის შემზღუდველ პოლიტიკას ატარებდნენ, მას უკანონო საქმიანობად აცხადებდნენ და ამგვარი ეკონომიკური საქმიანობა გათანაბრებული იყო არაპროდუქტიულ, ან უკანონო საქმიანობასთან. ე.წ. საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში რეფორმების მთავარი მიზანი მეწარმეობასთან მიმართებით იყო ის, რომ არაპროდუქტიული მეწარმეობა გარდაქმნილიყო პროდუქტიულად და გამოეწვია ეკონომიკური ზრდა.

გარდამავალ პერიოდში განხორციელდა ცვლილებები ცენტრალიზებული გეგმიანი ეკონომიკიდან ლიბერალურ წყობაზე გადასასვლელად, ჩვეულებრივ, საბაზრო ეკონომიკის ჩამოყალიბების მიზნით. გარდამავალ ეკონომიკაში თავისუფალ საბაზრო სტრუქტურებზე გადასვლისას მიმდინარეობს ეკონომიკის ლიბერალიზაცია, ისეთი მაკროეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომელიც დაძლევს ინფლაციას და ხელს შეუწყობს კერძო საფინანსო სექტორის ჩამოყალი-

ბებას. შედეგად, ჩამოყალიბება დაიწყო მეწარმეობის ხელშემწყობმა საბაზრო გარემომ. გარდამავალ ეკონომიკებში ახალი ეკონომიკური პოლიტიკის წარმატებაზე დიდადაა დამოკიდებული მეწარმეების პრივატიზაციის პროცესში მონაწილეობა. საწყის ეტაპზე ნიშანდობლივია ქაოსსა და გაუწონასწორებლობაში წარმოშობილი ახალი შესაძლებლობების სიმრავლე. აღსანიშნავია, რომ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკური პოლიტიკის წარმატება და წარუმატებლობა დიდადაა დამოკიდებული ცალკეული საზოგადოების კულტურულ თავისებურებებზეც.

საქართველოში გარდამავალი პროცესების დაწყებისას სამეწარმეო საქმიანობა შემოიფარგლებოდა მხოლოდ მცირე მაღაზიებისა და რესტორნების პრივატიზაციით. აგრეთვე, მეტად მნიშვნელოვანი იყო აგრარული რეფორმის საკითხი. მიწაზე სახელმწიფო საკუთრება კერძო საკუთრებითა და განკარგვის უფლებით შეიცვალა. სამეწარმეო საქმიანობის მცირე მასშტაბი გაიზარდა კერძო სექტორის ზრდის დონის შესაბამისად, რადგან ბაზარი ცდილობდა დაეკმაყოფილებინა მზარდი მოთხოვნა საქონელსა და მომსახურებაზე, რაც საწყის ეტაპზე შეუძლებელი იყო. სანამ მოთხოვნას მართავს მომხმარებელი და არა ბიზნესი, მეწარმე განიცდის მზარდ ზეწოლას საერთაშორისო კონკურენტების მხრიდან, რომელიც მასშტაბის ეკონომიას ეფუძნება და, შედეგად, ეროვნულ სამეწარმეო აქტივობას რეცესია ახასიათებს. ამ თვალსაზრისით გარდამავალ პერიოდში სამთავრობო პოლიტიკა მიმართული უნდა ყოფილიყო მეწარმეობის აქტივიზაციისაკენ რაციონალური ზრდის პირობებში.

აიღისმა [12] გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მეწარმეობის საკითხის შესწავლისას გამოყო მეწარმეობის განვითარების ხელშემწყობი სამი ელემენტი: **გარემო, მთავრობა და მეწარმე**, რომელთაგან გადამწყვეტი როლი მთავრობას აკისრია, რადგან სწორედ მასზეა დამოკიდებული ახლად

ფორმირებული საბაზრო-ეკონომიკური გარემოს შექმნა.

მართლაც, გარდამავალი პერიოდი უამრავი სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური ცვლილებებით ხასიათდება. ჩამოსაყალიბებელია ინსტიტუციური გარემო, შეუძლებელია რესურსების ოპტიმალური გამოყენება. უმნიშვნელოვანესია სახელმწიფოს, როგორც ცვლილებების ინიციატორისა და გამტარებლის როლი. მთავრობა გამოუცდელია მეწარმეობის ხელშემწყობი რაციონალური პოლიტიკის გატარებაში და, ხშირად, ბაზრის რეგულირების მიზნით უხეშად ერევა საბაზრო პროცესებში. ბაზრისა და სახელმწიფოს ინტერესთა კონფლიქტი იწვევს კორუფციის დონის ზრდას და განსხვავებული პოლიტიკური შესაძლებლობების ჩამოყალიბებას. გარდამავალი ეკონომიკის სივრცეში მოქმედ მეწარმეს არ აქვს საბაზრო პირობებში საქმიანობის ცოდნა და გამოცდილება. ამიტომ, ხშირია შეცდომები და მზარდია დანაკარგები.

სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრივების გზით საკუთრების მრავალფორმიანობის დამკვიდრების შედეგად, საქართველოში ჩამოყალიბდა საფუძვლები მეწარმეობის ახალი ტიპის განვითარებისათვის. გაუმართავი საკანონმდებლო ბაზა არათანაბარ პირობებში აყენებდა ეკონომიკურ სუბიექტებს და გარკვეულ ბარიერებს ქმნიდა მეწარმეობის განვითარების გზაზე. სწორედ საკანონმდებლო ჩარჩოს უნდა უზრუნველყო ეკონომიკური თავისუფლება, რომლის საფუძველზეც ყალიბდება თავისუფალი მეწარმობა.

საქართველოს გადასვლა ახალ ეკონომიკურ სისტემაზე, ისე როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, მოითხოვდა ახალი ტიპის მეწარმეობის ფორმირება-განვითარებისათვის აუცილებელი ისეთი პრინციპების შემუშავებასა და დანერგვას, როგორიცაა: კონკურენციის განვითარება, სამეწარმეო საქმიანობაში არჩევანის თავისუფლება, შრომის მოტივაციის ეფექტიანი მექანიზმის შექმნა, თავისუფალი ფასწარმოქმნის სისტემის დამკვიდრება, კერძო და საზოგადოებრივი ინტერე-

სების შერწყმის მოქნილი მექანიზმის ჩამოყალიბება, ეკონომიკაში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლის განსაზღვრა და ა.შ [5:გვ.45]

2001 წელს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტმა გამოიკვლია ქვეყანაში მეწარმეობის განვითარების ხელშემშლელი ფაქტორები. პირველი რიგის ფაქტორებში შედიოდა: საგადასახადო სისტემის მოუწესრიგებლობა, კორუფცია სახელმწიფო სტრუქტურებში; მეორე რიგის ფაქტორები იყო: ხელისუფლების მხრიდან ადგილობრივი მეწარმეობის ინტერესების დაუცველობა, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის დაუსაქმებლობა; მესამე რიგის ფაქტორები იყო: ენერგეტიკული კრიზისი, მმართველობისა და კონტროლის ორგანოების ბიზნესში ზედმეტად ჩარევა, საბანკო სისტემის არასაიმედოობა.

საქართველოში მეწარმეობის განვითარებას ხელს უშლიდა სამეწარმეო განათლების განუვითარებლობა, სამეწარმეო კულტურის არქონა, რაც განაპირობებდა მენეჯმენტისა და ადმინისტრირების დაბალ დონეს; არაეფექტიანი ინსტიტუციური რეფორმები; არასრულყოფილი სამეწარმეო კანონმდებლობა; მეწარმეობისა და ბიზნესის ფუნქციური რგოლების ინტერნაციონალიზაციის დაბალი ხარისხი; განუვითარებელი ინფრასტრუქტურა, საგადასახადო კულტურისა და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის დაბალი დონე და ა.შ.

გაეროს ანგარიში [1; გვ.103] საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შტო ანალიზის შესახებ ნათლად წარმოგვიდგენს სამეწარმეო და ბიზნეს-სექტორის განვითარების სუსტ მხარებს და საფრთხეებს. მათ შორისაა: ბიზნესის განათლებისა და ინფორმაცია/კონსულტაციების სერვისების დაბალი ეფექტიანობა; საკრედიტო რესურსების ხელმისაწვდომობის დაბალი დონე; ბიზნესის დაწყებისას დახმარების სიმცირე (ნაკლებობა); ბიზნესის გამოცდილების

და შ -ის დამხმარე ინსტიტუტების სიმცირე; საბიუჯეტო რესურსების სიმცირე; დანაშაულებრივი სამყაროს წნეხი და კორუფცია; ენერგიის არასტაბილური მიწოდება; უხარისხო პროდუქტების დიდი წილი ბაზრებზე, რომელიც ამცირებს მხარდაჭერის ეფექტურობას და ა.შ.


2013 წლისთვის, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის პროექტში ვკითხულობთ, რომ ზრდის დიაგნოსტიკის მეთოდის საფუძველზე გამოვლინდა კრიტიკული პრობლემები, რაც ხელს უშლის ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას. მათ შორის გამოიკვეთა კერძო სექტორის დაბალი კონკურენტუნარიანობა, არასაკმარისად განვითარებული ადამიან-კაპიტალი და ფინანსურ რესურსებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა.

ეს მეთოდოლოგია საქართველოში ორჯერ იყო გამოყენებული, რის საფუძველზეც სხვადასხვა დასკვნა მომზადდა. საქართველოს მთავრობამ 2011 წელს განახორციელა კვლევა და ეკონომიკური ზრდის მთავარ შემაფერხებელ ფაქტორებად დაადგინა სუსტად განვითარებული ადამიან-კაპიტალი და განუვითარებელი საგზაო ინფრასტრუქტურა.

2012 წელს ჩატარდა დამოუკიდებელი კვლევა, რომლის მიხედვით დადგინდა, რომ საკუთრების უფლების დაუცველობა წარმოადგენს ეკონომიკური ზრდის მთავარ შემაფერხებელ გარემოებას.

ორივე კვლევის დასკვნებს საკუთარი მნიშვნელობა გააჩნდა კვლევის ჩატარების პერიოდისათვის. ამავ დროს, ორივე მიუთითებდა საქართველოს ეკონომიკის ძირითად ნაკლოვანებებზე, რაც აფერხებდა კერძო ინვესტიციებს და შესაბამისად, ეკონომიკურ ზრდას.

ზრდის დიაგნოსტიკის გადაწყვეტილებათა ვერტიკალი [7; გვ. 84]



თანამედროვე ეტაპზე საქართველოში ეკონომიკური ზრდის და მეწარმეობის განვითარების ხელშეშლელ ფაქტორების შესახებ კვალიფიციურ ინფორმაციას გვაწვდის მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის ფარგლებში 2013-2014 წლების გლობალური კონკურენტუნარიანობის ანგარიში [8; გვ.193]. გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსის მიხედვით, რომლითაც ფასდება ქვეყნის ბიზნეს კლიმატი და მწარმოებლურობა კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით, საქართველომ ბოლო ორი წლის განმავლობაში მდგომარეობა გაუმჯობესა და თითქმის ორი ათეულით წინ, 72-ე ადგილზე გადმოინაცვლა. გაუმჯობესებულია პოზიციები ფაქტორმომძრავებელი - ძირითადი მოთხოვნების ქვეინდექსში, რომელშიც შედის ინსტიტუტები; ინფრასტრუქტურა; მაკროეკონომიკური სტაბილურობა; ჯანდაცვა და პირველადი განათლება. თუმცა, გაუარესებულია მდგომარეობა ინო-

ვაციებისა და განვითარების ქვეინდექსში, რომელშიც შედის ბიზნესის განვითარება და ინოვაცია.

2013-2014 წლებში საქართველოს 114 კომპონენტიდან, შედარებითი უპირატესობა გააჩნია 30 კომპონენტში. მათ შორის ყველაზე მაღალი ქულით (5.45 - დან 7 ქულამდე) შეფასდა ჯანდაცვა და დაწესებულებების განათლება (5.75 ქულა). შედარებითი უპირატესობის კომპონენტებში განმსაზღვრელია: არაოფიციალური გადასახადები და ქრთამები, ინვესტიციების მხარდაჭერის გაძლიერება, სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი, მთავრობის ვალი, მთლიანი საგადასახადო განაკვეთი, ბიზნესის დაწესებულების საჭირო პროცედურების რაოდენობა, ბიზნესის დაწესებულების საჭირო დრო, სავაჭრო ბარიერების აღმოფხვრა, საბაჟო პროცედურების სიმძიმე, დაქირავებისა და გათავისუფლების პრაქტიკა, გათავისუფლების ხარჯები, სამართლებრივი უფლების ინდექსი, ინტერნეტის სისწრაფე და სხვა. ამრიგად, **შედარებითი უპირატესობის კომპონენტები ადასტურებს, რომ სასტარტო პირობები სამეწარმეო საქმიანობისა და ბიზნესის დაწესებულების ეკონომიკური გარემოს პოზიციებიდან თანამედროვე ეტაპზე პოზიტიური შედეგებით წარმოგვიდგება.**

შედარებით არახელსაყრელი მდგომარეობა გვაქვს 84 კომპონენტში. მათ შორისაა: საკუთრების უფლებები, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, კანონმდებლობის ეფექტიანობა, კორპორაციული საბჭოს ეფექტიანობა, ეროვნული დანაზოგები, მენეჯმენტის სკოლების ხარისხი, სამეცნიერო და სატრენინგო მომსახურების ადგილობრივი შესაძლებლობები, ადამიანური რესურსების დატრენინგება, ადგილობრივი კონკურენტების სიძლიერე, ანტიმონოპოლიური პოლიტიკის ეფექტიანობა, ტვინების მოზიდვა, დაფინანსება ადგილობრივი კაპიტალის საშუალებით, საფონდო ბირჟის რეგულაცია, უახლესი ტექნოლოგიების არსებობა, საწარმოთა მიერ ტექნოლოგიების ათვისება, პუი და ტექნოლოგიის ტრანსფერი,

შიგა ბაზრის მოცულობის ინდექსი, ადგილობრივი მიმწოდებელთა რაოდენობა, მათი ხარისხი, კლასტერული ჯგუფის განვითარების მდგომარეობა, წარმოების პროცესის დახვეწა, მარკეტინგის ხარისხი, უფლებამოსილების დელეგირება, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ხარისხი, კომპანიის ხარჯი კვლევასა და განვითარებაზე, მეცნიერების და ინჟინერიის არსებობა და ა.შ.

წარმოდგენილი პრობლემების დაჯგუფებისას თვალნათელია, რომ საქართველოში კონკურენტუნარიანი ბიზნესის და სამეწარმეო საქმიანობის განვითარებას აფერხებს ძირითადად სამეწარმეო განათლების და აზროვნების დაბალი დონე.

აღნიშნული ანგარიშის მიხედვით, საქართველოში ბიზნესის კეთების ძირითად პრობლემებად რეიტინგის მიხედვით მიჩნეულია ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, შემდგომ - არაკვალიფიციური სამუშაო ძალა, სუსტი სამუშაო ეთიკა, პოლიტიკური არასტაბილურობა, ინოვაციების არასაკმარისი შესაძლებლობები და ა.შ

სამეწარმეო პროცესის ცენტრალურ ფიგურას წარმოადგენს მეწარმე, ადამიანი, რომელსაც (1) შეუძლია სამეწარმეო შესაძლებლობების დანახვა, (2) აქვს ორგანიზების უნარი და (3) რესურსების მოძიების შანსი. ინდივიდი მაშინ ხდება მეწარმე, თუ იგი ამ სამი თვისებრივი ელემენტის გაერთიანების გადაწყვეტილებას იღებს. საზოგადოებამ, რომლისთვისაც მნიშვნელოვანია სამეწარმეო პოტენციალის გაზრდა და ეკონომიკური განვითარების მიღწევა, უნდა უზრუნველყოს თავის წევრებში მოახდინოს სამეწარმეო უნარჩვევების კულტივირება [1; გვ. 44].

მეწარმეობა და სამეწარმეო აზროვნება შეესაბამება ყველა სახის აქტივობას, რომლის საბოლოო მიზანია:

- იმ შესაძლებლობების აღმოჩენა და შეფასება, რომლისგანაც შესაძლებელია სარგებლის მიღება;

- ამ შესაძლებლობებთან დაკავშირებული გაურკვევლობების და რისკების შეცნობა და შეფასება;

- ხელმისაწვდომი რესურსების (საკუთარი და/ან შეძენილი) რაციონალურად გადანაწილება;

- ინვესტირებული რესურსების რაოდენობრივი (და ღირებულებითი) ნამატის დაცვის უზრუნველყოფა.

მარკ გრანტმა და მაკ მილანმა 2000 წელს ჩამოაყალიბეს სამეწარმეო აზროვნების რამოდენიმე მახასიათებელი. ესენია: 1. ახალი შესაძლებლობების ძიების ჟინი; 2. ამ შესაძლებლობების მიღწევის გზაზე დისციპლინიზებული გამოვლენა; 3. საუკეთესო შესაძლებლობაზე არჩევანის შეჩერება; 4. შესრულებაზე ფოკუსირება; 5. სხვა ადამიანების ჩართვა ამ პროცესში [1; გვ.84].

2000 წელს ევროპის საბჭომ ლისაბონში განსაზღვრა ხუთი „ახალი საბაზისო“ უნარი ცოდნაზე დამყარებული ეკონომიკისთვის: საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, ტექნოლოგიური კულტურა, მეწარმეობა, უცხოური ენები და სოციალური უნარები. ევროპის სამჭომ სტოკჰოლმში 2001 წელს ჩამოაყალიბა სამი სტრატეგიული მიზანი განათლებისა და ტრენინგის სისტემის ხარისხის, წვდომის და გახსნილობის გასაუმჯობესებლად. მოგვიანებით ეს მიზნები დაიყო 13 ამოცანად, რომელთა შორისაც უმთავრესი იყო „სამეწარმეო სულის“ განვითარებისთვის ხელშეწყობა [13].

ევროკავშირში სამეწარმეო აზროვნების განვითარების მხარდაჭერა ხორციელდება ორი ძირითადი მიდგომის საფუძველზე: პირველი გულისხმობს სამეწარმეო აზროვნების, განწყობისა და ამ მიმართულებებით იდეების მიწოდების სტიმულირებას, რაც საბოლოოდ სამეწარმეო აზროვნების ამადლებაში გამოიხატება და, მეორე, ახალი ცოდნის მიღებისა და ტექნოლოგიების განვითარების მხარდაჭერას. სამეწარმეო აზროვნების მქონე ინდივიდთა მიზნების მხარდაჭერა კი შესაძლებელია ისეთი პოლიტიკის

გატარებით, რომელიც მიმართული იქნება სამეწარმეო კულტურისა და უნარ-ჩვევების განვითარებისკენ.

სამეწარმეო განათლების ევროპული მიდგომის საქართველოში დანერგვა მოითხოვს ურთიერთთანამშრომლობის სისტემატიზაციას და სამეცნიერო სფეროს განვი თარებისთვის ხელშეწყობას; სამეწარმეო განათლების სფეროში ევროპული გამოცდილების გაზიარებას; მეწარმეობის კურსისთვის სასწავლო მასალების და სწავლების ახალი მეთოდების დანერგვას; პირობების შექმნას მდგრადი ურთიერთთანამშრომლობის უზრუნველსაყოფად; სამომავლო თანამშრომლობის სამოქმედო გეგმისათვის საფუძვლების მომზადებას; აკადემიური კავშირებისა და ტრანსეიროვნული ურთიერთობების გაძლიერებას და ა.შ.

სამეწარმეო აზროვნების მიწოდების პოლიტიკის ძირითად ინსტრუმენტებად შეგვიძლია განვიხილოთ ღონისძიებები, მიმართული:

1. სამეწარმეო განათლების ღონის ამაღლებისაკენ;
2. მეწარმეობის პოპულარიზაციისაკენ;
3. მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისაკენ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანებით 2014 წლის აპრილში დამტკიცდა სსიპ „მეწარმეობის განვითარების სააგენტოს“ დებულება, რომლითაც განისაზღვრა სააგენტოს ფუნქციები მცირე, საშუალო და დამწყები ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით. მეწარმეობის განვითარების სააგენტოს, რომლის მთავარი მიზანი იქნება მცირე და საშუალო მეწარმეთა უნარების ამაღლება, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, დამწყები ბიზნესის დაფინანსება და ასევე, მეწარმეთა საექსპორტო პოტენციალის გაძლიერება.

სააგენტოს ერთ-ერთი ფუნქცია არის დამწყები მეწარმეების ტრენინგებითა და კონსულტაციებით უზრუნვე-

ლყოფა. ამ მიმართულებით შექმნილია „ბიზნეს მენტორინგის პროგრამა“, რომლის მიზანია დამწყები და გამოცდილი მეწარმეების დაკავშირება. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში გამოცდილი მეწარმე დამწყებს აძლევს რჩევებს იმის შესახებ, თუ როგორ განავითაროს და მართოს ბიზნესი საწყის ეტაპზე. გარდა ამისა, ამოქმედდება საბაზო ტრენინგები დამწყები მეწარმეებისა და ბიზნესის დაწყების მსურველთათვის. შესაძლებელი იქნება ტრენინგების გავლა და ძირითადი საბაზო უნარ-ჩვევების გამოუმუშავება, რაც მომავალში გამოიყენება ბიზნესის დასაწყებად ან/და მის სამართავად. სააგენტოს დაფუძნების მიუხედავად, მისი საქმიანობის შესახებ ფაქტობრივი მონაცემები და საჯარო ინფორმაცია ამ ეტაპზე არ არსებობს.

ამასთან, საქართველოს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში ხორციელდება აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამები ბიზნესის ადმინისტრირების და მენეჯმენტის მიმართულებით, თუმცა, არცერთ მათგანში „მეწარმეობის“ პროგრამული მოდული არ გვხვდება. ტარდება მრავალი ღონისძიება, რომელიც სამეწარმეო აზროვნების და კულტურის განვითარებას ემსახურება, თუმცა სამეწარმეო აზროვნების განვითარება ფრაგმენტული ამოცანების გადაწყვეტით, სამეწარმეო განათლების სისტემატიზაციის გარეშე, ეფექტიან შედეგს ვერ უზრუნველყოფს. ეს უკანასკნელი კი გულისხმობს სწავლების ყველა საფეხურს - ზოგადი, პროფესიული, უმაღლესი, სიცოცხლის მანძილზე სწავლება - შორის აზროვნების ლოგიკური განვითარებისა და სრულყოფის უზრუნველყოფას.

სამეწარმეო ხარისხისა და კულტურის ამაღლების მიზნით სასურველია საგანმანათლებლო სისტემაში ჩარევა და სამეწარმეო განათლების ინიციატივების დანერგვა. სამეწარმეო უნარის და პოტენციალის ამაღლება მოითხოვს:

- სამეწარმეო კულტურის ფორმირებას;

- საგანმანათლებლო მხარდაჭერას;
- მეწარმეობასთან დაკავშირებული ინსტიტუტების მხარდაჭერას;
- მეწარმეობის ინიციატივების მხარდაჭერას;
- განათლება და სიცოცხლის მანძილზე სწავლებას;
- სამუშაო ძალის მოქნილობას და დასაქმებას;
- მაღალტექნოლოგიური ცოდნის შექმნას და იმპლიმენტაციას;
- ფინანსური მხარდაჭერს;
- სამეცნიერო-კვლევითი ინიციატივების მხარდაჭერას;
- საავტორო უფლებებისა და პატენტების დაცვას და ა.შ [1, გვ.143].

ამრიგად, ევროპული გამოცდილების შესწავლის საფუძველზე [3; 4; 14; 15; 16; 17; 18; 19] საქართველოში სამეწარმეო განათლების დონის ამაღლების მიზნით მიმდინარე ეტაპზე სახელმწიფოს მხრიდან მიზანშეწონილია შემდეგი სახის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტა:

1. სამეწარმეო განათლების მხარდამჭერი სამთავრობო სტრატეგიის შემუშავება და მისი აღიარება სახელმწიფო პოლიტიკის ერთ-ერთ პროირიტეტად;
2. სამეწარმეო განათლების ეროვნული სტრატეგიების შემუშავება და ამოქმედება განათლების მიღების ყველა ეტაპზე;
3. სათანადო ღონისძიებების გატარება სახელმწიფო, რეგიონული და ლოკალური მართვის დონეებზე;
4. საკოორდინაციო ჯგუფის შექმნა სახელმწიფო დონეზე სამოქალაქო ორგანიზაციების, ბიზნესის, სასწავლო დაწესებულებების, სტუდენტების და სხვა ორგანიზაციული ჯგუფების წარმომადგენლების მონაწილეობით;
5. სამეწარმეო განათლების განვითარების ხელშეწყობის მიზნით მასწავლებელთა და სტუდენტთა მობილობის წახალისება ქვეყნებს, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებს

და კერძო სექტორებს შორის;

6. ევროპული ფონდებიდან დაფინანსებულ პროგრამებში სამეწარმეო განათლების პროექტების წახალისება;

7. სამეწარმეო განათლების დონის ამაღლების ხელშეწყობი საგანმანათლებლო ღონისძიებების დაფინანსება და მხარდაჭერა;

8. უნივერსიტეტებთან კავშირების დამყარების მიზნით სამეწარმეო სუბიექტებისთვის მოქნილი ფისკალური, ფინანსური, საგადასახადო სტიმულების შემუშავება და ამოქმედება;

9. სამეწარმეო განათლების სფეროში პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების დანერგვა სტუდენტების კონკრეტულ სამეწარმეო პროექტებში ჩართვის გზით;

10. მეწარმეობის პოპულარიზაციისკენ მიმართული საინფორმაციო აქციების ორგანიზება სკოლებში, საჯარო თავშეყრის ადგილებში;

11. მეწარმეობის ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამებში. კომპანიებთან და მეწარმეებთან სტუდენტების მჭიდრო თანამშრომლობის სტიმულირება;

12. მეწარმეობისა და საქმიანი ადამიანებისთვის პედაგოგიური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში დახმარების გაწევა საგანმანათლებლო დაწესებულებების მხრიდან;

13. თვითდასაქმების და სამეწარმეო საქმიანობის დაწყებისთვის შესაბამისი პროგრამების განხორციელება და ა.შ.

მას შემდეგ, რაც სამეწარმეო აქტივობა ოპტიმიზებული იქნება, **სახელმწიფოს შეუძლია გააფართოვოს სამეწარმეო აქტივობა** მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების, სუბსიდირების, სამეწარმეო რისკის შემცირების, სამეწარმეო პოტენციალის ზრდის, ინოვაციების დანერგვის ხელშეწყობის ღონისძიებებით, მეწარმეობის პოპულარიზაციის და სხვა მხარდამჭერი ზომებით. აღნიშნული ღონისძიებების და საგანმანათლებლო პოლიტიკის შეგნებულად განხორციელება

ნამდვილად ღირებულ შედეგებს გამოიწვევს. ეს შედეგები იქნება გრძელვადიანი და წვლილს შეიტანს არა მხოლოდ მეწარმეობის განვითარებაში, ქვეყნის კონკურენტუნარიანობას ამაღლებასა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში, არამედ გააძლიერებს სოციალურ-ეკონომიკურ ინტეგრაციას და აამაღლებს ცხოვრების დონეს.

The Problems of Entrepreneurial Thinking Development in Georgia

E. Lekiasvili

The research goal is to study problems of entrepreneurial thinking in Georgia on the modern stage and to find ways of solving them. The low level of entrepreneurial education and thinking are the main reasons of problems of development, competitive business and entrepreneurship in Georgia. The EU promotes the development of entrepreneurial thinking and spirit by the stimulation of supply entrepreneurial ideas and supporting new knowledge and technology, which at the end helps raising the entrepreneurial thinking.


The development of entrepreneurial thinking by the solving fragmented tasks, without systematization of entrepreneurial education, cannot provide effective results. This includes logical development of the thinking and perfection between all the levels of the education – basic, professional, high and Life Long Learning. Rising of entrepreneurial study qualification and culture in Georgia needs the interference in the education system and implementation of entrepreneurial education initiatives in. The research suggests the list of recommendations for the raising of entrepreneurial thinking and education in Georgia.

გამოყენებული ლიტერატურა

1. მეწარმეობის თეორიული საფუძვლები, ჯოზეფ ჰასიდი, ალექსის-სტეფანოს კომსელისი და სხვები, ნაწილი I-II,

- თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2009;
2. მეწარმეობის თეორიული საფუძვლები, ჯოზეფ ჰასიდი, ალექსის-სტეფანოს კომსელისი და სხვები, ნაწილი III, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი, 2011;
3. მრავალდონიანი საინოვაციო პოლიტიკა და ევროინტეგრაცია, გამოცემა მომზადებულია ევროკომისიის განათლების, აუდიოვიზუალური სფეროსა და კულტურის სააგენტოს მხარდაჭერით, უწყვეტი განათლების პროგრამა, ჟან მონეს პროგრამა. ასოციაცია ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის“. თბილისი, 2010;
4. ევროგაერთიანების აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამა და საქართველოს ინოვაციური განვითარების პერსპექტივები, გამოცემა დაფინანსებულია ფონდის „ღია საზოგადოება - საქართველო“ მხარდაჭერით. ასოციაცია ევროპული გამოკვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის“. თბილისი, 2011;
5. საქართველოს ეკონომიკა, საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი, ეძღვნება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის აღსაყდრების 35-ე წლისთავს, გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი, 2012;
6. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ბრძანება №1-1/90. 2014 წლის 4 აპრილი, ქ. თბილისი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ;
7. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, საქართველო 2020, (პროექტი) საქართველოს

- მთავრობა, 2013, ნოემბერი;
1. 8. Klaus Schwab, World Economic Forum, The Global Competitiveness Report, 2013-2014, p. 193;
 2. Growth Theory and After. Robert M. Solow. [The American Economic Review](#). Vol. 78, No. 3, Jun., 1988. pp.307-317;
 3. The Origins of Endogenous Growth. Paul M. Romer. [The Journal of Economic Perspectives](#) .Vol. 8, No. 1, Winter, 1994. [American Economic Association](#). pp. 3-22;
 4. The Effect of Entrepreneurial Activity on National Economic Growth [André van Stel](#), [Martin Carree](#), [Roy Thurik](#). [Small Business Economics](#). April 2005, Volume 24, [Issue 3](#), pp 311-321;
 5. Entrepreneurship in transition countries. Aidis, R.; 2005. Centre for the Study of Economic and Social Change in Europe, SSEES, UCL: London, UK;
 6. Council document 6365/02 of 14 February 2001;
 7. Intelligent training needs assessment and open educational, Resources to foster entrepreneurship. LIFELONG LEARNING PROGRAMME. KA3 - ICT Multilateral Projects, “Training needs identified in relation to entrepreneurship”, 2014;
 8. ENTREPRENEURSHIP. ENTREPRENEUR SKILLS. REPORT. EADA. R+D+I Department. Martin Rahe. Carlos Morales , 2006;
 9. IMPLEMENTATION OF “EDUCATION & TRAINING 2010”. EUROPEAN COMMISSION. WORK PROGRAMME. ENTREPRENEURSHIP EDUCATION AND LEARNING. NOVEMBER 2004;
 10. Entrepreneurship Education: **A Guide for Educators**. EUROPEAN COMMISSION. Bruxelles, *Enterprise and Industry*. June 2013;
 11. Johannisson, B. (1991) University training for entrepreneurship: A Swedish approach, *Entrepreneurship and Regional Development* Vol.3 (1), pp.67–82;
 12. Taatila, P. V. (2010) Learning entrepreneurship in higher education, *Education and Training*, Vol. 52, No1, pp.48-61



ლევან ალვაძე

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა
ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტის დოქტორანტი

საქართველოში ბოლო პერიოდში ნათლად გამოიკვეთა ევროინტეგრაციის სტრატეგია, რომლის დასტურიცაა 2014 წლის ივნისში ევროკავშირთან გაფორმებული ხელშეკრულებები ასოცირებისა და თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. აღნიშნული შეთანხმებები კიდევ უფრო გააღრმავებს ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის მოდელთან დაახლოების პროცესს. მცირე ბიზნესის ხელშეწყობა ევროკავშირში ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ განმახორციელებელ ფაქტორად არის აღიარებული, რაც აუცილებლად გასათვალისწინებელია საქართველოსთვის.

საქართველოში ბიზნესის გავითარების კუთხით ბოლო წლებში გადამტეხილი ნაბიჯებიდან შეიძლება დავასახელოთ შემდეგი. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის თანახმად, „შრომა თავისუფალია, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს თავისუფალი მე წარმოებისა და კონკურენციის განვითარებას“ [1, გვ. 14]. მნიშვნელოვნად გამარტივდა საწარმოთა რეგისტრაციისა და ბიზნესის დაწყების პროცედურები. ქვეყანამ ამ მაჩვენებლებით მსოფლიოში მე-8 და მე-3 ადგილები დაიკავა [2]. დასრულდა მონაცემთა

ბაზის გაერთიანება, სადაც თავი მოიყარა სარეგისტრაციო, უძაგი, მოძრავი და არამატერიალური ქონების, გირავნობის, იპო თე-კის, საკადასტრო, ტექნიკური ინვენტარიზაციის ბი-უროს, სალიზინგო რეესტრის და სხვა მონაცემებმა.

საქართველოში სადღეისოდ ძალზე მცირე რაზმა გა-კეთებული მცირე ბიზნესისათვის ხელსაყრელი საკანონმდებ-ლო ცვლილებების შემოღების კუთხით, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საგადასახადო კოდექსში შეტანილ მუხლებს მიკრო- და მცირე საწარმოთა დაბეგვრის კუთხით და სა-ბაჟო პროცედურების გამარტივების საკითხს. ზემოაღნიშნუ-ლის გათვალისწინებით, მიმდინარე ეტაპზე საქართველო-ში გარდაუვლად მიგვაჩნია მცირე და საშუალო ბიზნესის საკანონმდებლო და ადმინისტრაციული საფუძვლების გამტ-კიცება. ამ მიზნით, შესაბამისად, საჭიროა:

§ მიღებულ იქნას კანონი მცირე და საშუალო საწარ-მოების შესახებ;

§ შეიქმნას მცირე ბიზნესის ადმინისტრაციული ორ-განო, რომელიც უზრუნველყოფს სტრატეგიული და ტაქტი-კური ხასიათის ამოცანების რეალიზებას, უზრუნველყოფს ქვეყანაში მცირე ბიზნესის პოლიტიკის შემუშავებას და განხორციელებას, მასში ყველა და ინტერესებული მხარის ჩართვას და საქმიანობის კოორდინაციას.

ამ კუთხით დღეისათვის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შემუშავებულია პროექტი, რომელიც ითვალისწინებს 2015 წლიდან მცირე ბიზნესის ხელშემწყობი სააგენტოს შექმნას და 2015-2017 წლებში ამ მიმართულებით 150 მლნ ლარის ხარჯების გამოყოფას. ამ სამი წლის განმავლობაში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ქვეყანაში 5 ათასი პროექტის განხორციელებას და 30000 ათასი სამუშაო ად-

გილის შექმნას გეგმავს.

საქართველოში, მცირე ბიზნესის განვითარების საკანონმდებლო ბაზაში ცვლილებების პარალელურად, აუცილებელია პრაქტიკაში დაინერგოს „მცირე და საშუა-ლო საწარმოთა ტესტი“ (SME Test). აღნიშნული ტესტის პრაქტიკაში დანერგვა საშუალებას მოგვცემს წინასწარ გან-ისაზღვროს თუ რომელ ბიზნეს-სეგმენტზე მოახდენს ზეგავ-ლენას დაგეგმილი საკანონმდებლო ცვლილებები, გაიზომოს მცირე ბიზნესზე მოსალოდნელი ზემოქმედების შედეგები და, შესაბამისად, შესაძლებელი გახდეს აღმოიფხვრას ან შემცირდეს მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები.

საქართველოში მცირე ბიზნესის წარმატებით განვითა-რების საქმეში აუცილებელია ასევე რეგულაციური ზემოქ-მედების ანალიზის (Regulatory Impact Analysis-RIA) გამოყენება, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა ხასიათის საკანონმდებ-ლო ცვლილებების შედეგად მცირე და საშუალო საწარმოზე მოსალოდ-ნელი ზემოქმედების მუდმივი შეფასების განხორციე-ლებას და მათ საგადასახადო გათვალისწინებას საკანონმდებლო ცვლილებების პროცესში.

ეროვნული მცირე ბიზნესის ინტერნაციონალიზა-ციის მაჩვენებლების ასამაღლებ ლად, უპირველეს ყოვლი-სა, საჭიროა საერთაშორისო ბაზრებზე ქართული მცირე საწარმოს ოპერირების დამაბრკოლებელი გარემოებების შესწავლა. ამასთან, მთავრობამ უნდა შეიმუშაოს სპეციალ-ური პოლიტიკა და მოქმედებათა გეგმა, რომელიც საწარ-მოებს ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის ამოცანის შეს-რულებას გაუიოლებს.

საქართველოში დღეისათვის ბიზნესის, უნივერ-სიტეტების, სამეცნიერო-კვლევითი და წესებულებების თანამშრომლობა ძალზე დაბალ დონეზეა და ფაქტობრივად

არც არსებობს, რამოდენიმე გამონაკლისის გარდა. ამას ნათლად მოწმობს ის მაჩვენებელი, რომ საქართველო 2011 წელს ინოვაციური აქტივობის მიხედვით მსოფლიოში 75-ე ადგილზე გავიდა [2]. თუმცა, ბოლო წლებში შეიმჩნევა მცდელობები აღნიშნული მიმართულებით მდგომარეობის გამოსასწორებლად. 2012 წელს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - „საქპატენტის“, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის, ბიზნეს ასოციაციების და უნივერსიტეტების თანამშრომლობის საფუძველზე დაფუძნდა ტექნოლოგიური ტრანსფერის ეროვნული ცენტრი, რომელიც მცირე საწარმოების ტექნოლოგიური სრულყოფის საკითხებს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს.

ამ სფეროში საქართველომ აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს აშშ-ის გამოცდილება ბიზნეს-ინკუბატორების ორგანიზებასთან მიმართებაში. კერძოდ, მთავრობის მხარდაჭერით, ყველა სახელმწიფო უნივერსიტეტთან აუცილებელია ორგანიზებული იქნეს ბიზნეს-ინკუბატორები, რომლებშიც აქტიურად იქნებიან ჩართულნი ამ უნივერსიტეტებთან არსებული სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების, სამეცნიერო ცენტრების მეცნიერ-თანამშრომლები, უნივერსიტეტის კურს დამთავრებულები და მცირე ბიზნესით დაკავებული მეწარმეები. დღეისათვის ტექნოპარკები ფაქტობრივად არ არსებობს. ამ მიმართულებითაც აუცილებელია საკანონმდებლო ბაზის შექმნა და სავსებით შესაძლებელია 2-3 ტექნოპარკის შექმნა უნივერსიტეტებთან. საქართველოში დონორების დახმარებით უკვე შექმნილია ტექნოლოგიების გადაცემის ერთი ცენტრი (www.ttcg.ge). ახლა საჭიროა მის საქმიანობაზე დაკვირვება გამოცდილების შემდგომი გამოყენების მიზნით. ასეთი ცენტრები უნდა მუშაობდნენ როგორც ქვეყნის შიგნით ტექნოლო-

გიების გაცვლაზე, ასევე ტექნოლოგიების იმპორტსა და ექსპორტზე.

მნიშვნელოვან ინსტრუმენტს, კარგად აპრობირებულს ევროკავშირში, იაპონიაში, ავსტრალიასა და წარმატებულ განვითარებად ქვეყნებში, წარმოადგენს სახელმწიფო საინოვაციო სააგენტო (მაგალითად: www.tekes.fi/en/, www.vinnova.se/en/, www.enterprise-ireland.com/), რომლის ფუნქციაა გრანტების, ვაუჩერებისა და ტექნიკური დახმარების მეშვეობით ხელი შეუწყოს მცირე და საშუალო საწარმოებს, უნივერსიტეტებსა და კვლევით ორგანიზაციებს ინოვაციური პროდუქტების კომერციალიზაციასა და ადაპტირება/ათვისებაში. ეს შედარებით ძვირადღირებული, მაგრამ ძალიან ეფექტური მექანიზმია. ასეთი სტრუქტურის დაფუძნება (სავარაუდოდ, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროსთან) აუცილებელი და გადაუდებელი.

მცირე საწარმოებისათვის საექსპორტო შესაძლებლობების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით 2011 წელს ევროკავშირმა საქართველოში დააფინანსა 3 წლიანი პროექტი სახელწოდებით East-Invest, რომელიც მიზნად ისახავს ეკონომიკური თანამშრომლობისა და საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობას ევროკავშირსა და აღმოსავლეთის პარტნიორობის ბის ქვეყნებს შორის [3].

საქართველოში დღეისათვის მცირე საწარმოები განიცდიან საფინანსო რესურსების მწვავე დეფიციტს. საბანკო დაკრედიტებისადმი არათანმიმდევრული მიდგომა და საგირაუნო უზრუნველყოფის მაღალი მოთხოვნები მცირე მეწარმეთა საქმიანობის შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს. მიმდინარე წელს საქართველოს მთავრობამ დააფინანსა პროექტი - „წარმოე საქართველოში“, მაგრამ, სამწუხაროდ, მასაც მაღალი საგირაუნო მოთხოვნები აქვს

და უფრო ხელმისაწვდომია მსხვილ მეწარმეთათვის. დღეისათვის საქართველოში 67 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ფუნქციონირებს [4, გვ. 97]. ისინი გასცემენ სესხებს მცირე საწარმოებზე, ძირითადად მცირე ფერმერულ მეურნეობებზე. მიუხედავად განვითარებული ინფრასტრუქტურისა, ისინიც განიცდიან საფინანსო სახსრების უკმარისობას და ვერ აკმაყოფილებენ მიკრო- და მცირე საწარმოების მოთხოვნებს.

დასახვეწია საქართველოში საგადასახადო კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებები მიკრო- და მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირების მიმართ. მაგალითად, საგადასახადო ორგანოები ატარებენ ქრონომეტრაჟს და ერთი კვირის მონაცემების საფუძველზე განსაზღვრავენ მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე პირის წლიური შემოსავალს, რაც, როგორც პრაქტიკა ცხადყოფს, ხშირ შემთხვევაში იწვევს ერთობლივი შემოსავლის ხელოვნურ გაზრდას და შესაბამისი საჯარიმო სანქციების დაწესებას.

ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ ერთ-ერთ სერიოზულ სასიცოცხლო პრობლემას წარმოადგენს საგადასახადო-ფინანსური აღრიცხვისა და კონტროლის პროცედურები. საგადასახადო კოდექსის 145-ე მუხლის (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვის წესი) მე-4 პუნქტში მითითებულია, რომ საქონლის რეალიზაციისას გადასახადის გადამხდელს უფლება აქვს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის აღრიცხვისთვის გამოიყენოს რამოდენიმე მეთოდი: ინდივიდუალური აღრიცხვის, საშუალო შეწონილი შეფასების და მეთოდი

I, რომლის მიხედვით საანგარიშო პერიოდში, პირველ რიგში, რეალიზებულად ითვლება ის საქონელი, რომელიც საანგარიშო პერიოდის დასაწყისისათვის მიეკუთვნება სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობას, ხოლო შემდგომ რე-

ალიზებულად - ის საქონელი, რომელიც წარმოქმნილია საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, მისი წარმოების დროის მიხედვით.

სამწუხაროდ, საგადასახადო კოდექსში არ არის განმარტებული საშუალო შეწონილი შეფასების მეთოდი, ფინანსური აღრიცხვის მეორე სტანდარტში „მარაგების აღრიცხვა“ კი აღნიშნულია, რომ საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც საქონელი ერთი და იგივე მიზნებისთვისაა გამოყენებული, თუმცა გაუგებარია, ვისთვის - მომხმარებლის თუ ბიზნესისთვის.

აუცილებელია განხორციელდეს შესაბამისი ცვლილებები საგადასახადო კანონმდებლობაში და კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერის მიმართულებით. გამოდინარე აქედან, უნდა ავლენიშნოთ, რომ ქვეყნის საგადასახადო სისტემა ორიენტირებული უნდა იქნეს არა მხოლოდ საბიუჯეტო შემოსავლების ზრდაზე, არამედ მოსახლეობის დასაქმებასა და სიღარიბის დაძლევის ხელშეწყობაზე, რისთვისაც ახლად გახსნილი მცირე საწარმოები პირველი ორი წლის განმავლობაში განთავისუფლებულნი უნდა იქნენ გადასახადებისაგან. ამასთან, მცირე საწარმოებზე უნდა ვრცელდებოდეს ჯარიმებისა და საურაგების ლიბერალიზაცია და საგადასახადო კოდექსში მკაფიოდ უნდა ჩამოყალიბდეს ფინანსური აღრიცხვის წარმოების გამარტივებული პროცედურები.

მცირე ბიზნესის ეკონომიკური და სოციალური ფაქტორის სრულყოფილად ამოქმედების მიზნით, სახელმწიფოს კეთილი ნების დასტური იქნებოდა ახალი კანონის - „მცირე ბიზნესის შესახებ“ - მიღება, რომლითაც განისაზღვრება მცირე ბიზნესის რეალური სტატუსი და დარეგულირდება ყველა სამართლებრივი საკითხი. ასევე გადასახე-

დი და დასაზუსტებელია მცირე და საშუალო საწარმოთა განსაზღვრის კრიტერიუმების მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა. ჩვენი აზრით, მცირე საწარმოდ მიჩნეული უნდა იქნეს ის ობიექტი ან ორგანიზაცია, რომლის წლიური შემოსავალი არ აღემატება 200 000 ლარს. სასურველი იქნება ახალი საკანონმდებლო ბაზა საფუძვლად დაედოს ქვეყნის მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიის შემუშავებას.

საქართველოს ხელისუფლებამ მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემდეგი სამი მთავარი საკითხი უნდა გადაჭრას, ესაა: 1. მცირე მეწარმეობის წახალისება, 2. მცირე მეწარმეთა სწავლება და 3. მცირე მეწარმეების დახმარება გაყიდვებში. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება ამ სამ კომპონენტზე ააგებს მცირე მეწარმეთა მხარდაჭერის პროგრამას, მას საშუალება ექნება უახლოეს 3-5 წელიწადში მიიღოს 200 000-მდე მცირე საწარმო, რომლებიც ქვეყნის მშპ-ის 20-25% შექმნიან მომავალში. ამ ამოცანის გადაჭრას სჭირდება თანმიმდევრული მოქმედების სტრატეგიის შემუშავება რამოდენიმე მიმართულებით, კერძოდ: მცირე მეწარმეობის წახალისების კუთხით:

ა) უპირველეს ყოვლისა, ძალზე მნიშვნელოვანია მაგალითის ძალა, კერძოდ, რაც უფრო მეტი ადამიანის შესახებ გავრცელდება ინფორმაცია ნულიდან და იწყებული ბიზნესი წარმატებულ მცირე საწარმოდ გადაქცევის შესახებ, მით უფრო მეტი ადამიანი იფიქრებს, რომ მასაც აქვს უნარი და გაუჩნდება სურვილი შექმნას მცირე საწარმო. ამისათვის საჭიროა ინფორმაციის მოგროვება წარმატებული მცირე მეწარმეების შესახებ და მისი აქტიური გავრცელება საინფორმაციო საშუალებებით.

ბ) მეორე მნიშვნელოვანი საკითხია ამ მიმართულებით

იდეების მიწოდება იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება გააკეთონ ადამიანებმა, რომლებმაც საკუთარი საქმის წამოწყება გადაწყვიტეს და რა შესაძლებლობები არსებობს. თუნდაც, მარტო ქვეყანაში იმპორტი რე ბუ ლი საქონლის ჩამონათვალი ავიღოთ და შევთავაზოთ ხალხს ადგილზე დაიწყოთ იგივეს წარმოება და სახელმწიფო თავის მხრიდან დაპირდეს ეროვნული პროდუქციის გაყიდვების სტიმულირებას შესაბამისი კამპანიის განხორციელებით, მარტო ეს იქნება მნიშვნელოვანი ბიძგი მცირე მეწარმეობის განვითარებისთვის.

გ) მესამე მნიშვნელოვანი საკითხია საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის შექმნა, რომელიც გააცნობს ახლად დამწყებს ან მცირე მეწარმეობის მსურველებს ყველა იურიდიულ და ტექნიკურ დეტალს საკუთარი საქმის დაწყების შესახებ.

მცირე მეწარმეთა სწავლების კუთხით:

ა) საქმიანობის დასაწყებად და წარმართვისთვის საჭიროა კომპეტენცია, ანუ მცირე მეწარმეთა მხრიდან მმართველობითი და ტექნიკური კომპეტენციის შეძენა საქმის დასაწყებად და მის საწარმოებლად. ამ მიზნით სახელმწიფოს შეუძლია გამოაცხადოს ტენდერები სასწავლო პროგრამების შემუშავებაზე და ყველას, ვინც ამ სასწავლო პროგრამებს გაივლის, დაპირდეს დახმარებებს გაყიდვებში. ასეთ პირობებში სწავლების საფასურის ნაწილს დამწყები მეწარმეები თვითონაც გადაიხდიან.

ბ) საინფორმაციო ბიულეტენების მომზადება მცირე მეწარმეთათვის, რომელიც მოიცავს მათთვის მნიშვნელოვან ყველა მიმდინარე ინფორმაციას, რჩევებს და განმარტებებს საკანონმდებლო-საგადასახადო ნიუანსებზე. ბიულეტენი ნელ-ნელა დაეხმარება მცირე მეწარმეებს საკუთარი საქმის

განვითარებაში.

მცირე მეწარმეთა დახმარება გაყიდვების კუთხით:

ა) ამ პროგრამის მთავარი მამოძრავებელი ძალა უნდა გახდეს მცირე მეწარმეთა დახმარება ადრეულ გაყიდვებში. დღეს ასეთი დახმარებისათვის ყველაზე კარგი წინაპირობა არსებობს - „იყიდება ეროვნული პროდუქტი, დაეხმარე ეკონომიკას და მცირე მეწარმეობის განვითარებას საქართველოში“. იგი უნდა გახდეს ეროვნული კამპანია, რომელსაც ექნება შთამბეჭდავი ეფექტი.

ბ) მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორია სპეციალური ბაზრობების, სავაჭრო ადგილების ორგანიზება მცირე მეწარმეთათვის და სარეკლამო კატალოგების მომზადება. ასევე საჭირო იქნება საკუთარი ინტერნეტ-პორტალის შექმნა, სადაც მცირე მეწარმეები შეძლებენ საკუთარი პროდუქციისა და მომსახურების შესახებ ინფორმაციის განთავსებას.

დაბოლოს, დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ახალმა ხელი სუფლებამ, რომელიც მცირე ბიზნესთან მიმართებაში მრავალი გადაუჭრელი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა, დროული პირველი ნაბიჯები გადადგა პრიორიტეტული დარგის - სოფლის მეურნეობის - პროდუქციის წარმოების სტიმულირებისათვის, იაფი კრედიტის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად. ამჟამად, ქვეყნის დღის წესრიგში დგას მცირე მეწარმეობის ეფექტიანობის ზრდაზე ფოკუსირებული პოლიტიკის განხორციელება, რაც ხელს შეუწყობს სამომავლოდ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემათა გადაწყვეტას და ევროინტეგრაციის პროცესის დაჩქარებას.

Main directions and priorities of the state support for small businesses

D. Advadze

The article, through research carried out on the base of the most recent literature, represents main directions of support for small businesses in Georgia:

1. Encourage of small businesses for unemployed or poorly employed persons to make decision to begin their own private business and make first step in this direction;

2. Training of small business entrepreneurs for making more proper and efficient decisions by more entrepreneurs in management and professional rising up in the initial stage of their activities;


3. Promotion in sales for receiving first income, which will rise up motivation, will help in finding needed funds for purchasing and improving of means of production (this is a very crucial point, which is very difficult or impossible for solution by an individual entrepreneurs and, therefore, they do not see perspective to begin business at all).

If the government build up its program of small business support on these 3 component, it will benefit by receiving in next 3-5 years 200 000 small enterprises, which work out 20-25% of GDP in future. This is not a difficult task for the government.

გამოყენებული ლიტერატურა

1. საქართველოს კონსტიტუცია. - თბ., 2011;
2. The Global Innovation Index 2011, INSEAD, 2011;
3. WWW.east-invest. Eu.
4. საქართველოს ეროვნული ბანკის 2013 წლიური ანგა-

- რიში. - Tb., 2014;
5. Блинов А.О., Шапкин И.Н. Малое предпринимательство: Теория и практика /Учебник. - М.: 2007;
 - 6.
 7. Издательско-торговая корпорация «Дашков и К°», 2003;
 8. Construire une Europe entrepreneuriale. Les activites de l'Union en faveur des petites et moyennes entreprises (PME) II Rapport de la Commission au Conseil, au Parlement Europeen, au Comitee economique et social et au Comitee des Regions, 2000.



გიორგი ლომოვსკი,
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

ბოლო ათწლეულში მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტი (Supply Chain Management) იქცა კომპანიების კონკურენტუნარიანობის განმსაზღვრელ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორად. გლობალურ ეკონომიკაში არა მხოლოდ კომპანიებს შორის მიმდინარეობს მძაფრი კონკურენცია, არამედ მიწოდების ჯაჭვებს შორისაც.

დღეს მიწოდების ჯაჭვის დანახარჯები წამყვან კომპანიებში 60- დან 95%-მდე შეადგენს. მაგალითად, აშშ-ს წამყვანი კომპანიების მიწოდების ჯაჭვის დანახარჯი მთლიანი დანახარჯიდან შეადგენს: General Motors- 94%, Ford- 93%, Wal-Mart- 90%, Chevron- 88%, IBM- 77%, Exxon- 75%, General Electric-63%, [1]. აქედან გამომდინარე მიწოდების ჯაჭვის მართვა წარმოადგენს კომპანიებში დანახარჯების შემცირებისა და ამავდროულად მიწოდების ხარისხის გაუმჯობესების ერთერთ ეფექტიან ინსტრუმენტს. Foster Jr, S.T. [3] განსაზღვრავს მიწოდების ჯაჭვის ხარისხის მენეჯმენტს, როგორც პროცესების ეფექტიანობის გაუმჯობესების სისტემურ მეთოდს. McCormack [2] აღნიშნავს, რომ კვლევების მხოლოდ მცირე რაოდენ-


ნობა აკავშირებს ემპირიულად მიწოდების ჯაჭვის მართვის პრაქტიკას მიწოდების ჯაჭვის ეფექტიანობასთან. Reichardt da Nichols 2003; Liu [4] განმარტავს, რომ მიწოდების ჯაჭვის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის კონცეპტუალიზაცია არასრულია. მას არ გააჩნია კავშირი მიწოდების ჯაჭვის პროცესების გადაწყვეტილებებსა და მათი ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტებთან (მეტრიკებთან).

ბოლო წლებში შეიქმნა ეფექტიანობის განმსაზღვრელი სხვადასხვა მეტრიკა (Performance metrics), რომელთა მიზანია მიწოდების ჯაჭვის ეფექტიანობის გაზომვა, შეფასება და მონიტორინგი. აღნიშნული მეტრიკები გამოიყენება კომპანიაში დასახული მიზნების მიღწევის შესაძლებლობის შეფასებისა და მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებული მართებული სტრატეგიული გადაწყვეტილებების მისაღებად. აღსანიშნავია, რომ ბევრი ასეთი მეტრიკი ხასიათდება სანდოობის დეფიციტით, რის გამოც კომპანიების მენეჯერებს უჭირთ მათ საფუძველზე გადაწყვეტილებების მიღება.

მიწოდების ჯაჭვის ოპერაციების სარეფერენციო მოდელი (Supply Chain Operations Reference Model, SCOR) შექმნილი იქნა აშშ-ის მიწოდების ჯაჭვის საბჭოს (Supply Chain Council, SCC) მიერ, როგორც მიწოდების ჯაჭვის პროცესების შეფასების, დიაგნოსტიკისა და ბენჩმარკინგის (შედარებითი ანალიზის) უნიკალური ინსტრუმენტი. ამჟამად SCC იმყოფება აშშ-ის უმსხვილეს ორგანიზაცია Apics-თან შერწყმის ფაზაში, რის საფუძველზეც ჩამოყალიბდება მსოფლიოს უმსხვილესი ორგანიზაცია Apics Supply Chain Council მიწოდების ჯაჭვისა და ოპერაციების მენეჯმენტის სფეროში.

SCOR-ის მოდელი ასახავს SCC-ს მიწოდების ჯაჭვის მართვასთან დაკავშირებულ მიდგომებს. იგი სარეფერენციო მოდელია, რომელიც მოიცავს ორასზე მეტ სტანდარტიზებულ პროცესსა და ტერმინოლოგიას, აგრეთვე, ამ პროცე-

სების ეფექტიანობის განმსაზღვრელ ხუთასზე მეტ მეტრიკს, რომელთა შეფასების საფუძველზე კომპანიები ზრდიან მათი ეფექტიანობას და წმინდა მოგებას. დიაგრამა 1 სქემატურად ასახავს მიწოდების ჯაჭვის შიგა პროცესების ურთიერთდამოკიდებულებას. SCOR-ის მოდელი წარმოადგენს ბიზნეს-პროცესების რეინჟინერინგის კონცეფციის, ბენჩმარკინგისა და პროცესების გაზომვის/შეფასების ინტეგრაციას კოს-ფუნქციონალურ სისტემაში.



დიაგრამა 1 - SCOR-ის მოდელი მართვის 6 საკვანძო პროცესით

SCOR-ის მოდელი მოიცავს მიწოდების ჯაჭვის შემდეგ ხუთ ძირითად ბიზნეს-პროცესს: დაგეგმვას, შესყიდვას, წარმოებას, მიწოდებას, დაბრუნებას. მეექვსე პროცესი - მხარდაჭერა, მას დაემატა SCOR 11.0 ვერსიაში. ზემოთ აღნიშნული პროცესები მოიცავს: კლიენტებთან კომუნიკაციას (შეკვეთის განთავსება გადახდილი ინვოისის საფუძველზე), ნედლეულის შესყიდვასთან დაკავშირებულ ტრანსაქციებს (რომელიც ხორციელდება მომწოდებელს მომწოდებელს და კლიენტის კლიენტს შორის, მათ შორის: ტექნიკა, მარაგები, სათადარიგო ნაწილები, მასობრივი წარმოების პროდუქცია, პროგრამული უზრუნველყოფა და სხვა) და ყველა საბაზრო ურთიერთქ-

გიორგი ლომოურჯიანი

მედებას (მოთხოვნის ანალიზიდან შეკვეთის შესრულებამდე). მოდელი არ ისახავს მიზნად ყველა ბიზნეს პროცესის ან აქტივობის აღწერას. იგი არ მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორცაა, მაგალითად, გაყიდვები და მარკეტინგი (მოთხოვნის გენერირება), პროდუქტის შექმნა, სამეცნიერო კვლევა, ასევე პროდუქციის მიწოდების შემდეგ კლიენტის მხარდაჭერა.

SCOR-ის მოდელის სტრუქტურა - SCOR-ი წარმოადგენს სარეფერენციო მოდელს, რომლის მიზანია კომპანიების ბიზნეს-პროცესების არქიტექტურის სტანდარტული აღწერა. არქიტექტურა ამ შემთხვევაში გულისხმობს პროცესებს შორის ინტერაქციას, მათი მუშაობის ეფექტურობას, კონფიგურაციას და პროცესების ოპერირებაზე პასუხისმგებელი პერსონალისთვის საჭირო უნარებს და ცოდნას.

SCOR-ის სარეფერენციო მოდელი შედგება 4 ძირითადი კომპონენტისგან:

- პროცესის პერფორმანსი (შესრულება): სტანდარტული მეტრიკა, რომელიც აღწერს პროცესის პერფორმანსს და განსაზღვრავს სტრატეგიულ მიზნებს
- პროცესები: მართვის პროცესების და ამ პროცესების ურთიერთკავშირების სტანდარტული აღწერა
- პრაქტიკა: მენეჯმენტის საუკეთესო პრაქტიკა, რომელზეც ხელს უწყობს პროცესების ეფექტურობის გაუმჯობესებას და შესრულებას
- პერსონალი: მიწოდების ჯაჭვის პროცესების შესრულებისთვის აუცილებელი უნარების სტანდარტული დეფინიცია.

SCOR-ის პერფორმანსი შედგება ორი ძირითადი ელემენტისაგან: პერფორმანსის მახასიათებელი და მეტრიკები. მახასიათებლის გაზომვა შეუძლებელია. იგი გამოიყენება სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრისათვის. SCOR-ის პერფორმანსის მახასიათებლები შემდეგია:

პერფორმანსი	მახასიათებელი	დეფინიცია
საწარმო	დაცემების სათანადო შესრულების უნარი. საწარმო პროცესის შედეგების პროგნოზირებადობაზე აკეთებს საწარმო პროცესების მეტრიკები: მიწოდების დროულობა, სწორი რაოდენობა, შესაბამისი ხარისხი	მიწოდების მაგალითი
რეაგირების უნარი	ცვლილის დრო გარე გავლენებზე რეაგირების უნარი. ბაზარზე არსებულ ცვლილებებზე რეაგირების უნარი, რათა მოხდეს კონკურენტული უპირატესობის მოპოვება ან მისი შენარჩუნება. SCOR-ის ადაპტირების უნარის მეტრიკები	მიწოდების მაგალითი
ადაპტირების უნარი	წარმოადგენს მოქნილობას და ადაპტირებადობას მიწოდების ჯაჭვის პროცესების ოპერირებასთან დაკავშირებული ხარჯები. ეს ხარჯები მოიცავს მუშახელის, ნედლეულის, მენეჯმენტის და ტრანსპორტირების ხარჯებს. ხარჯების ტიპური მეტრიკებია საწარმოს თვითღირებულება	მიწოდების მაგალითი
აქტივობის მართვის ეფექტურობა	აქტივობის ეფექტურობა ათვისების უნარი. მიწოდების ჯაჭვის აქტივობის მართვის სტრატეგიები მოიცავს მართვის უმცირეს, აუთსორსინგის და ინსორსინგის სტრატეგიებს. აქტივობის მართვის მეტრიკებია: მართვის რაოდენობა დღეებში და საწარმო სიმძლავრეების გამოყენების ეფექტურობა	მიწოდების მაგალითი

ბიორგი ღოზორჯინიძე

თითოეულ პერფორმანსის მახასიათებელს გააჩნია ერთი ან მეტი დონე-1/სტრატეგიული მეტრიკა. სტრატეგიული მეტრიკა წარმოადგენს გაანგარიშებებს, რომლის მეშვეობითაც ორგანიზაციები ზომავენ თუ რამდენად წარმატებით ანხორციელებენ ისინი მათ პოზიციონირებას კონკურენტულ ბაზარზე.

სანდოობა	შეკვეთის სრულყოფილი შესრულება (RL.1.1.)
რეაგირების უნარი	შეკვეთის შესრულების ციკლის ხანგრძლივობა (RS.1.1)
ადაპტირების უნარი	- მიწოდების ჯაჭვის ზრდისაკენ მოქნილობა (AG.1.1) - მიწოდების ჯაჭვის ზრდისაკენ ადაპტირების უნარი (AG.1.2) - მიწოდების ჯაჭვის შემცირებისკენ ადაპტირების უნარი (AG.1.3) - რისკის სრული ღირებულება (AG.1.4)
ხარჯები	მომსახურების საერთო ხარჯი (CO.1.001)
აქტივების მართვის ეფექტიანობა	- ფულადი სახსრების მოძრაობის ციკლის ხანგრძლივობა (AM.1.1) - მიწოდების ჯაჭვის ძირითადი საშუალებების უკუგება (AM.1.2) - საბრუნავი კაპიტალის უკუგება (AM.1.3)

მენაქშენიძე. მარკაბიძე. გურიშვილი

SCOR-ის მეტრიკა იერარქიული სტრუქტურის სახით არის ორგანიზებული. SCOR-ის ფარგლებში წარმოდგენილია დონე 1,2 და 3-ის მეტრიკები. ამ დონეებს შორის ურთიერთკავშირი დიაგნოსტიკის შედეგებს განსაზღვრავს. მე-2 დონის მეტრიკა წარმოადგენს 1 დონის მეტრიკის დიაგნოსტიკას. ეს ნიშნავს, რომ მე-2 დონის მეტრიკის გაანალიზებით ჩვენ შეგვიძლია 1 დონის პერფორმანსის ხარვეზებისა და გაუმჯობესების შესაძლებლობის განსაზღვრა. იგივენაირად მე-3 დონის მეტრიკა წარმოადგენს მე-2 დონის მეტრიკის დიაგნოსტიკას. მეტრიკის დონეები მოცემულია თვითონ მეტრიკების კოდიფიკაციაში.

SCOR-ის პროცესები მოიცავს ძირითადი აქტივობების აღწერილობას, რასაც კომპანიების უმეტესი ნაწილი ანხორციელებს თავისი მიწოდების ჯაჭვის ეფექტიან ფუნქციონირების მიზნით. SCOR-ის მაკრო დონეზე არსებული ექვსი პროცესი – დაგეგმვა, შესყიდვა, მიწოდება, დაბრუნება და მხარდაჭერა საყოველთაოდ ცნობილი და ადაპტირებულია. SCOR-ის ფარგლებში პროცესების კიდევ ორი დონეა იდენტიფიცირებული. ამ შემთხვევაში დონეში იგულისხმება პროცესის გავრცელების სფერო. მაგალითად, მე-3 დონის პროცესები უფრო დეტალურ აქტივობებზეა აქცენტირებული. 1-ლი დონის პროცესები მოიცავს რამდენიმე მე-3 დონის პროცესს. მე-2 დონის პროცესები განსაზღვრავს 1-ლი დონის პროცესების ეფექტურობას. მე-2 დონის ძირითადი პროცესებია შეკვეთით წარმოება (Make-to-Order), შეკვეთით დაპროექტება (Engineer-to-Order) შესყიდვების, წარმოების და მიწოდების პროცესებისათვის. მე-3 დონის პროცესები გარკვეული თანმიმდევრულობით განსახორციელებელი

პროცესებია, რომელიც ემსახურება მიწოდების ჯაჭვის პროცესების სწორად დაგეგმვას, ნედლეულის შესყიდვას, პროდუქციის წარმოებას, საქონლისა და მომსახურების მიწოდებას და დაბრუნებული პროდუქციის მართვას.

SCOR-ის პრაქტიკა მოიცავს ინდუსტრიის ნეიტრალურ პრაქტიკას, რომელიც აღიარებულია კომპანიების მიერ. პრაქტიკა წარმოადგენს პროცესის კონფიგურაციისა და განსაზღვრის უნიკალურ (ეფექტიან გზას) გზას. ეს უნიკალურობა უკავშირდება პროცესის ავტომატიზაციას, პროცესში გამოყენებულ ტექნოლოგიას, პროცესის მართვისთვის საჭირო უნარებს, ორგანიზაციებს შორის პროცესის გავრცელებასა და დაკავშირებას. SCOR-ის მიხედვით ორგანიზაციაში არსებობს პრაქტიკის სხვადასხვა კვალიფიკაცია (SCOR ID):

- განვითარებადი პრაქტიკა
- საუკეთესო პრაქტიკა
- სტანდარტული პრაქტიკა
- უარყოფილი პრაქტიკა

პრაქტიკის კვალიფიკაცია შეიძლება განსხვავებული იყოს ინდუსტრიისა და გეოგრაფიის მიხედვით. ზოგიერთ ინდუსტრიაში შეიძლება ესა თუ ის პრაქტიკა მიღებული იყოს სტანდარტულ პრაქტიკად, სხვა ინდუსტრიაში საუკეთესო ან განვითარებად პრაქტიკად. SCOR-ის პრაქტიკის კლასიფიკაცია ეფუძნება სხვადასხვა ინდუსტრიაში მოღვაწე პრაქტიკოსებისა და ექსპერტების გამოცდილებას.


პერსონალი: SCOR-ის მოცემული ნაწილი წარმოდგენილ იქნა პირველად 10.0 ვერსიაში. მასში განხილულია დავალების შესრულებისა და პროცესების მართვისთვის აუცილებელი

უნარების წყება. ზოგადად, ეს უნარები მიწოდების ჯაჭვის ფუნქციონირებისთვის აუცილებელი უნარებია, თუმცა ზოგიერთი მათგანი მიწოდების ჯაჭვის ფარგლებს გარეთაც გამოიყენება. უნარები სტანდარტული დეფინიციის სახითაა აღწერილი და დაკავშირებულია ადამიანების სხვა თვისებებთან: მაგალითად, შესასრულებელ სამუშაოსთან შესაბამისობა, გამოცდილება, ტრენინგი, კომპეტენციის დონე. კომპეტენციის დონე არ არის ჩართული სტანდარტულ აღწერაში:

მიწოდების ჯაჭვის ეფექტურობის გაზომვის მეთოდის გამოყენება კომპანიაში- SCOR-ის მოდელის გამოყენება კომპანიებს აძლევს შესაძლებლობას გაზომოს მისი მიწოდების ჯაჭვის პროცესების ეფექტურობა და დასახოს მიზნები ამ პროცესების გაუმჯობესებისათვის. კერძოდ კომპანიების სარგებელი შემდეგია:

- მიწოდების ჯაჭვის ინტეგრირებული სტრატეგიის ჩამოყალიბება;
- Scorecard-ის ჩამოყალიბება;
- მიწოდების ჯაჭვისა და მასთან დაკავშირებული პროცესების ეფექტიანობის შედარებითი ანალიზი;
- პრობლემური პროცესების იდენტიფიცირება;
- პროცესების ოპტიმიზაცია, დანახარჯების შემცირება;
- სტანდარტული პროცესებისა და ინფორმაციული სისტემების ჩამოყალიბება;

შემდეგი გრაფიკი ასახავს მიწოდების ჯაჭვის ეფექტიანობის გაზომვის პროცესებს;



დიაგრამა 2 - მიწოდების ჯაჭვის ეფექტიანობის ანალიზის საფეხურები

აღნიშნული პროცესი იწყება ეფექტიანობის განმსაზღვრელი მატრიკის შექმნით. არსებობს SCOR-ის მატრიკების შემდეგი ხუთი მახასიათებელი: სანდოობა, რეაგირების უნარი, ადაპტირების უნარი, ხარჯები, აქტივების მართვის ეფექტურობა. შესაბამისი მატრიკის შექმნის შემდეგ ხდება მატრიკის განსაზღვრა. აღნიშნულ პროცესში აქტიურად ერთვის კომპანიის ტოპ-მენეჯმენტი. აუცილებელია, რომ განხორციელდეს ინტერვიუები შესაბამის პერსონალთან, იმისთვის რათა დადგინდეს, რომ აღნიშნული მატრიკების განსაზღვრება და გაანგარიშების ფორმულა სტანდარტულია კომპანიის მიწოდების ჯაჭვში მონაწილე ყველა ბიზნეს-ერთეულისთვის. შემდეგ ფაზაში ხორციელდება მატრიკების შედარებითი ანალიზი, რომლის საფუძველზეც დგინდება განსხვავება მიწოდების ჯაჭვის განსაზღვრული პროცესის არსებულ და სასურველ ეფექტურობის მაჩვენებლებს

შორის. პროცესის ბოლო ფაზაში დგინდება განსაზღვრული პროცესის გაუმჯობესების მაჩვენებელი და ხდება სამოქმედო გეგმის შემუშავება ამ პროცესის გაუმჯობესებისათვის. ქვემოთ მოცემულია მიწოდების ჯაჭვის ეფექტურობის ანალიზის საფეხურების დეტალური აღწერა:

მატრიკის შექმნა: SCOR-ის მატრიკების ხუთი მახასიათებელიდან შესაძლებელია განისაზღვროს SCOR Card.

SCOR Card-ის მაგალითი:

SCOR Card- (სახეობა, დასახელება)						
მატრიკა	მატრიკის განსაზღვრა	SCOR-ის კატეგორია	არსებული მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	განსხვავება	გაუმჯობესების კოეფიციენტი
-	-	-	-	-	-	-

SCOR-ის კატეგორიით ხდება მატრიკის კატეგორიზაცია აქტივობის სახეობის მიხედვით. მაგალითად, 1- დასაწყობებისათვის წარმოება (Make-to-stock) ან 2- შეკვეთით წარმოება (Make-to-order) და.შ. ეფექტიანობის არსებული და მიზნობრივი მაჩვენებლები წარმოდგენილია შესაბამისად ცხრილის მეოთხე და მეხუთე მწკრივებში. ამ მაჩვენებლებს შორის სხვაობა კი მეექვსე მწკრივში. ცხრილის ბოლო მწკრივში მოცემულია გაუმჯობესების კოეფიციენტი, რომელიც ასახავს თუ რა მაჩვენებლით უნდა გაიზარდოს პროცესის არსებული ეფექტურობა რომ მიაღწიოს მიზნობრივ მაჩვენებელს.

მატრიკის განსაზღვრა: SCOR Card-ის მნიშვნელოვანი ნაწილია მატრიკის განსაზღვრა. აქედან გამომდინარე

მეორე მწკრივში განისაზღვრება შესაბამისი მეტრიკი, რომელიც სტანდარტულად გამოითვლება კომპანიის ბიზნეს-ერთეულისთვის.

ბენჩმარკინგი: მოწინავე კომპანიები ძალიან ხშირად იყენებენ მათი მიწოდების ჯაჭვის ეფექტურობის მაჩვენებლების პერმანენტულ შედარებით ანალიზს საუკეთესო პრაქტიკასთან (Best practices), რომლებიც ასახავენ კომპანიის შიგნით არსებული ბიზნეს-ერთეულების ან სხვა კომპანიების საუკეთესო მაჩვენებლებს. ბენჩმარკინგის მიზანია არსებულ და საუკეთესო ეფექტურობის მაჩვენებლებს შორის განსხვავების დადგენა, მეთოდების ძებნა ამ მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად, გაუმჯობესების პროცესის იმპლემენტაცია და პროგრესის მონიტორინგი იმისათვის რათა მოხდეს კომპანიისთვის სარგებლის შეფასება, რომელიც დადგა აღნიშნული მაჩვენებლის გაუმჯობესების შემდგომ. აღნიშნული ბენჩმარკინგი შეიძლება განხორციელდეს როგორც ერთი რომელიმე კომპანიის შიგნით ასევე მის გარეთ. კომპანიის გარეთ ბენჩმარკინგი ეხმარებათ კომპანიებს, რათა შეადარონ მათი მიწოდების ჯაჭვის ეფექტურობა მისი კონკურენტების პროცესების ეფექტურობას, რის შედეგადაც ისინი ახერხებენ ისწავლონ მათი კონკურენტებისაგან, ხოლო შიგა ბენჩმარკინგი დაკავშირებულია, მაგალითად, კომპანიის ლოკაციების ან რეგიონული წარმადგენლობების როცესების ეფექტურობის ერთმანეთთან შედარებასთან, რის საფუძველზეც დგინდება საუკეთესო მაჩვენებლები და ხდება მისი სტანდარტიზაცია მოლიან კომპანიაში.

შეფასება და გაუმჯობესება: ბენჩმარკინგი გამოიყენება კომპანიების მენეჯერების მიერ მრეწველობის სხვადასხვა სფეროში, რათა მათ მოხდეს მათი პროცესებისა და პროდუქტების ხარისხის შეფასება და გაუმჯობესება.

ეფექტურობის არსებულ მაჩვენებლებსა და საუკეთესო პრაქტიკებს შორის განსხვავების დადგენა მათ საშუალებას აძლევთ, განსაზღვრონ რომელ მეტრიკებს გააჩნია ეფექტურობის დაბალი მაჩვენებლები და რომელი მეტრიკები ექვემდებარება დაუყოვნებლივ გაუმჯობესებას.

დაბოლოს, დასკვნის სახით აღვნიშნავთ, რომ მიწოდების ჯაჭვის ეფექტიანობა წარმოადგენს კომპანიების წარმატებულობის უმთავრეს ფაქტორს, რადგან იგი პირდაპირ ასახავს კომპანიის უნარს შეუქმნას მის მომხმარებელს მაქსიმალური სარგებელი (Customer value). აქედან გამომდინარე, კომპანიებისთვის მეტად მნიშვნელოვანია მიწოდების ჯაჭვის პროცესების შეფასების დამოუკიდებელი კრიტერიუმების განსაზღვრა, რაც შესაძლებლობას აძლევს შეფასდეს მათი ეფექტიანობა კონკურენტებთან მიმართებით და მონიტორინგი გაუწიონ პროცესებს. მიწოდების ჯაჭვის კომპლექსურობის გამო ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების სწორად განსაზღვრა წარმოადგენს კომპანიების ურთულეს ამოცანას. წარმოდგეილ სტატიაში აღწერილი SCOR-ის მოდელი, რომელიც კომპანიებს და ორგანიზაციებს აძლევს საშუალებას ეფექტიანად გადაჭრან ზემოთ აღნიშნული ამოცანა. SCOR-ი წარმოადგენს მიწოდების ჯაჭვის ეფექტიანობის შეფასების უნიკალურ მეთოდს, რის მეშვეობითაც შესაძლებელია მიწოდების ჯაჭვის პროცესების შეფასება და მათი შედარებითი ანალიზი. SCOR-ის გამოყენების ძირითადი მიზანია მიწოდების ჯაჭვის დანახარჯების შემცირება და მისი ფუნქციონირების ხარისხის ამაღლება.


Valuation of Supply Chain Performance Using Supply Chain Operations Reference (SCOR)

G. Doborjginidze

The supply chain performance is one of the most important factors of company competitiveness. In today's modern business world, it is hard to develop standardized criteria to measure performance of the supply chain processes, which enables companies to evaluate a quality of their processes and define target values for performance improvement. Supply Chain Operations Reference Model (SCOR) represents unique methodology for evaluation of supply chain performance. SCOR enables to analyze and benchmark supply chain processes. It helps the companies to identify processes with relatively low performance, to define performance improvement targets and to monitor the performance improvement.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Supply Chain Council ed., SCOR Version 11.0, SCC, 2014;
2. Simchi-Levi, D., Kaminsky, P., & Smichi-Levi, E. Designing and Management the Supply Chain, Third Edition, 2009;
3. Foster Jr, S.T. (2008), "Towards an understanding of supply chain quality management", Journal of Operations Management, Vol. 26, No. 4;
4. Lockamy III, A. and McCormack, K. (2004), "Linking SCOR planning practices to supply chain performance: an exploratory study", International Journal of Operations & Production Management, Vol. 24, No. 11-12;
5. Seifbarghy M, Akbari MR, Sajadieh MS (2010) Analyzing the supply chain using SCOR model in a steel producing company. 40th International Conference on Computers and Industrial Engineering (CIE), Awaji, 25-28 July 2010.



რუსუღან სეთურიძე

ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის
ასისტენტ-პროფესორი,
ეკონომიკის აკადემიური დოქტორი

სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ეფექტიანი საბაჟო პოლიტიკის გატარება, სამართლიანი ადმინისტრირების სისტემის ჩამოყალიბება, რათა ქვეყანა იყოს საიმედო პარტნიორი საერთაშორისო ვაჭრობაში, ასევე, სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამეგობრობის ღირსეული და პროგრესული წევრი, რომელიც სისტემატურად ამარტივებს საერთაშორისო ვაჭრობასთან დაკავშირებულ პროცედურებს, რაშიც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლი საბაჟო სისტემის მართვის სრულყოფას აკისრია, რაც თანამედროვე საინფორმაციო სისტემების (სს) ეფექტიან ფუნქციონირებაზე დიდად არის დამოკიდებული.

რამდენიმე წელია, აქტიურად ხდება საქართველოს საბაჟო სისტემაში ინტერნეტ კავშირზე დაფუძნებული მომსახურებებით ტრადიციული ურთიერთობების ჩანაცვლება. დღეისთვის ადგილი აქვს აღნიშნული სერვისის შეთავაზებას არა მარტო როგორც ალტერნატიული შესაძლებლობის როლში, არამედ როგორც ერთადერთი შესაძლო ვარიანტის

სახითაც, რაც იძლევა ვარაუდის საფუძველს, რომ დროთა განმავლობაში დისტანციური ოპერაციები ჩაანაცვლებს მათსავე ტრადიციულ ანალოგებს, რაც განსაზღვრავს კიდევ აღნიშნული საკითხის აქტუალურობას და ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას [5, გვ.11].

საქართველოს საბაჟო სისტემაში 1998 წლამდე არ არსებობდა საინფორმაციო სისტემები და საქართველოში შემოსატან და გასატან საქონელზე საბაჟო დეკლარაციის შევსება ხდებოდა ხელით ან საბეჭდი მანქანით [3, გვ.52].

საქართველოში იმპორტირებული ან ექსპორტირებული საქონლის საბაჟო გაფორმების პროცესში ინსპექტორს საკუთარი სურვილით შეეძლო შეემოწმებინა ან არ შეემოწმებინა იმპორტ/ექსპორტირებული საქონელი, გადამხდელს შედავებოდა ნებისმიერ წვრილმანზე, მოეთხოვა არარეალური დოკუმენტაცია. საბაჟო პროცედურა იწველებოდა 2-10 ან მეტი დღე, ნებისმიერი ტვირთის გაფორმებისას ხდებოდა კორუფციული გარიგება, ამისთვის ყველანაირი სადავე ინსპექტორის ხელთ იყო. კოპუფცია იწყებოდა დაბალი რგოლიდან და ადიოდა ხელმძღვანელ რგოლებამდე. საბაჟო კანონმდებლობა ამ პროცესებს ვერ არეგულირებდა, ვინაიდან კანონმდებლობაში არსებობდა კოლიზიები. ეს გამოწვეული იყო უამრავი საკანონმდებლო ცვლილებით, რომელიც ძირითადად ლობირებული იყო ცალკეული ჯგუფების მიერ დამატებითი პრეფერენციების მიღებისთვის. კანონმდებლობაში მიღებული ცვლილებები, ხშირად, რომელიმე კონკრეტული ჯგუფის პირად ინტერესებს ემსახურებოდა [6, გვ.90]. შესაბამისად არ ხდებოდა იმპორტ/ექსპორტირებული საქონლის სრული აღრიცხვა.

საბაჟო სისტემაში 1998 წელს დაინერგა საბაჟო მონაცემების ავტომატიზებული სისტემა **ASYCUDA** (Automated

SYstem for CUsoms DAta), რომელიც შეიქმნა გაეროს ვაჭრობისა და განვითარების კონფერენციის UNCTAD (United Nations Conference on Trade and Development) ფარგლებში [12]. იგი მოიცავდა ყველა იმ პროცედურის კომპიუტერიზაციას, რომელიც საბაჟო ორგანოებში სრულდებოდა [7, გვ.83]. ამით შესაძლებელი გახდა საბაჟო სისტემაში იმპორტირებული და ექსპორტირებული საქონლის აღრიცხვა.

საინფორმაციო სისტემა ASYCUDA მსოფლიოს 90 რეგიონის საბაჟო სისტემაშია დანერგილი, მათ შორის: ევროპის და ცენტრალური აზიის (ალბანეთი, ლატვია, ესტონეთი, მოლდოვა, რუმინეთი, კოსოვო და ა.შ.), აფრიკის (ლიბერია, ზიმბაბვე, ლიბია, ნამიბია, კონგო და ა.შ.), ამერიკის (ბოლივია, სალვადორი, ვენესუელა და ა.შ.), აზია-წყნარი ოკეანის (ბანგლადეში, ნეპალი, სამოა და ა.შ.) ქვეყნებში, კავკასიის რეგიონიდან კი სომხეთში [9].

2003 წლიდან საქართველოშიც განხორციელდა საბაჟო სისტემის რეფორმა [2, გვ.20]. ევროკავშირმა, ერთ-ერთმა პირველთაგანმა, მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია საქართველოს გარდამავალი პერიოდის მძიმე წლებში, მათ შორის თანამედროვე სს-ის დანერგვისა და წარმატებულად ფუნქციონირების საქმეში. საერთაშორისო ექსპერტების მიერ სხვადასხვა პუბლიკაციაში მრავალჯერ აღინიშნა საქართველოში საბაჟო პროცედურების გამარტივების შესახებ.

ASYCUDA-ს მონტაჟის პირველი ეტაპი 2004 წელს დასრულდა, მოხდა სისტემის განახლება და სხვადასხვა მოდულის დამატება, ამჟამად **ASYCUDA++**-ის ვერსია, დაიწყო საბაჟო პროცედურების ეტაპობრივი გამარტივება, რაც შესაბამისად საბაჟო სისტემის ეფექტიანი მართვის საშუალებას იძლეოდა.

ფინანსთა სამინისტროში შემავალი საბაჟო, საგა-

დასახადო დეპარტამენტებსა და ფინანსურ პოლიციაში სხვადასხვა მონაცემთა ბაზა არსებობდა, თუმცა მათი სინქრონიზაცია პრაქტიკულად არ ხდებოდა. მონაცემთა ბაზაში შესულ ინფორმაციას შემოსავლების სამსახურში თანამშრომლები ხელით ამუშავებდნენ და გაერთიანებული ანგარიში ზედა რგოლებში ხელნაწერის სახით აგზავნიდნენ. იერარქიაში ქვემოდან ზემოთ მოძრაობის დროს ინფორმაცია მახინჯდებოდა, რის შედეგადაც ფინანსთა სამინისტროს ხელმძღვანელობა ხშირად არასწორ ინფორმაციას იღებდა და შესაბამისად ადმინისტრირება რთულდებოდა.

2004 წლიდან ფინანსთა სამინისტროში ეტაპობრივად შეიქმნა ცენტრალური მონაცემთა ბაზა. პარალელურად დაიწყო როგორც რიგითი მომხმარებლებისათვის, აგრეთვე ადმინისტრირების ჯგუფის წევრებისთვის ტრენინგები, სწავლება და სემინარები. ქვეყანამ დაიწყო ზრუნვა ინფორმაციული ტექნოლოგიების (IT) სისტემების განვითარებაზე. შეიქმნა დაკავებული თანამდებობის შესაბამისად თანამშრომლებისათვის ავტომატიზებული სამუშაო ადგილები, მოხდა გადამხდელთა და გადასახადების ადმინისტრირების სისტემების სრულყოფა, მონაცემთა ბაზების ნორმალიზაცია, განხორციელდა შესაბამისი მნიშვნელოვანი ამოცანები.

ფინანსთა სამინისტროს ყველა დონეზე ფუნქციონირება დაიწყო სახელმწიფო ფინანსური მართვის საინფორმაციო სისტემამ (Oracle), რომლის მეშვეობითაც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ყველა თანამშრომელს ფუნქციებისა და მოვალეობების მიხედვით ჰქონდა წვდომა ერთიანი ბაზის გარკვეულ მოდულზე. ამ სისტემის დახმარებით ეტაპობრივად ხდებოდა სხვადასხვა მოდულის დამატება. თავდაპირველად ონლაინ რეჟიმში საბაჟო სისტემისთვის შეიქმნა და ეტაპობრივად დაიხვეწა “რეზიდენტი და არარეზიდენტი

ტი პირების საბაჟო სამართალდარღვევათა და სამართალდამრღვევთა” მოდული, “საფოსტო გზავნილების აღრიცხვის” მოდული, საგადასახადო კუთხით კი დაიწყო გადამხდელის პირადი აღრიცხვის ბარათის ელექტრონული აღრიცხვიანობის პროცესი, შემდგომში კი მოხდა მათი გაერთიანება, რამაც მნიშვნელოვნად გაამარტივა როგორც საბაჟო, ასევე საგადასახადო პროცედურები. მაგალითად, შესაძლებელი გახდა საბაჟო სისტემაში გადასახადის ერთ სახეობაში არსებული ზედმეტობით დაფარულიყო სხვა საგადასახადო ვალდებულება ან ავტომატურად მომხდარიყო თანხის გამოყენება იგივე გადასახადში და ა.შ. ზემოაღნიშნულმა შესაძლებელი გახდა ადმინისტრირების გაუმჯობესება როგორც საბაჟო, ასევე საგადასახადო კუთხით.

2006 წელს სახმელეთო საზღვარზე მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია აშშ-ის მიერ დაფინანსებული საქართველოს საზღვრის უსაფრთხოების პროგრამის ფარგლებში დაინერგა პერსონალური იდენტიფიცირებისა და რეგისტრაციის სისტემა (PIRS). ეს სისტემა გამოიყენება საქართველოს საზღვრებზე. მასში აისახება საზღვრის გადაკვეთისას მგზავრისა და ცარიელ სატრანსპორტო საშუალებების შესახებ ინფორმაცია. სისტემა შეიცავს დასკანერებულ სამგზავრო დოკუმენტებს, ფოტოებს, საპასპორტო და სხვა მონაცემებს, რომელსაც კონტროლის მძღავრი მექანიზმი გააჩნია. ამ სისტემაში სასაზღვრო და საბაჟო უწყების თანამშრომლები ერთობლივად მუშაობენ. ხელმძღვანელი პირების მიერ საზღვარზე არსებული ინფორმაციის ონლაინ წვდომა კიდევ უფრო აძლიერებდა საბაჟო სისტემაში ადმინისტრირების პროცესს.

საბაჟო სისტემის მართვის ერთ-ერთი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო ხელოვნურად შექმნილი ინფორმაციული

ვაკუუმი, ამიტომ დაიწყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ვებგვერდის www.mof.ge სისტემატური განახლება. ვებგვერდზე ძველი, გამოუსადეგარი ინფორმაცია შეიცვალა ახლით. შეიქმნა შემოსავლების სამსახურის სერვისების ვებპორტალი www.rs.ge, რომლითაც დაინტერესებული პირს შეეძლო არა მარტო მიეღო რეალური ინფორმაცია (მაგალითად, საქართველოს საზღვარზე შემოსატანი საქონლის გაფორმებისთვის საჭირო ინფორმაცია, საკანონმდებლო მასალები, სხვადასხვა საქონლის გადასახდელების ელექტროგამომთვლელი, საკონსულტაციო ხასიათის ინფორმაცია და ა.შ.)[11], არამედ ეს გახდა შემოსავლების სამსახურის მრავალრიცხოვანი ელექტრონული მომსახურების ონლაინ პორტალი (შესაძლებელი გახდა ელექტრონული სახით დეკლარაციების წარდგენა, საბაჟო ორგანოსგან შეტყობინებების მიღება, გადამხდელის მიერ თავისი პირადი აღრიცხვის ბარათის, ბიუჯეტთან ანგარიშწორების შედარების აქტის დათვალიერება და ა.შ.), რომლის მეშვეობითაც მნიშვნელოვნად დაიზოგა გადამხდელის დრო, ენერგია, ფინანსური და შრომითი რესურსები.

2007 წლიდან აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ხელშეწყობით ფინანსთა სამინისტრომ და შემოსავლების სამსახურმა განახლებულ საინფორმაციო სისტემაში - ASYCUDA World (ასიკუდა ვორლდ) რისკის მართვის ახალი სისტემა შეიმუშავა. ASYCUDA World სისტემა განსაზღვრავდა რომელი და რა კატეგორიის ტვირთი რა ხარისხით უნდა შემოწმებულიყო და მითითებებს აძლევდა საბაჟოს ინსპექტორს. ამ პროგრამის საშუალებით სასაქონლო დეკლარაციის გაფორმებისას, სისტემა ადარებდა დეკლარაციის და პროგრამაში არსებული რისკის პროფილების მონაცემებს, მათი თანხვედრის შემთხვევაში კი დეკლარაცია

გადაჰყავდა შესაბამისი ფერის დერეფანში. დერეფნის ფერი ისაზღვრება რისკის პროფილის შინაარსით და ასევე შემთხვევითი შერჩევითობის პრინციპით. თავდაპირველად მუშაობდა მხოლოდ ყვითელი (საქონლის გაფორმება დეკლარაციისა და თანდართული დოკუმენტების გამერალური შემოწმებით, საქონლის დათვალიერების გარეშე) და წითელი ფერის (საქონლის გაფორმება დეკლარაციისა და თანდართული დოკუმენტების გამერალური შემოწმებით, აგრეთვე დეკლარირებული საქონლის დათვალიერებით) დერეფანი, შემდგომში კი დაემატა მწვანე (საქონლის გაფორმება დეკლარაციისა და თანდართული დოკუმენტების გამერალური შემოწმებისა და საქონლის დათვალიერების გარეშე) და ლურჯი (საქონლის გაშვება შემდგომ პერიოდში დოკუმენტების უტყუარობისა და გადასახადების დარიცხვის სისწორის შემოწმების პირობით). ამის მეშვეობით მოხდა საბაჟო გაფორმების დროის შემცირება, რესურსების ეფექტიანი განაწილება და რაც მთავარია გაფორმების პროცესში სუბიექტივიზმი მინიმალურ დონეზე შეამცირა.

შემოსავლების სამსახურში თანამედროვე საინფორმაციო სისტემების დანერგვამ 2010 წელს საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის (www.fas.ge) ჩამოყალიბების საჭიროება გამოიწვია, რომელსაც დღეისთვის ერთ-ერთი წამყვანი პოზიცია უკავია ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ბაზარზე.

იმ უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ამოცანებიდან, რაც საქართველოს უახლოეს მომავალში აქვს გადასაწყვეტი, მთავარია ეკონომიკის სტაბილურობის მიღწევა, რომლის საფუძველსაც სწორი ფისკალური პოლიტიკა წარმოადგენს. აქვე აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ქვეყნებისათვის ფისკალურ გადაწყვეტილებებს აქვს განსხვავებული მიზანი: მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებში ეს პოლიტიკა მიზანმიმართულია უზრუნველყოს ეკონომიკური ზრდის ტემპები დინამიკაში, განვითარებულ ქვეყნებში კი - მიღწეული ეკონომიკური სტაბილურობიდან ეკონომიკურ ზრდაზე გადასვლა, ხოლო ისეთ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, როგორიცაა საქართველო, ფისკალური პოლიტიკა მოწოდებულია პასუხობდეს საბაზრო ეკონომიკაზე სრულყოფილი გადასვლისა და ეკონომიკური სტაბილურობისათვის პირობების მომზადებას [2, თბ., 2003, გვ. 143].

ფისკალური პოლიტიკის როლსა და მნიშვნელობას ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირების სისტემაში განსაზღვრავს ის, რომ იგი გამოიყენება არა მარტო სახელმწიფოს არსებობის ფინანსური უზრუნველყოფის (ფისკალური ფუნ-

ქცია) ან კიდევ ეკონომიკური განვითარების სტაბილიზაციის თვალსაზრისით (ეკონომიკური ფუნქცია), არამედ რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შემოსავლებისა და რესურსების გასანაწილებლად, ე.ი. ასეთ პოლიტიკას ფისკალურსა და ეკონომიკურთან ერთად გააჩნია წმინდა სოციალური დატვირთვაც, სწორედ საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა არის ის უმთავრესი მექანიზმი, რომლითაც ხელისუფლება პრაქტიკულად შედის თითოეული მოქალაქის საქმიანობის არეალში და როგორც გადასახადებით, ასევე, სახელმწიფო ხარჯებით უშუალოდ მონაწილეობს მოქალაქეთა კანონიერი შემოსავლების ფორმირების პროცესში. სწორედ ზემოაღნიშნული განაპირობებს საკვლევი პრობლემის აქტუალურობას.

ეკონომიკაში საგადასახადო ურთიერთობების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე ყურადღებაა გამახვილებული ეკონომიკური თეორიების ისეთი კლასიკოსების ნაშრომებში, როგორიც არიან: ა.სმიტი, დ.რიკარდო, ჯ.მილი, უ.პეტი, ჟ.სისმონდი, მ.მონტესკიე, ვოლტერი, ვ.მირბო; ეკონომიკურ ურთიერთობებში საგადასახადო შემადგენელს იკვლევდნენ ჯ.კეინზი, პ.სამუელსონი, მ.ფრიდმანი, ა.ლაფერი; სახელმწიფო ფინანსებისა და მათ შორის საგადასახადო პოლიტიკისა და საგადასახადო სისტემის ფორმირების პრობლემები განხილულია ჯ.ტობინის, კ.მაკკონელის, ჯ.სტიგლიცის, პ.გოდმეს და სხვათა ნაშრომებში.

საგადასახადო დაბეგვრის საკითხები განხილულია თანამედროვე ქართველი მეცნიერების: ვ.ჩანტლაძის, ა.სილაგაძის, გ.გამსახურდიას, თ.გამსახურდიას, ნ.ჭითანავას, თ.კოპალეიშვილის, მ.მურჯიკელის, რ.ოთინაშვილის, ი.მესხიას, დ.ჭიოტაშვილის, რ.ბასარიას, რ.კაკულიას, ე.ბარათაშვილის, ზ.ვაშაკიძის, მ.ჩიკვილაძის, ზ.როგავას, ნ.ტერაშვილის, რ.ასათიანის, ს.ყამარაშვილის, გ.ურიდიას, ი.შავიშვილის, ვ.პაპავას, მ.მიქელაშვილის, გ.იმედაშვილის, ს.სანაძის, დ.ნარმანიას და

სხვათა ნაშრომებში.

გადასახადების და საგადასახადო პოლიტიკის თეორიული საკითხები ეკონომიკური თეორიის ფუძემდებლების მუდმივი კვლევისა და ყურადღების საგანი იყო. გადასახადების თეორიული ასპექტების მეცნიერულ შესწავლას საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეებში მერკანტილიზმის პერიოდიდან. მერკანტილისტები თვლიდნენ, რომ თითოეულმა სუბიექტმა უნდა გადაიხადოს იმის ეკვივალენტი გადასახადი, რა სარგებლობასაც იგი დებულობს სახელმწიფოსაგან. მათ თეორიაში წინა პლანზეა წამოწეული გადასახადების სამართლიანობის პრინციპი, რომელიც დღესაც ძალაშია და სულ უფრო და უფრო იძენს აქტუალურობას ცივილიზებულ ქვეყნებში. მერკანტილისტები თვლიდნენ, რომ რაც მეტს მუშაობს ადამიანი, მით ნაკლებად უნდა დაიბეგროს იგი, ხოლო პირიქით, ზარმაცი და არა მომუშავე უფრო მაღალი განაკვეთებით. ჩვენ ვეთანხმებით მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მერკანტილისტების აღნიშნული მიდგომა არც იმ დროისათვის და არც დღევანდელისათვის არაა მისაღები, რადგან, გადასახადების მეშვეობით შრომითი იძულება აშკარად ეწინააღმდეგება სამართლიანობის და დემოკრატიის პრინციპებს [3, გვ.24].

გადასახადების თეორია ახალ სიმაღლეზე იქნა აყვანილი ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ფუძემდებლის უილიამ პეტის მიერ, რომელმაც 1662 წელს გამოსცა ფუნდამენტური ნაშრომი „ტრაქტატი გადასახადთა და გამოსაღებთა შესახებ“, რომელშიც მან დაასაბუთა, რომ სამართლიანი და მოწესრიგებული საგადასახადო სისტემა სტიმულს აძლევს ეკონომიკის განვითარებას და სტაბილურს ხდის სახელმწიფოს ფუნქციონირებას.

ფიზიოკრატიული სკოლის მთავარი იდეოლოგის ფრანსუა კენეს მიერ შემუშავებული თეორიის თანახმად, ღი-

რებულების წყაროა მიწათმოქმედება და, შესაბამისად, გადასახადი მხოლოდ მიწიდან მიღებული წმინდა შემოსავლიდან უნდა იქნეს გადახდილი. მიუხედავად იმისა, რომ ფიზიოკრატების თეორიული დებულება ვერ ხსნის გადასახადების თეორიულ არსს, მაინც მათ დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მათ საკმაოდ დამაჯერებლად დაასაბუთეს დებულება შემოსავლების ზრდის შესაბამისად გადასახადების გადიდების მიზანშეწონილობის შესახებ.

ინგლისური კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის თვალსაჩინო წარმომადგენლის ადამ სმიტის ნაშრომის - „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, ერთ-ერთი დიდი ნაწილი დათმობილი აქვს სახელმწიფო ფინანსებისა და გადასახადების გამოკვლევას. მასში დასაბუთებულია, რომ სამეურნეო სუბიექტის შემოსავლების მთავარი წყაროა რენტა, ხელფასი და მოგება, და, შესაბამისად, გადასახადი თანაბრად უნდა იქნეს გადახდილი შემოსავლების ამ წყაროებიდან.

ადამ სმიტის მოძღვრება გადასახადების თეორიაზე განავითარა ინგლისელმა ეკონომისტმა დავიდ რიკარდომ, რომლის აზრითაც, გადასახადი აკრეფილი უნდა იქნეს სამეურნეო სუბიექტის ყველა შემოსავლიდან და, ამასთან, მოგების გადასახადის გადიდება იწვევს პროდუქციისა და მომსახურების ფასების ზრდას. დავიდ რიკარდოს ეს დებულება შემდგომ ეკონომიკურმა პრაქტიკამ დაადასტურა და დღესაც ძალაშია.

მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა ეკონომისტმა ჯონ მეინარდ კეინზმა წამოაყენა „ეფექტური მოთხოვნის“ თეორია და დაასაბუთა, რომ გადასახადები ეკონომიკურთან ერთად არის სოციალური ურთიერთობების რეგულირების ინსტრუმენტი და მისი ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მაკროეკონომიკური წონასწორობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა.

მიგვაჩნია, რომ კეინსი მართალია, როცა ასაბუთებს, რომ, რაც მაღალია ეროვნული შემოსავლის მოცულობა, მით უფრო მეტი საგადასახადო შემოსავალი უნდა იქნეს აკრეფილი. ასევე, მხარდასაჭერია მისი მოსაზრება იმის შესახებ, რომ, რაც უფრო მაღალია საგადასახადო განაკვეთი, მით უფრო არასტაბილური და მერყეულია საგადასახადო ბაზა. მანვე დაამტკიცა, რომ გადასახადების შემცირება ასტიმულირებს შემოსავლების ზრდას და, შესაბამისად, მოცულობის მოხმარება და საერთოდ, საბოლოო ანგარიშით, იზრდება ერთობლივი მოთხოვნა, რაც, თავის მხრივ, ეკონომიკური ზრდის ფაქტორია. კეინზის ერთ-ერთი დიდი აღმოჩენაა გადასახადების „ფსიქოლოგიური კანონი“, რომლის თანახმად, სამეურნეო ერთეულს მიდრეკილება აქვს შემოსავლების ზრდის პარალელურად გაზარდოს მოხმარება, მაგრამ შედარებით ნაკლები მასშტაბით, ვიდრე შემოსავლები იზრდება. ეს, თავის მხრივ, იწვევს დაზოგვის გადიდებას, რომლის შესამცირებლად საჭიროა საშემოსავლო გადასახადის პროგრესული განაკვეთების დაწესება, რომლითაც გაიზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები, მეტი თანხა წარიმართება ინვესტირებისათვის, შემცირდება უმუშევრობის დონე და სტიმული მიეცემა ეკონომიკურ განვითარებას. ნეოკეინზიანური მიმართულების წარმომადგენლებმა შეიმუშავეს თავისუფალი მეწარმეობის, კონკურენციის და ფასების ლიბერალიზაციის თეორიული ასპექტები, რომლის თანახმადაც საგადასახადო მექანიზმი წარმოების სტიმულატორია, ხოლო საგადასახადო პოლიტიკა – ანტიკრიზისული და ანტიინფლაციური რეგულირების მძლავრი საშუალებაა.

XX საუკუნის 30-იანი წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის დროს, საგადასახადო შემოსავლების გადიდებამ ვერ უზრუნველყო სამომხმარებლო მოთხოვნის კომპენსირება, საფუძველი შეერყა გადასახადების კეინზიანურ თეორიას,

რის გამოც აღნიშნული საუკუნის პირველ ნახევარში დაიწყო გადასახადების მანამდე არსებული თეორიული საფუძვლების რევიზია. ამერიკელი მკვლევარის, ნობელის პრემიის ლაურეატ პ. სამუელსონის აზრით, ფულად-საკრედიტო და ფისკალურ პოლიტიკას შეუძლია შექმნას ხელსაყრელი პირობები ეკონომიკის აღმავლობისა და განვითარებისათვის. აღნიშნული იდეა კიდევ უფრო განავითარა ამერიკელმა მეცნიერმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა მ. ფრიდმენმა, რომელმაც კეინზის „ეფექტიანი მოთხოვნის თეორიას“ დაუპირისპირა „მიწოდების თეორია“ და დაასაბუთა ეკონომიკის მართვის რეგულირებაში სახელმწიფოს მინიმალურ დონეზე ჩარევის ეფექტიანობა. აღნიშნული თეორია უდევს საფუძვლად განვითარებული ქვეყნების საგადასახადო სისტემას. თანამედროვე პრაქტიკა ადასტურებს, რომ საგადასახადო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა ხდება საგადასახადო ტვირთის ოპტიმალური გადანაწილება პროდუქციის მწარმოებლებსა და მომხმარებლებს შორის. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური ზრდის ინტერესებიდან გამომდინარე, მაქსიმალურად უნდა შემსუბუქდეს მწარმოებლებზე საგადასახადო ზეწოლა, რითაც განხორციელდება ეკონომიკის რეგულირება საგადასახადო პოლიტიკით.

ა. ლაფერის საგადასახადო კონცეფციის არსია ის, რომ საგადასახადო განაკვეთის 30-40%-მდე ზრდა იწვევს საგადასახადო შემოსავლების ზრდას, ხოლო მის ზევით გადიდება ამუხრუჭებს შემოსავლების გადიდებას და ეკონომიკურ პროგრესს. მისი კონცეფციის მთავარი იდეაა ის, რომ მაღალი საგადასახადო განაკვეთი ახშობს სამეწარმეო და საინვესტიციო აქტივობას, ეცემა წარმოების ზრდის ტემპები და კლებულობს საგადასახადო შემოსავლების მოცულობა. მიზანშეწონილად მიგვაჩნია, ა. ლაფერის შეხედულების გათვალისწინება საქართველოში საგადასახადო პოლიტიკის შე-

მუშავეებისას, ვინაიდან მის კონფეფციას დღესაც არ დაუკარგავს აქტუალურობა.

2011 წლის იანვარში საქართველოში ამოქმედდა რიგით მესამე საგადასახადო კოდექსი, რომელშიც შინაარსობრივად გაერთიანდა საბაჟო და საგადასახადო კოდექსები. მასში გათვალისწინებულია შემცირებული საგადასახადო განაკვეთები ან გადასახადისაგან მთლიანად განთავისუფლება. ახალი საგადასახადო კოდექსი მიზნად ისახავს გადასახადების გადამხდელთა ნდობის ამაღლებას საქართველოს საგადასახადო სისტემისადმი, მათი უფლებების დაცვასა და უცხოური ინვესტიციებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნას. 2014 წლიდან უნდა გაუქმებულიყო გადასახადები დივიდენდებსა და საპროცენტო განაკვეთებზე, ასევე, საშემოსავლო გადასახადი უნდა შემცირებულიყო ფიზიკური პირებისათვის 15%-მდე. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისათვის გათვალისწინებული იყო გამარტივებული ადმინისტრაციული პროცედურები და შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმები. მაგრამ ეს გადაწყვეტილება გადაიდო. მიგვაჩნია, რომ მოქმედი საგადასახადო კოდექსის ამოსავალი პრინციპია საგადასახადო სისტემის მიმართ სანდოობის ამაღლება და გონივრული ადმინისტრირება. გარდა ამისა, იგი ითვალისწინებს სტაბილური და თანმიმდევრული საგადასახადო გარემოს ჩამოყალიბებას, ბიზნესის ლეგალიზაციას, ბუნდოვნების აღმოფხვრას, მიკრო და მცირე ბიზნესებისათვის განსხვავებული რეჟიმის შემოღებას. ახალ საგადასახადო კოდექსში, ევროსტანდარტების შესაბამისად, შემოღებულია ახალი დეფინიციები: მიკრობიზნესი, მცირე ბიზნესი. მიკრობიზნესის განვითარების მიზანია სიღარიბის დაძლევა, დასაქმება და დასაქმებულთა ლეგალიზაცია. კოდექსის დიდი ნაწილი გადასახადის გადამხდელის უფლებებს, მათ გაძლიერებასა და დაცვას ეხება. მნიშვნელოვანი ფაქ-

ტია, რომ შემოღებულია ბიზნეს-ომბუდსმენის ინსტიტუტი, რომელიც ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე ბიზნესმენტა ინტერესებს დაიცავს.

სამწუხაროდ, დღევანდელ საქართველოში საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება მიმდინარეობს მისი სათანადო თეორიული საფუძვლების დაუმუშავებლობის პირობებში, რის გამოც მოქმედი საგადასახადო სისტემა ხშირ ცვლილებას განიცდის. მხარდასაჭერია მოსაზრება იმის შესახებ, რომ საქართველოში დიდ სირთულეს ქმნის ის გარემოება, რომ არაა შემუშავებული მწარმოებლებს და მომხმარებლებს შორის საგადასახადო ტვირთის გადანაწილების ოპტიმალური მოდელი, რომ საქართველოს თანამედროვე საგადასახადო პოლიტიკას თეორიულ საფუძვლად უნდა დაედოს ალაფერის საგადასახადო კონცეფცია, რომლითაც მაღალი საგადასახადო წნეხი ახშობს სამეწარმეო და საინვესტიციო აქტივობას, რის გამოც, ეცემა წარმოების ზრდის ტემპები, ვიწროვდება საგადასახადო ბაზა და კლებულობს საგადასახადო შემოსავლების მოცულობა [3, თბ., 2012, გვ. 31].

როგორც, ზემოთ აღვნიშნეთ, მოძღვრება გადასახადების შესახებ საკმაოდ ხანდაზმული მეცნიერებაა. მიუხედავად ამისა, ჯერ მსოფლიოს არც ერთ ქვეყანას არ შეუქმნია მწყობრი, უნაკლო საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემა. აღნიშნულს ადასტურებს თანამედროვე ფინანსური კრიზისებიც, რომლისგანაც არც ერთი ქვეყანა არ არის დაზღვეული. ნებისმიერი ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავლებში გადასახადები მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ფისკალურ პოლიტიკაზე დამოკიდებული ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის განვითარება. გადასახადები ქმნის გადამწყვეტ ეკონომიკურ წანამძღვრებს შრომის პროდუქტების გაცვლისათვის, საქონლისა და მომსახურების მოძრაობისათვის მწარმოებლიდან საზოგადოებრივ სიკეთეთა მომხმარებლისაკენ.

ვისკალურ პოლიტიკას, რომელიც ცენტრალურ ადგილს იკავებს ეკონომიკის მართვაში, უნდა ჰქონდეს მკვეთრად გამოხატული სახელმწიფოებრივი თავისებურება, თავისი სტრატეგიითა და ტაქტიკით, მაგრამ უშვებდეს შემოსავლების სამსახურის რეაქციას ეკონომიკური კონიუნქტურის დროით ცვლილებაზე; ქვეყანაში მოქმედი გადასახადები და საგადასახადო სისტემა უნდა ემსახურებოდეს არა მარტო ცენტრალური და ადგილობრივი ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის უზრუნველყოფის საქმეს, არამედ იგი უნდა იყოს ერთგვარი ხელშემწყობი და სტიმულატორი ქვეყანაში სამეწარმეო საქმიანობის გაფართოებისა, უფრო მეტი კონკურენტუნარიანი და მაღალხარისხიანი პროდუქციის შექმნისა, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის საბიუჯეტო შემოსავლების დონეს, რომლის მიზანსაც გადასახადები ემსახურება.

მთლიანობაში, საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები, საგადასახადო კოდექსი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები ქმნის საგადასახადო კანონმდებლობის ერთიან სისტემას. ზოგადად, გადასახადი არის არაეკვივალენტური, უსასყიდლო, სავალდებულო შენატანი, რომელსაც გადასახადის გადამხდელი იხდის ქვეყნის ადგილობრივ და სახელმწიფო ბიუჯეტში.

კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ საქართველოში საგადასახადო პოლიტიკის ფორმირებას ახლავს როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი ფაქტორები.

დადებით ფაქტორებს მიეკუთვნება შემდეგი გარემოებები:

2013 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა რიგი საგადასახადო ცვლილება. მეწარმეები მიიჩნევენ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი საგადასახადო დავალიანებასთან დაკავშირებული ცვლილება იყო. კერძოდ, საგადასახადო დავალი-

ანების იძულებით ამოღება საგადასახადო დავის დასრულების შემდეგ იწყება. საგადასახადო დავალიანების გადავადების ერთწლიანი ვადა კი 3 წლით გაიზარდა. მეწარმეებისთვის ეს ფუნდამენტური ცვლილებაა და უფლებების დაცვის კუთხით ბიზნესგარემოს აუმჯობესებს. თუ, აქამდე, რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება საკმარისი იყო იმისათვის, რომ მეწარმის ქონებისთვის მყისიერად დაედოთ ყადაღა ან კომპანიის ქონება გაეყიდათ, ახალი წესის მიხედვით, საჩივარს დავა არ დასრულებს, მეწარმის ქონება იძულებით რეალიზაციას არ დაექვემდებარება. რაც შეეხება სანქციების და ჯარიმების შემცირებას, ცვლილებების ამავდროულად მიხედვით, რომელიც 2013 წლის იანვარში შევიდა ძალაში, დეკლარაციის დაგვიანებით წარდგენისთვის დაწესებული სანქციის მინიმალური ოდენობა 200 ლარის ნაცვლად 50 ლარით განისაზღვრა. საკონტროლო-საღარიბო აპარატის გამოყენების წესების დარღვევისათვის დადგენილი ჯარიმის ოდენობა კი 500-დან 200 ლარამდე შემცირდა. ასევე, სასაქონლო ზედნადების გარეშე საქმიანობის პირველად გამოვლენისას პირი 1 000 ლარის ნაცვლად 500 ლარით ჯარიმდება. ზედნადების გარეშე განმეორებით საქმიანობისთვის კი 10 000 ლარის ნაცვლად სანქციის ოდენობა 5 000 ლარით განისაზღვრა.

უარყოფითი ფაქტორებიდან აღსანიშნავია შემდეგი:

ზედა ეშელონებში მმართველობითი კადრების გარკვეული ნაწილი დაბალი კვალიფიკაციისაა და არაკომპეტენტურობით ხასიათდება, საგადასახადო სისტემაში მკაფიოდ არაა გამოკვეთილი პროგნოზირებაზე პასუხისმგებელი ორგანოები ან პირები, რის გამოც, ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა საიმედო, მეცნიერულად არგუმენტირებული საგადასახადო პროგნოზების შემუშავება. საგადასახადო პროგნოზირებაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა, აგრეთვე, საპროგნოზო

ინფორმაციის მოუწესრიგებლობა და მისი დაბალი ხარისხი. საგადასახადო პროგნოზირების ორგანიზაციას ართულებს ის გარემოებაც, რომ საერთოდ ჩაშლილია პროგნოზირება გადასახადის გადამხდელთა მხრიდან, რასაც იწვევს საგადასახადო კოდექსში ცვლილებებისა და დამატებების ხშირი შეტანა, რაც ეწინააღმდეგება გადასახადების სტაბილურობის პრინციპს და ამცირებს საგადასახადო პროგნოზების საიმედოობას; საყურადღებოა ის მოსაზრებაც, რომ დღევანდელ პირობებში საქართველოს ეკონომიკური და, მათ შორის, საგადასახადო პოლიტიკა სათანადო ადგილს არ უთმობს პროგნოზირებას. კანონები, ნორმატიული აქტები და სხვა ღირექტიული გადაწყვეტილებები მიიღება აღნიშნული შედეგების წინასწარი განჭვრეტისა და პროგნოზირების გარეშე. სწორედ ეს გარემოება არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი საგადასახადო კოდექსის მოთხოვნებისადმი თავის არიდების, გადასახადების აუკრებლობის, კორუფციის და ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბების ზრდის და სხვა ეკონომიკური ნეგატიური მოვლენების [3, გვ.224].

საქართველოს საგადასახადო პოლიტიკის გაუმჯობესების მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებების გატარება:

- საგადასახადო პროგნოზირებაში არსებული ხარვეზების დაძლევის მიზნით, აუცილებელია შემუშავდეს მისი მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგია და განხორციელდეს ზუსტი ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და გამოქვეყნება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფას და განვითარებას;

- საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის ლიბერალიზაცია არ გამორიცხავს მათი სრულყოფის ღონისძიებების შემდგომი განხორციელების აუცილებლობას. აღნიშნულს ადასტურებს სამეწარმეო საქმიანობის სუბიექტების

მოსაზრებანი მოქმედ კანონმდებლობასთან დაკავშირებით. აღნიშნული მეტყველებს იმაზე, რომ უნდა მოხდეს მოქმედი ფისკალური მექანიზმების ფარგლებში რაციონალური საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრა, რაც, მართალია, დღევანდელ პირობებში ვერ შეცვლის მოქმედ საგადასახადო სისტემას, მაგრამ მიკრო და მაკროეკონომიკური მეთოდების გამოყენების საფუძველზე ფისკალურ პრიორიტეტებში გარკვეულ კორექტივებს შეიტანს;

- ინვესტიციების სტიმულირებისათვის შესაძლებლად მიგვაჩნია მოგების გადასახადის განაკვეთების დიფერენციაცია და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რეინვესტირებული მოგების საერთოდ გათავისუფლება გადასახადისაგან. ასეთი საგადასახადო მექანიზმის ამოქმედება განსაკუთრებით მიმზიდველი იქნება მცირე საწარმოებისათვის. ამასთან, მაღალი შემოსავლების მქონე ინვესტიციებზე მოგების გადასახადის დიფერენციაცია უნდა განხორციელდეს რეგრესიული შკალის გამოყენებით;

- აუცილებელია, საექსპორტო საქმიანობის მოწესრიგება, კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობით ექსპორტი არ იბეგრება, რაც სავსებით შეესაბამება თავისუფალ საბაზრო ურთიერთობების პრინციპებს, ვინაიდან მისი შეზღუდვა მრავალ ნეგატიურ მოვლენასთან არის დაკავშირებული. საბაზრო ეკონომიკის კანონები ასევე განსაზღვრავს, რომ ექსპორტი უნდა გახდეს მოთხოვნა-მიწოდების დაბალი წონასწორობიდან თავის დაღწევის უმთავრესი საშუალება;

- ექსპორტის წახალისებაში საქართველოს არა აქვს არჩევანი საგარეო ბალანსის დეფიციტისა და საგარეო ვალდებულების დაბრუნების პერსპექტივიდან გამომდინარე. ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის თვალსაზრისით, ასევე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია: 1. შენარჩუნდეს ხელშემწყობი საგადასახადო პირობები (მათ შორის დღგ-საგან გათავი-

სუფლებას); 2. უნდა განხორციელდეს ღონისძიებები პარტნიორი ქვეყნებისაგან ხელსაყრელი სატარიფო და არასატარიფო პირობების მისაღებად, რა მიმართულებითაც ქვეყანაში მუშაობა ფაქტობრივად არ წარმოებს; 3. ტრენინგებისა და ინფორმაციული უზრუნველყოფის გზით გაგრძელდეს ექსპორტიორ მეწარმეთა პოტენციალის გაძლიერება; 4. დაკრედიტებისა და დაზღვევის მეშვეობით გაფართოვდეს ექსპორტის ფინანსური ხელშეწყობა. ამასთან, სტრატეგიული, მაგრამ დაქვეითებული პროდუქტების მიმართ, დროებით ფორმად, აგრეთვე, უნდა გამოვიყენოთ სუბსიდირება, რაც სახელმწიფო ბიუჯეტში ამ მიზნებისათვის მნიშვნელოვანი თანხის გამოყოფას გულისხმობს.

ახალი საგადასახადო კონსტიტუციური დებულებები მნიშვნელოვანია იმითაც, რომ საქართველოს კონსტიტუცია უკეთ გამიჯნავს ქვეყნის უმაღლესი სახელმწიფო ორგანოების შესაბამის კომპეტენციას საგადასახადო საკითხებზე. ახალი რედაქციით, კონსტიტუციიდან ამოღებულია არსებითი დებულებები, რაც ეხებოდა საგადასახადო კანონმდებლობას. მაგალითად, კონსტიტუციის ძველი რედაქციით, პრეზიდენტს, განსაკუთრებულ შემთხვევებში - პარლამენტის დათხოვნის პერიოდში, ახლადარჩეული პარლამენტის პირველ შეკრებამდე - საგადასახადო სფეროს რეგულირების მიზნით გააჩნდა კანონის ძალის მქონე დეკრეტის გამოცემის უფლებამოსილება. იგი იურიდიულ ძალას ინარჩუნებდა, თუ ერთი თვის განმავლობაში ახლადარჩეული პარლამენტი პირველი შეკრებიდან ერთი თვის განმავლობაში დაამტკიცებდა მას. გარდა ამისა, 2013 წლის 17 ნოემბრამდე მოქმედი კონსტიტუციით, საგადასახადო კოდექსის შესახებ კანონპროექტს შეიძლება გამოეწვია მნიშვნელოვანი სახელისუფლებო ცვლილებები - პრეზიდენტის მიერ: მთავრობის გადაყენება ან პარლამენტის დათხოვნა და რიგგარეშე

არჩევნების დანიშვნა. ეს შეიძლება მომხდარიყო მაშინ, თუ პარლამენტში განსახილველ საგადასახადო კოდექსის შესახებ კანონპროექტზე პრემიერ-მინისტრი დასვამდა მთავრობის ნდობის საკითხს და თუ პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას არ გამოუცხადებდა მთავრობას. ამრიგად, კონსტიტუციას ძველი რედაქციით, პარლამენტში განსახილველ საგადასახადო კოდექსს შეიძლება გამოეწვია მთავრობის ნდობის საკითხი პრემიერ-მინისტრის მხრიდან. თუმცა, ამ საკითხის წამოჭრა პრემიერ-მინისტრის უფლებამოსილება იყო და არა ვალდებულება. თუ პარლამენტი სრული შემადგენლობის უმრავლესობით ნდობას არ გამოუცხადებდა მთავრობას, კონსტიტუცია მოითხოვდა საქართველოს პრეზიდენტის ჩარევას. პრეზიდენტი, ამ შემთხვევაში ორი ალტერნატივის წინაშე იდგა: მას შეეძლო გადაეყენებინა მთავრობა ერთი კვირის განმავლობაში ან დაეთხოვა პარლამენტი და დაენიშნა რიგგარეშე არჩევნები.

ახალი კონსტიტუციური ნორმებით, უპირველეს ყოვლისა, განმტკიცდა ეკონომიკური თავისუფლების საკანონმდებლო დაცვის უმაღლესი სტანდარტი - კონსტიტუციური გარანტია; 2013 წლის 17 ნოემბრიდან ნებისმიერი კანონი გადასახადების შესახებ უნდა შეესაბამებოდეს კონსტიტუციურ საგადასახადო მოთხოვნებს. საქართველოს მთავრობას საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადის ახალი სახის შემოღებისას ან ზღვრული განაკვეთის გაზრდისას რეფერენდუმის ინიცირების უფლებამოსილება დაემატა. ამასთანავე, 2013 წლის 31 დეკემბრიდან ამოქმედდა ორგანული კანონი ეკონომიკური თავისუფლების შესახებ. თუმცა, ეკონომიკური თვალსაზრისით, ეკონომიკური თავისუფლება ხელისუფლების ვალდებულებებისა და ძალაუფლების შემცირებით მიიღწევა.

ძალაუფლების შემცირება კი ნიშნავს რეგულაციების,

საგაჭრო ბარიერების შემცირება/გაუქმებას, ასევე საგადასახადო ადმინისტრირების გამარტივებას და, პირველ რიგში, საგადასახადო ტვირთის შემცირებას. ახალი კანონმდებლობით გადასახადები არ მცირდება, თუმცა, მათი გაზრდა მნიშვნელოვნად რთულდება, რადგან საერთო-სახელმწიფო-ბრივი გადასახადის გაზრდას რეფერენდუმზე, ფაქტობრივად, წარმოუდგენელია, ხალხმა მხარი დაუჭიროს. ამასთანავე, არსებობს ილინოისის შტატის მაგალითი, სადაც 1963 წლიდან 21 საგადასახადო რეფერენდუმი ჩატარდა და გადასახადის ცვლილება მოსახლეობამ მიიღო 11 შემთხვევაში; მათ შორის მხარი არ დაუჭირა ზოგიერთი გადასახადის შემცირებას, თუმცა, თითქმის ყველა შემთხვევაში არ მიიღო საგადასახადო ტვირთის გაზრდის ინიციატივები. თუმცა მაინც აღსანიშნავია, რომ საქართველოს კონსტიტუცია უშვებს გამონაკლისებს, რაც საშუალებას იძლევა, რეფერენდუმის გარეშეც გაიზარდოს გადასახადები და, შესაბამისად, საგადასახადო ტვირთიც.

მნიშვნელოვანია, რომ „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ 2011 წლის 14 ივლისს ინიცირებული კანონის ფუძემდებლური დებულებები ამოქმედდა საქართველოში ხელისუფლების ცვლილების შემდეგ და კონსტიტუციურ ვალდებულებებად განმტკიცდა მომავალი ხელისუფლებისთვისაც. ზოგიერთი მოსაზრებით, ამით განხორციელდა კონსტიტუციური რევოლუცია, რომელიც ეკონომიკურ თავისუფლების გარდა ხალხს ანიჭებს საბაზრო-ეკონომიკურ მოტივაციასა და ძალაუფლებასაც და გრძელვადიან პერსპექტივაში შექმნის ეკონომიკური სტაბილურობის განცდას. ამ დებულების შემოღება ნებისმიერი ხელისუფლების მიერ საკმაოდ ამბიციურ, თუმცა, ამავე დროს გაბედულ ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს, რადგან ხალხის მიერ რეფერენდუმის გზით გადასახადების გაზრდის მხარდაჭერის პრინციპი,

ფაქტობრივად, ხელისუფლების ძალაუფლებისა და უფლებამოსილების შეზღუდვას ნიშნავს. ამ მოსაზრებას ეთანხმება ბევრი ეკონომიკური ექსპერტი. მას ასევე იზიარებენ „გადასახადის გადამხდელთა კავშირშიც“. ამ ორგანიზაციის ღირექტორის, გიგლა მიქაუტაძის შეფასებით, აღნიშნულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა შეზღუდა მთავრობის ძალაუფლება და გაზარდა გადასახადის გადამხდელთა უფლებები; ხოლო ადამიანის ეკონომიკური თავისუფლების კონსტიტუციის დონეზე აყვანა, სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული გაბედული ნაბიჯია. „გადასახადის გადამხდელთა კავშირი“ არ ეთანხმება იმ აზრს, რომ ეს ცვლილება რისკებს შეიცავს. თუ გარკვეული აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისას მთავრობა კრიზისული სიტუაციიდან გამოსავლად გადასახადების გაზრდას მიიჩნევს, მას ამის გაკეთება 3 წლის ვადით შეეძლება, რაც საკმარისი დროა. ამ საკონსტიტუციო ცვლილებით, ერთი მხრივ, იზღუდება მთავრობა მოქალაქეთა თავისუფლების ზრდის ხარჯზე და მეორე მხრივ, კერძო სექტორს ენიჭება დამატებით გარანტიები. შესაბამისად, „გადასახადის გადამხდელთა კავშირის“ მოსაზრებით, ეს ფაქტორი საქართველოს ინვესტიციების მოზიდვაში აუცილებლად დაეხმარება [4].

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სამართლებრივი უზრუნველყოფისა და კვლევების დეპარტამენტის მთავარი მრჩეველის ელენე სეხნიაშვილის აზრით, საქართველოს ახალი კონსტიტუციის და ეკონომიკური თავისუფლების შესახებ ორგანული კანონის უმთავრესი მიზანია, უზრუნველყოს საქართველოს ლიბერალური ეკონომიკური განვითარების მდგრადი საფუძველი, რომელიც განაპირობებს ეკონომიკურ სტაბილურობას როგორც ადგილობრივი წარმოების, ასევე უცხოური ინვესტირებისთვის. თუ რამდენად მყარი აღმოჩნდება განხილული ახალი კონსტიტუცი-

ური საფუძვლები საქართველოს საგადასახადო სისტემისა და ეკონომიკისთვის, პოლიტიკური, ეკონომიკურ-სოციალური ცხოვრებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს აღმშენებლობის პროცესის მიხედვით, მომავალში გამოჩნდება [4].

საგადასახადო პროგნოზირებაში არსებული პრობლემების დაძლევის მიზნით, მიზანშეწონილად მიგვაჩნია შემუშავდეს მისი მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდოლოგია და განხორციელდეს ზუსტი ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება და გამოქვეყნება, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს საგადასახადო სისტემის სრულყოფას და განვითარებას.

Tax policy: theoretical basics and directions of perfection

Q. Gudushauri

In the article with tax policies theoretical basics, attention is on, perfection of tax policies, such as: work out of, tax prediction's scientific grounded methods and to gain exact information; differentiation of profit tax's rate, for stimulation of investing and liberation of reinvested profit from taxes.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ლ. ბახტაძე, რ. კაკულია, მ. ჩიკვილაძე, საგადასახადო საქმე, თბ., 2007, გვ., 171;
2. თ. გამსახურდია, საქართველოს საგადასახადო-საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების პრობლემები თანამედროვე ეტაპზე, თსუ გამომცემლობა, თბ., 2003, გვ. 143;
3. იაკობ მესხია, დავით ჭიოტაშვილი, საჯარო ფინანსები, გადასახადები და ბიუჯეტი, თბ., 2012, გვ. 24;
4. ელენე სეხნიაშვილი, www.liberali.ge/ge/liberali/articles/117615/6 თებ, 2014 LL.M (EMLE, Bologna, Hamburg).

საჭირო ნიშნები გლობალური პრობლემის ეროვნულ თავისებურებაზე

(გმთა შელია, ხანდაზმული მოსახლეობა საქართველოში,
თბილისი, „უნივერსალი“, 2013, 234 გვ.)

მოსახლეობის დაბერება თანამედროვე მსოფლიო ცივილიზაციის ერთერთი სერიოზული გამოწვევა და პრობლემაა. არსებითმა ცვლილებებმა და მიღწევებმა მედიცინის სფეროში, მსოფლიო სიმდიდრისა და გლობალური პროდუქტის ზრდამ კაცობრიობას შესაძლებლობა მისცა სერიოზული პროგრესისთვის მიეღწია სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდაში. თუ ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 50 წელს არ აღემატებოდა, ერთი საუკუნის შემდეგ მან უკვე 70 წელს მიაღწია. ამჟამად 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის წილი მსოფლიოში 600 მლნ-ს აღემატება და 2050 წლისთვის 1.5 მლრდ-ს გადააჭარბებს. შესაბამისად, მთელი სიმწვავეთ დგება, ხანდაზმული მოსახლეობის აქტიური ცხოვრების უზრუნველყოფის ღონისძიებებთან ერთად, მათი დასვენების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის პრობლემები. თანამედროვე მსოფლიო ინტენსიურად ეძებს იმ სოციალურ-პოლიტიკური და მენტალური მოდელის ფორმას, რომლის მიხედვითაც საზოგადოება შეძლებდა დაბერებული მოსახლეობის ცოდნის, გამოცდილების, უნარ-ჩვევების ეფექტიან გამოყენებას და, ამავე დროს, დაბერებული მოსახლეობის ცხოვრებას მათთვის უფრო საინტერესოსა და

ოჯახისა და საზოგადოების ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლებისათვის ნაკლები ტვირთის მატარებელს გახდიდა. აღნიშნული პრობლემა განსაკუთრებით საყურადღებოა საქართველოსთვის, სადაც 65 წელს გადაცილებული მოსახლეობის რაოდენობა 2-ჯერ აღემატება მსოფლიო პრაქტიკაში აღიარებულ მოსახლეობის დაბერების კრიტიკულ ზღვარს (7%).

აღნიშნული, ისევე როგორც სხვა მრავალი დემოგრაფიული პრობლემისა და ტენდენციის, მათი გადაჭრის გზების ძიებასა და რეკომენდაციებს ეძღვნება ცნობილი მეცნიერ-დემოგრაფის, ქალბატონ მზია შელიას მონოგრაფიული ნაშრომი „ხანდაზმული მოსახლეობა საქართველოში“. დემოგრაფიულ თემაზე დაწერილ მრავალ ნაშრომთა შორის იგი გამოირჩევა მასში არა მარტო მრავალმხრივად წარმოჩენილი თანამედროვე ცივილიზაციის წინაშე მდგარი ერთერთი სერიოზული გამოწვევის არსითა და სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგებით, არამედ იმითაც, რომ ფაქტობრივად ყველა პრობლემა განხილულია საქართველოსა და გლობალური მასშტაბით პარალელურების გავლების და შედარებების ასპექტით. საკვლევი საკითხის ყოველმხრივი, სიღრმისეული წარმოჩენისა და პრობლემების დაძლევის გზების ჩვენებისათვის ავტორი ფართოდ იყენებს სპეციალიზებულ დემოგრაფიულ და სოციოლოგიურ კვლევებს, ქართველი და უცხოელი ავტორების მრავალრიცხოვან ნაშრომებს (გამოყენებულ ნაშრომთა ჩამონათვალი ქართულ და რამდენიმე უცხოურ ენაზე 200-ს აღემატება), აგრეთვე გაეროსა და სხვა საერთაშორისო სპეციალიზებული ინსტიტუტების ოფიციალურ, მათ შორის საპროგნოზო მონაცემებს.

დაბერებას ავტორი განიხილავს ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ასპექტით, თითოეული მათგანის თავისებურებებისა და კანონზომიერებების მითითებით, რაც ბევრ საყურადღებო და დამაფიქრებელ ინფორმაციას აცნობს მკითხველს.

ნაშრომში მოტანილია უაღრესად საინტერესო ინფორმაცია ადამიანის სიბერის საწყისი ასაკის განსაზღვრის თაობაზე, შედარებულია აღნიშნულ საკითხზე სხვადასხვა მიდგომა, დაწყებული ძველი ჩინელი და ბერძენი მეცნიერების შესვლულებებით და დამთავრებული მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციით (შესაბამისი მონაცემები მერყეობენ 45-დან 75 წლამდე).

ავტორი კარგად იცნობს, თუ რა პრობლემას აწყდება ესა თუ ის ქვეყანა ან კონტინენტი მოსახლეობის დაბერებისა და შესაბამისი სოციალური პოლიტიკის გატარებისას, იმ ზომებსა და ღონისძიებებს, რომლებსაც განიხილავენ მეცნიერები და პოლიტიკოსები დემოგრაფიული განვითარების პროცესში ნეგატიური ტენდენციების დასაძლევად (ქორწინების სტიმულირების ღონისძიებები, შრომისუნარიანი მოსახლეობის მიგრაციის წახალისება, რეფორმები სოციალურ პოლიტიკურ სფეროში და სხვ.). პრობლემის არსის კარგად ცოდნა მას საშუალებას აძლევს წარმოაჩინოს არა მარტო ობიექტური სურათი, არამედ ის მოსალოდნელი და უკვე დამდგარი შედეგებიც, რასაც მოსახლეობის დაბერება იწვევს სოციალურ-დემოგრაფიული კუთხით. განსაკუთრებით საყურადღებოა ავტორისეული ხედვა დემოგრაფიული დაბერების იმ შედეგებისა, რომელიც ვლინდება თანამედროვე თაობათა შორის ურთიერთობებში.

მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომში ვრცელდება მსოფლიოში, ცალკეულ ქვეყნებსა და კონტინენტებზე მიმდინარე ცვლილებები, მაინც მისი განსაკუთრებული ყურადღების საგანი საქართველოა. ავტორი განიხილავს ჩვენი ქვეყნის უკანასკნელ თითქმის 120-წლიან პერიოდში (1897 წლიდან დღემდე) განვითარებულ იმ პროცესებს, რითაც ხასიათდებოდა საქართველოს დემოგრაფიული მდგომარეობა - დაბერება, შობადობის შემცირება, დემოგრაფიული დატვირთვის ზრდა, ... თანაც, მონაცემების და ინდიკატორების (სიბერისა და დემოგრაფიული დატვირთვის კოეფიციენტები, მედიანური ასაკი და სხვ.), უმრავლესობა მოყვანილი აქვს არა მარტო მთლიანად საქართველოზე, არამედ ქალაქისა და სოფლის ჭრილით, აგრეთვე დედაქალაქის მიხედვით; ბევრია მონაცემი ქალაქების სიდიდის (უმსხვილესი - დედაქალაქი, დიდი, საშუალო და პატარა ქალაქები) მიხედვითაც. ცალკეულ შემთხვევაში იგი არ კმაყოფილდება რეგიონის დონით და დადის უფრო წვრილი ადმინისტრაციული ერთეულის - რაიონის (მუნიციპალიტეტის) დონეზე (მესტია, ამბროლაური და სხვა).

დიდ ყურადღება ეთმობა ნაშრომში საქართველოს მოსახლეობის დაბერების თავისებურებების შესწავლას, როგორც ზოგადად, ასევე მისი ცალკეული რეგიონების მიხედვითაც. ავტორი გამოყოფს მოსახლეობის დაბერების ოთხ ეტაპს. ამასთან, საქართველოს ყველა მსხვილი რეგიონის მიხედვით მითითებულია ის დრო (წელი), როდესაც მათ დაუდგათ დაბერების ესა თუ ის ეტაპი.

ავტორი განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას მეოთხე ეტაპზე, როგორც მოსახლეობის დაბერების სპეციფი-

კურ მოდელზე. მისი აზრით, მოსახლეობის დაბერება მიმდინარეობს არა „ქვემოდან“ ან „ზემოდან“, არამედ „შუიდან“, რის მიზეზიცაა შუა ასაკის მოსახლეობის ინტენსიური ემიგრაცია (გვ. 55). გაკეთებულია პროგნოზი, თუ რა ელის საქართველოს მოსახლეობას უახლოეს მომავალში. მას ყურადღების მიღმა არ რჩება ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორიც, როგორიცაა ურბანიზაციის პროცესის გაველენა მოსახლეობის დაბერებაზე, აგრეთვე მოსახლეობის დაბერების გენდერული და ეროვნულ-რელიგიური თავისებურებები.

მოსახლეობის დემოგრაფიულ დაბერებას აქვს უზარმაზარი ეკონომიკური შედეგი და ეს ვლინდება არა მარტო მოსახლეობის და შრომითი რესურსების დემოგრაფიულ დაწოლაზე (ავტორის შეფასებით, 2060 წლისთვის ამჟამინდელთან შედარებით, 1 პენსიონერზე მოსული შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა განახევრდება - გვ. 37), არამედ თვით შრომითი რესურსების სტრუქტურის ცვლილებაზეც. ავტორს ყურადღების მიღმა არ დარჩენია ის გარემოებაც, რომ დაბერების კვალობაზე შრომით რესურსებში იზრდება წინასაპენსიო ასაკის მოსახლეობის წილი, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს შრომისუნარიან მოსახლეობაზე დემოგრაფიული ზეწოლის მიმდინარე და მოსალოდნელ მასშტაბებს. ავტორი ახდენს დაბერებული მოსახლეობის შიგა სტრუქტურირებას ასაკობრივი ნიშნითაც. ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ არსებობს უმუშევრობის მაღალი კორელაცია ფიზიოლოგიური დაბერების პროცესთან. ავტორის შეფასებით, უმუშევარი ადამიანი 3 წლით უფრო ადრე ბერდება, ვიდრე მომუშავე (გვ. 13).

ნაშრომი სრულად წარმოაჩენს შრომითი მიგრაციის

გავლენას, „წვდილს“ სახეზე მყოფი („დარჩენილი“) მოსახლეობის სიბერის უფრო მაღალი დონის უზრუნველყოფაში.

გენდერული ასპექტით დაბერების პროცესზე მსჯელობისას ხაზგასმულია, რომ საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში (სარდინიის გამოკლებით), ადგილი აქვს დღეგრძელთა კონტინგენტის ფემინიზაციის პროცესს (გვ. 87).

ავტორს დაწვრილებით აქვს განხილული მოსახლეობის დაბერების დემოგრაფიული (სქესთა რიცხოვნულ თანაფარდობაში დისბალანსის შექმნა, რეპროდუქციულ ქალთა კონტინგენტის შემცირება, დემოგრაფიულ დატვირთვისა და მოკვდავობის ზრდა) და სოციალური შედეგები (ჯანდაცვაზე ხარჯების ზრდა, მარტოხელა მოხუცების მომრავლება, თაობათაშორის ურთიერთობების ცვლილება ოჯახსა და საზოგადოებაში, მულტიკულტურული საზოგადოების ფორმირება). ხაზგასმულია, რომ სიღარიბის ზრდის პარალელურად დემოგრაფიული დაბერებისა და მარტოხელობის პრობლემის გამწვავებამ გამოიწვია მარტოხელა მოხუცების თავშესაფრების რაოდენობის ზრდა.

ავტორის ყურადღების აქცენტირებას აკეთებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველო კავკასიაში ყველაზე დაბერებული ქვეყანაა და მასში 65 წელზე უხნესი მოსახლეობის წილი (14,6%) 2-ჯერ და მეტად აღემატება რეგიონის ყველაზე ახალგაზრდა ქვეყნის - აზერბაიჯანის ანალოგიურ მაჩვენებელს (7,1%) (გვ. 47).

დემოგრაფიული დაბერება პირდაპირ კავშირშია მოსახლეობის საპენსიო ასაკის სოციალური დაცვის

პრობლემებთან. საქართველოსთვის აღნიშნულ მდგომარეობას ამწვავებს ის გარემოებაც, რომ ჩვენთან პრაქტიკულად არ დაწყებულია საპენსიო სისტემის რეფორმა და, შესაბამისად, არ არსებობს ის სისტემა, პარადიგმა, რომლის მიხედვითაც უნდა მოხდეს უახლოეს მომავალში, ათწლეულებში, პენსიაზე გასული მოსახლეობის სოციალური დაცვის მექანიზმის ფორმირება. ქალბატონ მ. შელიას სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აღნიშნულ პრობლემებს იხილავს არა მარტო საპენსიო რეფორმის, არამედ აღნიშნული კატეგორიის მოსახლეობის ჯანმრთელობის, განათლების და შრომითი ორიენტაციის კუთხით. ავტორი ხაზს უსვამს აქტიური სიბერის მოდელის დანერგვის მნიშვნელობას. ნაშრომში საინტერესოაა განხილული აგრეთვე ასაკობრივი დიფერენციაცია შრომითი მიგრაციისა და საარჩევნო ელექტორატის კონტექსტით, მარტოხელობის პრობლემა და დემოგრაფიული აღწარმოების ტიპები. არ შეიძლება არ აღინიშნოს მოსახლეობის დემოგრაფიული კვლევის ისეთი საინტერესო და ამავე დროს, ნაკლებად შესწავლილი საკითხი, როგორიცაა დემოგრაფიულ ქცევაზე რელიგიური ფაქტორის გავლენა. ავტორი წარმოაჩენს აღნიშნული პრობლემის არსს და მისი გამოვლენის თავისებურებებს ცალკეული ქვეყნებისა და ეთნიკური ჯგუფების მიხედვით (ნიდერლანდები, ისრაელი, ბოსნია, ჰერცეგოვინა და სხვა) (გვ. 94-98).

სარეცენზიო მონოგრაფია, მიუხედავად იმისა, რომ პირველ ყოვლისა, სამეცნიერო ნაშრომია და მასში უხვადაა გამოყენებული შესაბამისი ინდიკატორები და დემოგრაფიული კოეფიციენტები (სიბერის კოეფიციენტი, მედიანური ასაკი, დღეგრძელობის კოეფიციენტი, სიბერის ფემინიზაციის

ინდექსი, დემოგრაფიული დატვირთვის მაჩვენებლები და სხვა), იგი იმდენად სადა, გამართული სალიტერატურო ქართულითაა დაწერილი, რომ ადვილად გასაგებია მკითხველთა ფართო, არაპროფესიონალი წრისთვისაც კი. ამ კუთხით ზემოხსენებული მონოგრაფია ერთნაირად წაადგება, როგორც დემოგრაფიული პრობლემატიკით დაინტერესებულ მეცნიერ მკვლევარებს და სტუდენტებს, ასევე სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული პოლიტიკის შემუშავებითა და განხორციელებით დაკავებულ ინსტიტუტებსა და პიროვნებებს. იმავე კონტექსტით შეიძლება პირდაპირ ითქვას, რომ ის გარკვეულწილად ხელისუფლებისთვის დემოგრაფიული-სოციალური და საპენსიო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების დამხმარე სახელმძღვანელოდაც შეიძლება განვიხილოთ.

ავტორისათვის უცხო არ არის სამეცნიერო პოლემიკაც, რომელსაც მაღალ აკადემიურ დონეზე ახორციელებს. კონკრეტული არგუმენტების მოყვანასთან ერთად ის ცდილობს ახსნას, თუ რა გარემოებებმა და ფაქტორებმა გამოიწვია მათი ამგვარი პოზიცია.

გვაქვს დაზუსტებითი ხასიათის შენიშვნები: ნაშრომში კავკასიის რეგიონის კლასიფიკაცია დემოგრაფიული კუთხით არ ემთხვევა კლასიფიკაციას პოლიტიკური კუთხით. ამ უკანასკნელის მიხედვით, სამხრეთ კავკასია ეს არის საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი, მაშინ როდესაც ავტორს ეს ქვეყნები ცენტრალურ კავკასიად აქვს მოხსენიებული, სამხრეთ კავკასიად კი მიჩნეულია თანამედროვე ირანისა და თურქეთის ჩრდილოეთი პროვინციები (გვ. 47-48).

ავტორი მოსახლეობის დაბერებაზე მსჯელობისას მის ქართულ სპეციფიკად მიიჩნევს დაბერებას არა „ქვემოდან“ ან „ზემოდან“, არამედ „შუადან“, რისი მიზეზიცაა შუა ასაკის მოსახლეობის ინტენსიური ემიგრაცია (გვ. 55). ვფიქრობ, დაბერების „ქართული სპეციფიკა“, სამწუხაროდ, მისი სამივე ფორმის - „ქვემოდან“, „ზემოდან“ და „შუადან“ - ერთდროული გამოვლენით ხასიათდება.

მთლიანობაში, ნაშრომი ქართული დემოგრაფიული, მთლიანად ეკონომიკური მეცნიერების სერიოზული შენაძენია და დარწმუნებული ვარ, მას ხანგრძლივი სიცოცხლე და აღიარება უწერია.

ნაშრომის ავტორს, ქალბატონ მზია შელიას კი ვუსურვებ ახალ შემოქმედებით, სამეცნიერო წარმატებებს, მათ შორის 2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემებზე დაყრდნობით იმ ახალი დემოგრაფიული რეალობებისა და გამოწვევების წარმოჩენით, რაც თანამედროვე საქართველოს წინაშე დგას.

**ჟურნალ „ეკონომიკა და ბიზნესის“ 2014 წლის
№1-5-ის შინაარსი**

სტატიების ავტორები	რუბრიკების და სტატიების დასახელება	№ ბმ.
	საშობაო ეპისტოლე	№1
	ილია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი საშობაო ეპისტოლე	10
	ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა	
რევაზ გველესიანი, ეკა ლეკაშვილი, ნანა მაისურაძე, გიორგი ყუფარაძე	ვიშეგრადის ქვეყნების ევროკავშირთან ინტეგრაციის ეკონომიკური პოლიტიკა	27
დორიენ დეტომბე	კომპლექსური საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრა	53
რომან ხარბედია	ეკონომიკური ლიბერალიზმისა და სახელმწიფოს როლის შესახებ	85
კახა ქეცბაია	რელიგიისა და ეკონომიკის ურთიერთმიმართების კლასიკური და თანამედროვე სოციოლოგიური იმპლიკაციები	101

	მიკრო-მაკროეკონომიკა	
გიორგი ლაღანიძე	პროდუქციის საექსპორტო პოტენციალის ინდექსის განსაზღვრა	119
ვახტანგ ჭარაია	საქართველოს ეკონომიკური კონკურენტუნარიანობის ანალიზი და პერსპექტივები	137
მაია სანიკიძე	მცირე ბიზნესის განვითარების ხელშეწყობი მექანიზმები	151
	მენეჯმენტი, მარკეტინგი, ტურიზმი	
მანანა ხარხელი	ბიზნეს-პროცესების რეინჟინირინგი და ოპერაციული კონსალტინგის როლი მის განხორციელებაში	163
ეკატერინე გულუა, მერაბ ხოხობაია	ლიდერობის მართლმადიდებლური აღქმა	177
	შინაგური ეკონომიკა	
თამარ კბილაძე	ოპტიმალური საგადასახადო ტვირთის გაანგარიშების საკითხისათვის	191
	ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა	№2
ელგუჯა მეჭვავიშვილი	ანტიკრიზისული მართვის მსოფლიო გამოცდილება და პერსპექტივები (2008 წლის გლობალური ფინანსურ- ეკონომიკური კრიზისის მაგალითზე)	11
მამია ჭუმბურიძე, პაატა კოლუაშვილი	კოოპერაცია: რეტროსპექტივა და პერსპექტივა	27
ნინო რუხაია	საქართველოში გონივრული აგრარული პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების საკითხისათვის	55

	მიკრო-მაკროეკონომიკა	
გიორგი ბაქრაძე.	საწარმოო ჯაჭვში ჩაბმა და მისი გავლენა ქვეყნის სოციალურ მდგომარეობაზე	69
თამილა არნანია-კეპულაძე.	გერმანიის შრომის ბაზრის ფორმირებისა და განვითარების ტენდენციები	83
	მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი	
ეკა სეფაშვილი	კლასტერების როლი ქვეყნის გლობალური კონკურენტუნარიანობის ამაღლებაში	97
გიორგი ხიშტოვანი	საქართველოში ჯანდაცვის 2006-2013 წლების რეფორმის ფინანსური გავლენის პროგნოზი კერძო სადაზღვევო კომპანიებზე („აღდაგი-ბისიი“-ს შემთხვევა)	115
ასმათ გულორდავა	არასამეწარმეო იურიდიული პირების მართვის თავისებურებები	139
გიორგი ქუთათელაძე	იაპონური მენეჯმენტის ინტერნაციონალური ტრანსფერის მახასიათებლები	145
	ფინანსური ეკონომიკა	
მაია გოგოხია	საერთაშორისო ფინანსური ბაზრის ფუნქციონირების თავისებურებები	155
ციური ოქრუაშვილი	საქართველოს ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სრულყოფის გზები	167
სალომე ბაქრაძე	ინფლაციისა და ფასების დონის თარგმთირების საკითხისათვის	183

	სააღდგომო ეპისტოლე	№3
	ილია II სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, სააღდგომო ეპისტოლე	11
	ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა	
ნუგზარ პაიჭაძე	ზოგიერთი მოსაზრება პერსონალის მართვის სამსახურის მუშაობის სრულყოფის საკითხებზე	27
პაატა კოლუაშვილი, ბადრი რამიშვილი	საქართველოს სოფლის ტევადობა	43
ПИЛИПЕНКО ЕЛЕНА ВАСИЛЬЕВНА.	ВТО: УРОКИ ДЛЯ РОССИИ	57
	მიკრო-მაკროეკონომიკა	
შალვა გოგიაშვილი, სლავა ფეტელავა	სახელმწიფო შესყიდვები და კონკურენციის უზრუნველყოფის პირობები	69
აკაკი გაბელაია.	რისკის შეფასებისა და ოპტიმალური ფინანსური პორტფელის ფორმირების შესახებ	87
დავით კბილაძე	ოფიციალური სტატისტიკური სისტემის სრულყოფის ზოგიერთი პრობლემა საქართველოში.	107
ლია ჩარექიშვილი	საქართველოში უმაღლესი განათლების მდგომარეობის სტატისტიკური ანალიზი	123

	მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი	
გიორგი ღაღანიძე	სტრატეგიული მენეჯმენტის არსის საკითხისათვის	143
მერაბ ხოხობაია	ტურიზმის განვითარების მსოფლიო ტენდენციები	155
მაია სეთური	რეკლამის გავრცელების არხების შერჩევის სპეციფიკა საქართველოში	165
ონისე ალფენიძე	უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის მენეჯმენტი – სტრატეგიული პროცესი	177
ია ჯიმშიტაშვილი	ანტიკრიზისული მართვის ელემენტები თანამედროვე ორგანიზაციებში	189
თეიმურაზ შენგელია, შოთა ვეშაპიძე, ევგენი ბარათაშვილი, თემურ კანდელაკი	ახალი წიგნები: როგორია პროფესიონალ-რესენსმენტმა აზრი?. მნიშვნელოვანი გამოკვლევა საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრობლემების შესახებ	201
	ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა	№4
რევაზ გველესიანი	ეკონომიკური პოლიტიკის კონცეფციის რეალობისაგან დაშორების ძირითადი მიზეზები და მათი აღმოფხვრის შესაძლებლობები	11
მერაბ ხმალაძე	დემოგრაფიის, როგორც მეცნიერების წარმოშობა და განვითარება	25
მილორდ სიჭინავა	ეკონომიკის პროპედევტიკა: კურსის აგების სიძნელეები და პრინციპები	45

	მიკრო-მაკროეკონომიკა	
გიორგი ღაღანიძე	კონკურენტული უპირატესობის პრობლემის კვლევისადმი სისტემური მიდგომა	53
Толордава Жанна	Государственно-частное партнерство: реальность и перспективы	65
Соболева Татьяна	Пути создания благоприятной инновационной среды для корпораций	75
ლელა ჯამაგიძე	პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გაადგილების დეტერმინანტები სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში	87
ვახტანგ ჭარაია	წნეხი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების „ძლიერ ველზე“	109
Оганесян Артак	Анализ состояния экономики Республики Армения	123
	მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი	
მანანა ხარხელი	მომხმარებლებთან ურთიერთობის მენეჯმენტი და მომხმარებლების ქცევის ტრანსფორმაცია.	139
ანნა თანდილაშვილი	იმიჯის როლი ბიზნესის წარმატებაში	149
	ანალიტიკური ინფორმაცია	
თამარ ბიჭიკაშვილი	მენეჯერთა გამოწვევები და შესაძლებლობები	159
ქეთევან ღუდუშაური	აუდიტის ჩამოყალიბება და ევოლუცია	171

ლეო ჩიქავა, რევაზ გოგოხია, მიხეილ ჯიბუტი	ახალი წიგნები: როგორია პროფესიონალ- რესპონდენტმა ავრძო? ფრიად საჭირო და სერიოზული ნაშრომი დასანანი ხარვეზებით	185
	ეკონომიკური თეორია და ეკონომიკური პოლიტიკა	№5
იური ანანიშვილი	არადაკვირვებადი მაკროეკონომიკური მაჩვენებლების შეფასებისა და ანალიზის მოდელები	13
მურმან ცარციძე, ეკატერინე კვირკველია	სიღარიბე და ეკონომიკური განვითარების პრობლემები საქართველოში (ილია ჭავჭავაძის შეხედულებები და თანამედროვეობა)	55
	მიკრო-მაკროეკონომიკა	
მერაბ ჯიქია	ეთერზეთების წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის სრულყოფისათვის	79
ლეილა ქადაგიშვილი	მცირე ბიზნესის განვითარების თეორიულ-გამოყენებითი საფუძვლების სრულყოფის საკითხები	89
დავით ჯანგიანი.	ეკონომიკური ზრდა და მისი გავლენა საგადასახადო შემოსავლებზე საქართველოსა და სომხეთში (რუსულ ენაზე)	107
ირინე ბაქანიძე	ხელფასი – პიგიურული ფაქტორი თუ მოტივატორი? (ინგლისურ ენაზე)	117
	მენეჯმენტი. მარკეტინგი. ტურიზმი	
ივანე შავედათაშვილი.	უკანასკნელი ინსტანციის კრედიტორი	131
ნიკოლოზ ქოიავა	დომინანტი დაფინანსების სტრუქტურა და მისი გავლენა კაპიტალის ბაზრის რეგულაციაზე საქართველოში	147

	საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები	
უშანგი სამადაშვილი.	საქართველოს საგარეო ეკონომიკური ორიენტაციის მიმართულებები	167
	მინა და სამართალი	
პაატა კოლუაშვილი, ზაურ ჯინჯოლავა, ანა ფირცხა- ლაშვილი	კონსტიტუციის სწორი გაგება საგადასახადო, პირველ რიგში, მიწის საკითხში	189

ISSN 1987-5789



დაიბეჭდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე

კომპიუტერული უზრუნველყოფა -
მანანა ჯიხვიშვილი